ცისკრის ვარსკვლავი

1863

№ VIII აგვისტო

წელიწადი პირველი

ტფილისი

გაბრიელ მჭლიქუშვილის და ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბაში

I. უცხაური ნიშნობა ტფილისის სიდუმლოებისაგან ი. ბერიძისა.

II. ლექსები.

III. კონრად კიოველი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზდისათვის. . . . . ლევან ჯანდიერიშვილისა.

IV. მცარცველობის თეიზიოლოგია. . . . . ბ. ვ.

VI სფირიდონისა და თამდოზის ბასსი. სფირიდონ ჩიტორელიძისა.

VII. სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰუგოს წიგნი. . . . ბ. ვ.

XI. საბრალონი. რომანი ვიკტორ ჰუგოსი, თარგმ. გიორგ. ჩიქოანისა.

სოკრატეგოლოს

ლაბუ

F 10796

ИВ 4555

საღვთისმეტყველო ქუთნალი

გამოცემის

ი. ჯავჯავაძისაგან

Тбилисский филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

«ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან ჰ გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული».
(თავი 13, მუხ: 23. სახ: მარკოზისა).

ტომი III.

ტფილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ მელქუმიანცისა და ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბაში.

სარჩევი.

მეორის ტომისა.

№ 4 აბრილი.

კაცია, ადამიანი. (მოთხრობა). . . . . მ. ჯიმშერიძისა.
კონრად კიოვერი, ანუ დარიგება უმაწვილების კარგად
ალზდისათვის . . . . . თარგ. ლევან ჯანდიერი შვილისა.
ლექსები: თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსი. . . . . * * *
მძინარე ქალი. . . . . * * *
სიზმარი (ლერმონტოვით) . . . . . * * *
პოეტი . . . . . * * *
საქართველოს ისტორია (განგრძე-
ლება). . . . . თ. სულ. ბარათა შვილისა.
ბიძია თონიკეზედ. . . . . თერგ დალეულისა.
სხვა და სხვა ამბავი. . . . . დავით ყიფიანისა.
საბრალონი (განგრძელება) . . . თარგმ. გიორგი ჩიქოანისა.

№ 5 მაისი.

კაცია, ადამიანი (მოთხრობა, შემდეგი.) . . . . მ. ჯიმშერიძისა.
სოფრიდონის და თადეოზის ბასი . . . სოფრ. ჩიტორელიძისა.
ლექსი: თანა მემგზაური (მიბაძვა პაგ-
ლოვისა). . . . . თ. გ. ერისთავისა.
ცისკარს რა აკაკანებდა? . . . . . გ. —თელიასა.
საქართველოს ისტორია . . . . . თ. სულ. ბარათა შვილისა.
სხვა და სხვა ამბავი . . . . . დ. აკ . . . ი.
საბრალონი. (განგრძელება) . . . თარგ. გიორგი ჩიქოანისა

№ 6 ივნისი.

კაცია, ადამიანი (განგრძელება) . . . . . მ. ჯიმშერიძისა.
ლექსები: გუთნის დედა. . . . . * * *
თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ . . . . . * * *
ლოცვა . . . . . * * *

სეიერიდანის და თადეოზის ბასსი (განგრძელება) . . . . . სეიერიდან ჩიტორელიძისა
მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს . . . ი. ოქროშვილის შვილისა.
ამაო ამაოთა . . . . . თერგ დალეულისა.
საქართველოს ისტორია . . . . . თ. სულ. ბარათაშვილისა.
საბრალონი (განგრძელება) . . . თარგ. გიორგი ჩიქოანისა.

№ 7 ივლისი.

უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებთანი . . . . . ი. ბერიძე.
ლექსები: ლოცვა ახრდილისა (ახრდილიდგან) . . . . . * * *
გ. ანხ. . . . . * * *
სამგზავრო წერილები . . . . . პეტრე ნაკაშიძისა.
სეიერიდანისა და თადეოზის ბასსი (განგრძელება). . . . . სეიერიდან ჩიტორელიძისა.
სხარტული . . . . . გ. ჩ.
საქართველოს ისტორია . . . . თ. სულ. შარათა შვილისა.
შენიშვნა . . . . . განრიგულ სულხანოვისა.
საბრალონი (განგრძელება) . . . თარგ. გიორგი ჩიქოანისა.

შეცდომები.

№ 6 ივნისი.

მოკლე განხილვა სომხ. ენის წარ. უკანასკ. დროს.

---

48 გვერდ. ქვევიდან მესამე სტრიქონში არის: «გაგიე III», უნდა იყოს: «გაგიე II.»

49 გვერდ. ზევიდან მეცხრე სტრიქონში უნდა იყოს: გერა, კარის დირე, სახლის კედლები, ქვეშასაგები და სხვ. ჭქონდა მოსვრილი სისხლით ან თავისი მამისა, დედისა, ძმისა, შვილისა, ტოლისა და სხვ.

51 გვერდ. ქვევიდან მეთორმეტე სტრიქონში: სომხების მსწავლეულებმა, უნდა იყოს სომხების მწვალებლებმა.

ნაწილი მეორე

თავი მეცხრე

IX.

Падетъ въ нашъ умъ чуть видное зерно
И зрѣетъ въ немъ, питаясь жизни сокомъ;
. . . . . .

Шевыревъ.

იყო მაისი და მეათე საათი დღისა. ცაგი ცა გაკრული აქა იქ წვრილის თეთრი ღრუბლებით, რომელიც გამომჭვირვალის მათში მზის სხივებთაგან იხილებოდა მშვენიერს ლაჟვარდ ხავერდათ, შეხამებულად შიგა და შიგ თითქო თეთრის ყვავილებით,— უნებურად მიაქცევდა თავისზედ კაცისა თვალს, ნამეტნავად, უკეთუ იპოვებოდა მაში მცირედიც არი მაინც ბუნების მოყვარეობა.

მუუდრო ჭაერი და გარემო მისა ბუნების ცხოველობა, თითქო აიძულებდა ურიცხვთა თვრინველთაც თანამონაწილეობისადმი საზოგადო სიხარულში, რომელთაგან ამ მიზეზით ზოგნი ძძიმედ ჭ წუნარისა თვთცემით ამოდ დაჭსტრიალებდენ ახლად გაღვიძებული დედამიწის ზემოდ და ზოგნი კი, ნამეტნავად მერცხლები, ცელქობდენ გასაოცარის სიმარდით დედა მიწისა მახლობლივ ჭ დაჭთვრინავდენ ყიყინით აქეთ იქით ტეორცილის ისარივით.

ძნელად საფიქრებელი და იყო, რო კაცი, ეს უპირატესი ქმნილება სულიერთა არსებათა შორის, არ მოსულ იყო გრძნობასა და აღტაცებაში, როდესაც ის, გარდა ზემო აღწერილისა, დაინახავდა

სხვათა მორის მწვანის ხაგერდით მოსილ დედამიწასაც, საიდამაც სხვა
ს სხვა ურიცხვი ყვავილები მოჭბერდენ იმ ყამად ედემის კეთილ სუნ-
ნელებას, და სადაც, მასთანავე შეასწრობდა თავლს ურიცხვის მწვა-
ნითვე მოსილ ნერგთაც, რომელთაგან მოზდილნი იდგნენ ყელ მო-
ღერებულნი ამაყად, და უსუსტესნი კი დახრილ იყვნენ ბულბულთა
და სხვა წვრილთ ფრინველთა სიმძიმით მორბენალის მათ ძირს
ბუტბუტით ნაკადულისაკენ, რომელსაც გარმოსიულად შეჭრთიდენ
ისინი თავის მშვენიერს ხმასაც.

სწორეთ ამ დროს, როდესაც თითქმის რო ყოველი ბუნება
იყო შვებასა და განცხრომაში,—ორნი ხუთი წლის ქალ ყმანი ის-
ხდენ სოფელს გვრინჩხიანს ერთს პატარა დაბალი ქვითკირის სა-
ხლში და ჩაჭსტქეროდენ თავჩაღუნულები წიგნებს, რომელსაც კით-
ხულობდენ სხაპა სხუპით.

—აბა ტიტიკოჯან, აბა, ჭკითხა მჯდომარემ იმ ყამად მათ ახ-
ლო თალხად მოსილმა ქალმა, რომელიც ქსოჭდა ფერადი აბრაშუ-
მის ქისას: რას ამბობს მაგით მოტიქული? «პირველი ესე სიტ-
ყვა ვჭეაკ, ჯი! ღვთის მოყვარეო თეოფილე».

—პილველათ გელაპალაკებიო, ალა დედიდამან, მიუგო პატა-
რა ვაჟმა და შეხედა თალხად მოსილ ქალს.

—დიახ! შვილო დიახ! აი! ბარაქალა ჩემო ტიტიკო, ბარა-
ქალა.

—აბა ახლა შენა, მაშიკოჯან, რასა ნიშნავს ეგ ფასალმური? «ნე-
ტარ არს კაცი, რომელი არა მიკიდა ზრახვასა ულთოთასა და
გზასა ცოდვილთასა არა დაჭსდგა.»

—ცუდი კაცი ნუ იქნებიო, განა ბებილოძან.

—ჭო! შვილო, ჭო,—ოხ! ღმერთო, ნეტა როდის მოვესწრო-
ბი იმათს . . . . . სწორეთ შვილო, სწორეთ, რო ცუდი არა
გაიფიქრო რაო გულში, რო ცოდვაში არ შეხვიდეო და რო იმ
გზაზედაც, სადაც კაცნი ჭსცოდამენო, სულაც ნუ გაიკლიო.

—ეგრე ჩემო თაიგულებო, ეგრე, აი! თქვენ კი გენაცვალოთ
ნატალია; გინძლო ჩემო გვრიტებო, გინძლო, რო არ დაიგიწყოთ,

ოხ! ღვთიშობელო დედავ, შენ შემასწარ ამათს . . . . შეგეცეთ ახლავი შვილებო, შეგეცეთ წიგნები და წადით სათამაშოთ, მაგრამ შორს კი არ სად წახვიდეო, თორემ ხო იცით ავათ მოგეპყრობით ჩ ალარც თქვენსავით პატარა ტობიას ისტორიას გეტყვით, ვეება თევზი რო დაიჭირა, გესმისთ?

—ექლა, ექლა, დედიდამან, ბებილოძან, ექლა, ეხვეოდენ ქალ-ყმანი აქეთ იქიდამ დედიდა ნატალიას ყელზედ და ეხვეწებოდენ მოთხრობისათვის, რადგანაც წინათვე იყო დანერგილი მათში კარგად მტოდნე სამლთო წერილის და მეტადრე დაბადებისა ხსენებულის ნატალიასგან სურვილი სწავლისა, რომელთაც თითქმის რო ნახევარი ნაწილი მეტი სამლთო ისტორიისა, სუ ამ გვარის ზღაპრულის მოთხრობით ჭქონდათ ნასწავლი მისგან, მაგრამ ბრძენმა ნატალიამ, რო უფრო დანერგოს მათში სურვილი სწავლისა, და ასწავლოს მასთანავე მოთმინება მორჩილებითურთ, მოიშორა ხსენებული ქალ-ყმანი თავიდამ იმ დაპირებით, რომ მოუთხრობდა ალთქმულს ისტორიას დაწოლის დროს.

ამისა შემდეგ, რა საკვირველია, რო ყმაწვილებმა ალარ გაამეორებინეს დედიდა ნატალიას ბძანება გარეთ თამაშობისათვის, რადგანაც ყმაწვილურ. მათი ბუნება უამისოთაც იწეკდა გარეთ, როგორითაც ხელ ახლა დამწყვდეული გალიაში ფრინველი, და გამოცვივდენ გარეთ.

ეი! . . ეი! . . ეი! . . ეი! . . ერო! . . ერო! . . ერო! . . ერო! . . შემოსძახეს ამ ხმით ეზოში მყოფთ ბატებმა და ინდაურებმა ქალ-ყმათ, რა რომ გაცვივდენ ისინი გარეთ.

ეტყობოდა, რო ამ გვარ საზოგადო ხმაურობაზე მამლებმაც, რომლებიც მანამდე ეკლებოდენ თავის დედლებს გეერდ გეერდ წასგლით და ცალის თვთის თვთხრიალით, საჭიროდ დაინახეს თავის გამოჩენა. ამ მიზეზით ფიცხლავ შედგნენ ისინი კლანჭებზედ, დაიგძელეს კისრები, გაშალეს იალქნებივით თვთები და შეჭსძახეს ხმა მაღლივ: ეი—ეღი—ეოოო!.....

რალა თქმა უნდოდა, რო ამის მნახავთ ქალ-ყმათ ბეური ალარ

იფიქრეს და ფიცხლავ მიესივნენ იმათ სამტერფოდ.

ტიტიკო, რომელსაც იმ დროს მისდევდა უკან თავმომწონე ადუნტანტივით ყურებ დაჭრილი მურა და წინ კი მიუხტოდა ტაკი მასხარასავით კუდ მოგრეხილი შავი ფინია, ეტაკა მაშინვე ინდაურებს, გაბუებულებს იმ ჟამად თითრის ფაშებივით და ურტყა ერთი თუ ორი ფარფოსავით გაშლილ ბოლოებში, მაგრამ უნდა გსთქვათ ინდაურებიც გასამართლებლადაც, რო არც თუ ისინი დარჩნენ მას ხელ ცარიელები, რადგანაც იმათ, როდესაც დაეჭერეს გული, რო ის იყო მათზედ სამტერფოდ მისული, შემოუტიეს ფიცხლავ გულ მესისხლეთ და ჩაიგდეს შუაში.

მაშიკო კი, რომელიც ებძოდა იმ დროს ბატებს და, რომელიც ის იყო, რო გამოიფრინეს რამტენმამე მათგანმა სისინით და გამეეკიდნენ საგბენლად, იძახდა მაღლის ხმით: მისელეთ, მისელეთ . . . . . .

ამის გამგონე ტიტიკოს დეეცა თავზარი და მოუმატა სიმხნეს. იმან მოიგერა როგორც იყო დიდის ცდით ინდაურები და გამოფრინდა მასვე წამს მაშიკოსაკენ გულ დახეთქებით.

რაღა თქმა უნდოდა, რო ქალ ყმათ ერთი ერთმანეთის შემწეობით, ფიცხლავ მირეკეს ცემა ტეეპით მომდევარი ბატები დანარჩენებთან, რომლებთაც ამის გამო მოუმატეს რა უფრო ყიყინს, შეაჯქუფნენ ერთათ, თითქო კარე შეკრესო და დადგნენ მზათ საომრათ.

—რა გინდათ ყმაწვილო მაგ ბატებისაგან, გამოსძახა გამდელმა სამოახლოდამ, რომელსაც შორი ახლო ჩამოუდიოდა ბატარა ნაკადული, დახერული თითქმის განგებ ორივეს მხრიდამ აყრილი ნერგების ფოთლებით,—დაანებეთ თავი, თორე ეხლავ დაგაბეზღებთ ქალბატონთან.

—აგალა, აგალა, გალდისახალ, აგალა, უპასუხეს ქალ-ყმათა და გაიქცნენ ბინდვრისაკენ, რომელიც მდებარებდა იქვე, წვრილის აქა იქ ბუჩქებით, რადგანაც სახლი იდგა სოფლის ნაპირს.

იმათ სირბილში წამოფრინდნენ აქა იქ თუ ტოროლეები და

თუ ტყის ჩიტები, რომლებსაც ფიცხლავ გამეეკიდნენ ,ხსენებულნი: მურა და ფინია.

გულმოსულობით მიესივნენ ქალ-ყმანი ბებელეებს და მკალიებს, მსხდომარეთ თუ ძირს და თუ ბალახებისა და ყვავილებისა თავებზედ, რომლებიც დიდის ღონის ძიებით ცდილობდენ გადარჩენას ამ უეცარის მტერის შემოსევისაგან.

ამასობაში მაშიკომ, რომელიც დარჩა უკან, წამოჭკრა ფეხი ბალახის ძირს და დაასქდა დედა მიწას ბირქვე ხელების გათვრჩხვით. ამით გადიუვლიფა შუბლი, მოაყოლა ისეთს ტირილსა რო თითქო ესეს არი თავსა სჯრიანო.

რასაკვირველია რო, მაშიკოს ტირილმა ფიცხლავ მოსჭო ტიტიკოში ხალისი მკალიეების და ბებელეების უკან დევნისა და სარქარდ მოიჯრა მასთან.

—აბა, ლა-ალი; ალა ფელია . . . უნუგეშებდა ამ სიტყვებით ტიტიკო მოტირალ მაშიკოს, როდესაც წამოაყენა ის ფეხზედ, მაგრამ, როგორც ეტყობოდა ამ გვარი ნუგეში სრულებით ვერასა შველოდა მაშიკოს, რომელმაც უცებ შეიტკიცა ბაწაწა თეთრი ხელები შუბლზედ და თავ დაღუნულმა მოუმატა უფრო ტირილს.

—ალაფელია მეთქი ღმეთანი, მბაა ! . . აი ! აგა ლა—ლი, უეკვაებდა განმეორებით ტიტიკო, რომელმაც აკოცა იმას შუბლზედ და წამოიყვანა ხელ დაჭერით შინისაკენ.

ამ გვარი სიუმაწვილითგანვე შეთვისება ქალ-ყმათა, ბოლოს ბოლოს, ნამეტნაკად, როდესაც ისინი ჩაცვივდენ გონებაში, გარდიქცა საშინელ გულის შემწველ სიყვარულად, რომლისაგამოც, თითქმის რო, ერთი უმეორად ველარა სძლებდენ.

ბევრი ცრემლი დაიღვარა ტიტიკოსა და მაშიკოს შუა, როდესაც ისინი მოკლეს ხნობით დაშორდენ ერთმანეთს, მეჩვიდმეტე წელიწადში, და როდესაც ტიტიკო წინაღმდეგ თავის სურვილისა, წავიდა თავის ბიძის ბძანებით ქართლის მხარეს ყმისა და მამულის მმართველად, ვითარსა გამოთხოვაშიაც დეეცა საწყლად ცნობა მიხდილი მაშიკო, მათ ალმზდელ ქვრივი ნატალიას ხელებზედ.

ეს მასწავლებელი და აღმზდელი მათი ქალი იყო ცნობილი მკითხველთადმი თარგმანთ მოსილი ნატალია, ქვრივი ქართლის თავადის დურმიშხან გვრიტიევისა, ოდესმე ძალიან შემძლებელის, მაგრამ ბოლოს რომელთამე გარემოებათაგან სიღარიბეში მიხრწეულისა. ამ მიზეზით კნეინა ნატალიას, როგორათაც უშვილო და ღარიბი, შეიწყნარა თავისთანვე მი! მა ლვიძლ ძმამ ლინეიანის ბატალიონის პორუჩიკმა თავადმა ლუკა მელაძემ, რომელიც შემდეგ დაქვრივებისა უმემკვიდროთვე, შეეუღლა, მხოლოდ თულის სიხარბით დაბალი გვარის სოფხის ქალს, ზემოხსენებულს ოსანას, ეს ოსანა იყო ძვრევე ქვრივი პროვიანტის მაგაზიის ზედამხედველის ნადეორნი სოვეტნიკი თვალი ივანიჩ ლიალუშკინისა, რომელიც ბოლოს გაუბედურებელი იყო ბოროტმოქმედების გამო სამსახურში და დაკარგული ციბირში, სადაც კიდეც აღსრულდა თერიად მოკვლეს დროში.

ამ ლიალუშკინისაგან ხსენებულ ოსანას დარჩა ერთი მხოლოდ სამი წლის ქალი, სახელად მაშიკო, რომელიც ხსენებულმა თავადმა მელაძემ უმემკვიდროობისავე გამო იშვილა და თიცხლავ ჩაბარა თავის დას ნატალიას აღსაზრდელათ ქართულის სწავლით და ზნეობით ერთათ მისი დისწულის, ობლის დედით და მამით პატარა ტიტიკოსთან, რომელიც იყო ქართლისავე თავადთაგანი, გვარად ბრასიევი, და მეოთი თვით იმა მელაძის აპეკას ქვეშე.

ეს პატარა ტიტიკო იყო ცნობილი მკითხველთადმივე ხავერდის ქულაჯიანი უმაწვილი კაცი, რომელიც იმ ყამად გასაგებდა რა ყმასა და მამულს, ისევე მზრუნველობისა ქვეშე თავის ბიძის მელაძისა, გამოთრინდა უცებ სადირიდამ ქალაქისაკენ, რა რომ ჭსცნო დედა ნატალიას წიგნიდამ კნეინა ოსანას თვით ნებობითი, ქრმის ზაქათალაში მეოთეობისა ყამს სამსახურისაგამო, განზრახვა, შესახებ თავისის სტრთო თანშეზდილი მაშიკოს დანიშნვისა ე. გუსიანიზედ.

თავი მეათე

X.

ნელ ნელა ჩუხჩუხებდენ ბლიტაზე ჩამოშუკრიებული საღებათის ვზოდივით რუსული ქვაბები, და გამოჭსცემდენ სხვა და სხვა საყნოსელის დამატებობელს ორთქლს, რომლის ყნოსვითაც, შეუძლებელი იყო, რო არ მოსლოდა კაცს ნერწყვი, მეტადრე თუ ცოტათაც არი ექნებოდა მადაც.

—მითომ ვინა ბძანდები, რო გამოპტეელებულხარ კაი მქნელივით და ჩასცქერი დედა მიწას; შენმა გაოხრებამ, ჭსწორეთ ვერცხლის მადანს იპოვნი მანდა, დიახ ჩაცქერდი ძალიან; ეეთრიე, ჩქარა! შეუტია სიმონა მზვარეულმა სოსიკო ბიჭს და წამოუდო ჯოხს.

—ვერა ხედავ მაგ დასაბრმავებელი თვალებით, განაგძო მანვე, რო ქვაბის დაუშკრიათ, მაიტა მალე წყალი; გამიპტეელდება ბატონო კაი მქნელივით, თითქო ბატონობა ამას დარჩენოდესო; შენმა გაოხრებამ, ვინც ბატონია, ის ხო ძალიან თვალში მიზის ჯ შენ ხო . . . . . .

—სიმონა, უთხრა შემოსულმა იმ ჟამად სამზვარეულოში თვრამეტი წლის მოახლემ მზვარეულს, ქალბატონმა ბძანა, ხო ალარა არი რაო საჭირო ?

—რას მიბძანებ ჩემო, სულის ბატკანო ?

—აი ! ნუ რა გაგაგონოს რა ჩემა დედაღვთისამ, საკმაო არისო საჭმელები, თუ არა? ჩქარა, ქალბატონი მელის.

—რას ამოობ გოგო, ხო ხედავ რო მძიმეთ მესმის, ახლო მოდი და ისე მითხარ.

—საჭმელებიო, ეი ! ერუხუნ, ჩასძახა თითქმის ყურში მოახლემ.

—რაო ? საჭმელებიო; ჭო ! მესმის ახლა კი, მესმის, უპასუხა სიმონა მზვარეულმა სიტყვის განგრძელებით: დალოცვილო, ბარემ წე-

ლინვე მეტეოდი აგრე და გაათავებდი, როგორ არა, საჭირო, ძალიან საჭირო.

—რა! მითხარ მალე, ქალბატონი მელის.

—აი! რა გოგო, მაგრამ მაიტა აქ ხელი თითებზე დაგითვალო, თორემ შენ ხო გულ-მაგიწყარა ხარ და გამაართო ხელი, რომლითაც მიითრია ის უფრო ახლო:

—აი! გოგო, განაგრძო მან, ჯერ ესა თქო, მოუკაკვა ნეკი, გესმის? ხო არ დაგავიწყდება, და მერე ესა თქო, და ამ სიტყვას თან უცებ გადაეხვია და ჩაეფრიშტნა, მაგრამ არა ფერია თქო, მანახსენე, იოლათ წავალთ თქო.

—ქა! მიიდვა ტუჩებზედ თითი მოახლემ, ხედავ ამ კა . . . შეილმა, რა ოინი მიეო, დამაცა ჯერ ქალბატონს მოვახსენო, შე ერეუჩუნა ძალლო შენა, დაიწყო გაჯავრებით გაწითლებულმა ყაყაჩოსავით მოახლემ ბუტბუტი და წამოვიდა კარებისაკენ.

—მაიცა გოგო, რას მირბიხარ, დაგწყევლა ღმერთმა; ალარ დამცდი პატარასაც არი, რო მოვიგონო; ჭო! მართლა, გვინდა დიახ! დაგეჭირდება, უოუოთ დაგეჭირდება.

—რა ეშმაკი დაგჭირდება და ქაჯი მაგ ერეუჩუნა თავისთვინ, დამაცა შე პაყარნო შენა. . . . .

—კარგი ჭო, ნუ აბზრიალდები ჯარასავით; რით ვერ გაიგე შე სულელო, რო დღეს ბატონებს ნიშნობა აქვსთ; თუ კი, შე სულელო შენა, აქაც არ დავინიშნებით, რატო არ იცი, რო არ ეკარგება და არც სასიძო, ის აი—თავი რო თეთრ ბოლოკს მუუგავს, მოგვიწონებს; აბა რა გელაპარაკო, საცა ესეც არა გტოდნია, სხვა რა გეტოდინება; სულელი! მალ-მალე შაინც ჩამოდი ხოლმე შე სულელო შენა, რო პატარა ჭკუას ჩაგახვედრო, მაგრამ რა! ტეუილი არ არი, შააყარე კედელს ცერცვი, თუ კი არა შედის რა მაგ შენ ცარიელ გოგრაში. დაგიდგება ეგ თავლი, მისამარ ეხლავ მოიგე კაცის გული, თორე, ერთიც ვნახოთ ერთბაშად დაბერდე ბ გამოურუკდე ჩვენი ბებერი ძალლივით: მერე! აბა ერთი მითხარ, მერე ვინლა იქნება შენი ყურის მგდებელი; იქ ხო, იქ, გეეურება,

ამ გძელ სოფელს, რაისზე დიდი რო არიო, იქ ხო, მაგ შენი კერძის გულის გამო დაგეხვევიან ეშმაკები; ის აი, ხო გინახავს ანჩიხატში, რქები რო აქვთ, და პირდაპირ ჯოჯოხეთში წაგათრევენ. ამაშინ გამოგძვრება ეგ ოკი აი, მერე თუ ბერებთანაც ჩაგაგდეს და გველებიც მოგეხვიენ კისერზე, მისამარ დამიჯერე თუ ჭკუა გაქვს, და ეხლავ უპატრონე მაგ შენ თავს და მალმალე ჩამოდი ხოლმე, რო ეგებ შენ ვალს დროით მოვრჩე და პატარა გასწავლო რამე. თორემ ხო ხედავ, ლამის არის შენმა საცოდავობამ შეც ზეზეურად წამწყმიდოს.

—აი! მეხი კი დაგაყარე მაგ ეროუჩუნა თავზე, მიაყარა ქოქოლა მოახლემ: ეგ შენი ქადაგება შენთვინ შეინახე, საჭირო არ გახლავთ.

—შაქრის პურები ხო საჭირო გახლავთ, აი თუ შენც მიირთმეკ აა! აიდა, აიდა, ჩაიარე, საჭირო არა ბძანდები.

—ნუ მიქარავ კარგი, მითხარ მალე, რა მოგახსენო ქალბატონს.

—შეგინახო, ჰო, კარგი, კარგი, ჩემო სიცოცხლეკ, კარგი, შეგინახავ, მაგრამ, ჰა! ქალბატონთან კი არა გრჯიდესრა, თორე თავის დღეში ზედ ალარ შემოგხედამ; წადი ახლა კი, ჩემო სულის ბატკანო, წადი და მაახსენე ქალბატონს, რო იოლათ წავალთ თქო, არაფერია თქო და უჩქმიტა ამასთანავე ლოყაზედ.

—აი! ეხიკი დაგეცა მაგ ოინბაზ თავზე, მეხი! მაგისთვინ დამაყენე განა? დამცადე ჯერ . . . წაიტუტუნა ხელ ახლა მოახლემ მუქარით და გამოვიდა გარეთ . . . .

თავი მეთერთმეტე.

XI.

ჭვირას დილით მეათეს საათზედ კნეინა ოსანას სახლში, მდგომარეს, — როგორც მოხსენებულ არს ზემოთ კლდის უბნისაგან, მოჩანდა რაღაც რამ ზომას კარეითად მოძრაობა.

მოსამსახურენი ამ სახლისა დიდის გულ—მოდგინებით დარბოდენ ქვემო სტაჟის ოთახში და ჭსწმენდნენ ზოგი ბოლს, ზოგი კედლის სარკეებს, ზოგი თვანჯრებს და ზოგი მებელს; ხოლო მებატონენი კი, ესე იგი კნეინა სალომე თავის ქალით მაშიკოთი და ქვრივი კნეინა ნატალია გურიტიევისა, ისხდენ ტანჩაცმულები სადღესასწაულოთ ზემოხსენებულ საწოლის ოთახში ჩუმათ და ჭფიქრობდენ ყოველი მათგანი თავ თავისთვის.

ცხადათ შეატყობდა კაცი, რო კნეინა ოსანას მხიარული სახის მეტყველებას, რომელიც წამ და უწუმ იხედებოდა თვანჯრიდამ ქუჩისაკენ და ეძიერა მასთანავე ცალი ყური ბერედნის ზარისაკენაც—სრულიად არ ეთანხმებოდენ ორნი დანაშთენნი ქალნი: ესე იგი კნეინა ნატალია და მაშიკო.

სახის მეტყველება ამ ორთავესი ცხადათ აჩვენებდა კაცს, რომ ისინი იყვნენ იმ ყამად მეტად ცუდს გუნებაზედ, რადგანაც, თითქო მგლოვიარენი არიანო, ჭსწორეთ ისე ჭსწუხდენ რალაზედაც, თუმცა კი კნეინა ნატალია, როგორათაც გამოცდილი ყოველს სოფლის დაუდგრომელობაში, ხშირად უჩუგეშებდა ხოლმე ყმაწვილ ქალს თვალით და ანიშნებდა ოიითით თავისზედ, როდესაც მიიხედავდა ხოლმე ოსანა თვანჯრისაკენ, რომლითაც აგრძნობინებდა, რო ნუ გეფიქრება მე აქა გყოფარო.

ბოლოს ამ გვარი მდუმარება ამ სამთა პირთა შორის მოისპო ისევე კნეინა ოსანას მხრით, რომელმაც დაუწყო ხსენებულ მაშიკოს შემდგომი ლაპარაკი:

—შენ ჯანს ვინაცვალე, მაშიკო ჯან, რათა ხარ აგრე თქიანმა, ნუ თუ არ გიხარიან შვილო, რო დიდი პომესჩიცა ხდები, რო ბევრი მილიონები გექნება, რო საკუთარი ეკიპაჟიც გექნება. ნუ შვილო ნუ, შენ ჯანს ვინაცვალე, ნუ იქ თქიერი. იცი თუ. მაშიკო ჯან, რა წვალება მიქნია შენთვინა, ოხ! ტერასტვაწ, შენ იცი ახლა შვილო, და შენ ქალობამ, თუ როგორი ტანტიკანი გახდები. ეს ქმარსაც ხო გიშოგე შვილო, მერე ისიც ვინა და, ნიკიტა მაკარიჩმა, იცი თუ როგორი ვინმეა. ოო! შვილო, ოო! მეტი კაი

რამეა, ნუ იქ, შენ გენაცვალე ნუ, იქ თვიქრი. ასეთი მხიარულიც უნდა ქნა თავი, რო, როცა გნახოს და, თქვას თუ ჭო! აბა ასეთი ცოლი ვეძებდიო ა! ნუ, შვილო, ნუ ქუ ოქუნ მერნიმ. ნუ იქ თვიქრი, აგერ ს

— ბატონი ბძანდებით ქალბატონო, ეხლავ ვეტყვი

—მაშ აბა მალე, და ვინემ ამ სიტყვას დასრულებდა, მართლა რაღ მოისმა შესავლიდამ ზარის წკარუნი, საითაც უცებ გაფრინდა თითონ ოსანა მწყაზარ ქორივით.

მიატანა რა ოსანამ სასტუმროს, ის იყო რო შემოუო თავი მაში ცნობილმა მკითხველთადმი სალომე იაგორაგნამაც, მორთულმა თალხებით ევროპიულის გემოვნებით.

—სალომე ჯან, შენა ბძანდები! ვუი! შენ ჯანს კი ვენაცვალე; კარგი რო მალე მობრძანდი; ოხ სალომეჯან, რა წყალში ჩავარდე, ჩემი მაშიკოა როგორღაც თვიქრიანია და არ ვიცი თუ რა ვქნა; ერთი, სალომე ჯან, შენ ჯანს ვენაცვალე, ეგებ კარგი რამე იმედიანი დარიგებამ მიჭსცე; ოხ. თავში ტერასტვაწ, შენ ჩაუდე კაი თვიქრი ოხ! . . .

—აკი მოგახსენე კნეინავ, უპასუხა სალომემ. რო ნუ შაარჩენ მეთქი. წუხელ რო ბუტბუტით დაგვანება ნატალიამ თავი, განა არ ვიცოდი, რო ის კარგს არას დასთესამდა ამ საქმეში, მაგრამ მე რა მეთქმოდა, სტუმარი გახლდი და ერთი უცხო სული და თქვენ კი, კნეინაკ, ხმა არ გეეცით. ემანდა როგორ შეუგულიანებია; ვინ იცის, იქნება, რო უარიც ათქმევინოს სასიძოსათვის და აბა ახლა თქვენ თითონ ითვიქრეთ, რაღა გვეშველება? ხო კარგა მოგეხსენებათ, რო სჯულით ძალის დატანება არავის არ შეუძლიან ქალისა.

—ვა! ინჩე ასუმ ეს კნიგ! ახარ ჩემი მულმა თითონ შვილივით გაზარდა ჩემი მაშიკოა და იმან ცუდი რათ მოინდომებს იმისთვინა! არა! სალომეჯან, არა! ჩემი მულმა მაგას არა იქს, ის მეტი კაი ვინმეა, არა! არა!

—თქვენი ნებაა. კნეინავ, მაგრამ . . . . . .

მანამ ესენი ამ საუბარს გაათავებდენ და შემოვიდოდენ სწოლში, მანამ საბრალობელი მაშიკო ათრქვევდა კნეინა ნატალიას გულზედ მდულარე ცრემლებს, რომელსაც ჩეეკრა ის თვიცხლავ, რა რო გაიგულა დედა გარეთ, და ჭსტიროდა მწარეთ.

—ნუ იკლამ თავს, შვილო, ნუ, შენ გენაცვალოს ნატალია! ეი

საცაა ტიტიკოც გაჩნდება და კარგი გენაცვალე, კარგი, მოიწმიდე თვალები და გასწორდი, აგერ მგონი სტუმრებიც მოდიან. აქეთ, შვილო, აქეთ, შენ გენაცვალოს ნატალია . . . აქეთ . . . .

—დილა კარგა ადრიანია, დაუკრა ამ დროს შემოსულმა სალოცავში სალოცავ ადგილზე ადგომოვნამ კნეინა ნატალიას თავი და მიესალმა მასთანავე მაშიგოსაც პირზე კოცნით.

—ვაი! ჩემს თავს, რატომ ეგრე ხარ მაშიგოჯან! ჰკითხა სალოცავმ, ვითომც თანამონაწილეობით: რა გიჭირს, ქალო, საჭირავი; სხვანი კიდეც დანატრიან შენ ბედს, რომ მაგისთანა ნაწყალი და მდიდარი ქმარი იშოვნე და შენ კი კიდეც ჩაჩქარი? ვაი ჩემს თვალებს, ვაი! ეგ რა საკვირველია, შვილო, ნუ, ჩემო მაშიგო, ნუ! მაგაზე შენ საჭირავი არა გაქვს რა. მე მგონი რომ კნეინა ნატალიაც დამეთანხმება, რომ მაგისთანა საქმრო ბევრს არ შეხვედრია და არც შეხვდება; ალბათ, შვილო, ღმერთს შენთვინ ემეტებოდა და კიდეჯ მოგცა. ჯეშმარიტად ბედნიერ ვარსკვლავზედა ხარ, ჩემო მაშიგოჯან, დაბადებული, თორემ საიდან სად . . . . . .ნუ გენაცვალე, ნუ . . .

ამ დროს უცებ შემოვიდენ რამდენიმე ყმაწვილი კაცები და ქალები სასტუმროში, რომელთაც თვიცხლავ გეეგება პირველდებულათვე კნეინა ოსანა და მიიღო ალაგობრივ იქვე, სადაც რიგ რიგით გამოვიდენ ნატალია, სალომე და მაშიკოც.

—ო ო ო! ტიტიკო! ტიტიკო! მშვიდობა შენი ნახვა, ჩასწორეთ სიდედრსა ჩუვარებიხარ, თუმცაკი შენი სასიმამრო ეხლა თურმე ირთამსო ცოლსა, შესძახეს პატარა ხანს უკან ყმაწვილმა კაცებმა ერთპირად და წავიდენ შემოსულის იმ ყამად ყოვლისა მოულოდნელად ყმაწვილის კაცისაკენ, რომელსაც წამოუდგნენ ქალებიც თვეზედ, და რომელიც ის იყო რო მოვიდა ქალაქში დავარდნილის ცხენით, რომელსაც ამ მიზეზით მეეწივნენ მუხაგვერდშივე ბიჭები საქალაქოს ტანისამოსით.

—მაშველეთ გენაცვალეთ, ვინა ხართ ქრისტიანები, დაიძახა მალის ხმით კნეინა ნატალიამ და მივარდა კაკების წეწით მაშიკოს, რომელიც შემოსვლისვე ჟამს ტიტიკოსი სასტუმროში, უცებ დეე-

ცა ბოლზე შებნედილი და მიელო ცნობა.

— აბ იქა, წყალი, წყალი, უთუოთ კარსეტმა შეაწუხა, წყალი ჩქარა, იძახდენ ყმაწვილი კაცები და ქალები ხმამაღლივ, რომლებიც მწუხარებით ეგლებოდენ კარს საბრალო მაშიკოს და რომელსაც ეგრეკვე ხმა მაღლივ დაჰსტიროდენ თავს დახოქილები ტიტიკო, ნატალია და ოსანა . . . . . .

თავი მეთორმეტე

XII.

И на сыромъ тюрмы полу
Онъ свѣтитъ тускло одинокъ,
Какъ надъ болотомъ огонекъ.
. . . . . .

Жуковскій.

ერთს ბნელს ოთახში, რომელშიაც შემოდიოდა მცირედი ნათელი, მხოლოდ სამხრეთის მხრივ ორის წვრილის თვალჯრედამ, რომელთაც ჭქონდათ გაკეთებული კარედამ რკინის ჩარჩოებიც, ლოცულობდა დასავლეთისაკენ ხელების ერთათ შეტეუბვით დახოქილი რუსულ თვარაჯაზე, რომელზედაც ეწყო ცალ-მხარეზე ბატარა სარკე და მეორეზე ხის სავარცხელი ბატარას შავის კრიალოსნით, ერთი შავ წვერა ორმოც წლამდე მიხრწეული დაბალის ტანის ტუსალი ჯიერიდა მალ-მალ მუხლს შემდგომის სიტყვებით: ბის მილლაა—რახ—მან რახ—იმ. . . .

—კაი შენ მტერს, რაც შენმა ისმაილამ ველარა გიშველოსრა, წაიტუტუნა იმ დროს შორი ახლო მეორე ტუსალმა და დაიწყო წინ და უკან ბორკილების ჩხაკა ჩხუკით აგურის იატაკზედ სიარული.

—მე კი ცოტა ვაგლიჯე შე ნუ მამიკვდები, განაგრძო მანვე,

ჩვენ თეთრ წმინდა გიორგის, თავ პირი ხვეწნით, მაგრამ ძალლა-თ-ც არ ჩამაგდო. ეჰ! (გაიქნია თავი), ტყუილია, აქ მოსულს ცი-ბირის მეტი ხსნა ალარა ჰქონია, არა! ძმობილო, მიუბრუნდა ამ კითხვით კედელზედ მიყრდნობილ დაბალი ტანის პირბუტალ ტუ-სალს, რომელიც იყო გართული იმ ყამად თეიქრებში და არ ილებ-და ხმას.

—აა? ძმობილო, ისე არ არი? რატო პასუხს არ მაძლევ? ნუ ნალვლობ, თეიქრი არ არი, მალე გეეჩვევი. აი, მეც, როცა შენ-საკით ხმი ვიყავ, ბევრჯელ ვაწყვიტე კედელს თავი, და თითქმის დავაპირე თავის მოკვლაც, მაგრამ, (გაიქნია თავი), სული ტკბილი ყოფილა, და ახლა კი, აი ხო მხედამ? . . . ნუ გეფიქრება, შენც ესე იქნები. . . . . .

—არ გესმის, კაცო? რას დაჩუმებულხარ ახალი პატარძალი-კით. დიდება შენთვის, ღმერთო, შენთვინ გეუბნები, ჩემო ძამია, რო თეიქრმა არ გადაგიტანოს, თორე მე რა მენალვლება. აი ხო ხედამ ამ წმინდა მლოცავს, ესეც შენსაკითა თეიქრობდა, როცა. . . მაგრამ ახლა კი, ხო ხედავ. . . . .

—იცი რა გითხრა. ძმობილო, მე და ამ წმინდა გვამს, აი მიწა მენახოს ამაზედ, თუ ტყუილი გითხრა, მე და ამას, რომე-ლიც ამ წუთში ქაბაშია და მამადას პირ და პირ ელაპარაკება, მე ჯ ამას ბევრი კაი დღე გვინახავს, მაგრამ ბოლოს კი. . . . გაიქ-ნია თავი და დათეიქრდა. ჭხმ! თარაქამ მკვდარძალლი! აი დაჭს-წყევლოს ჩემმა თეთრმა წმინდა გიორგიმ, საიდამ რა გადამეკიდა შენი ჯირიმე; მამა მამას არ იცნობდა და პაპა პაპას. აი დაჭსწყევ-ლოს ღმერთმა. ჭხმ! მკვდარძალლი! ჭო! რას გეუბნებოდი? დიახ! მე ჯ ამ სულძალლს ბევრი კაი დღე გვინახავს; ხან იერის პირს დავ-კრავდით ხოლმე და ხან გაღმა გავდიოდით ბორჩალოსაკენ, და ეშ-მაკმა იცის, რას არა ვშვრებოდით, მაგრამ ბოლოს კი, ბოლოს... და მერე რა ნაირათა და, თითქო ანარსლები არიანო, ისე სულ თოფიანი სალდათები და ცხენოსანი ამალა მოგვდევდენ წინ და უკან და ისე დიდის დიდებით კი მოგვაბძანეს ამ ოხერ ციხეში.

—ასე ჩემო ძამიავ, დაიწყო მანკე, ფიქრი და მწუხარება აქ ალარას გამოგადგება, ისევ ამ ჩემ გიჟ ბკუას დაუჯერე და გამხიარულდი. აი! სცაა ვახშამსაც მოგვიტანენ და მაშინ. . . მაგრამ თავი ნუ მოგიკვდება ძმობილო, გეტყობა ბკვიანსა ბევხარ ბ უთუოთ შამაცოცებდი; ერთათ ერთი აბაზით გამიმართე ხელი. იცი, ძმობილო, რისთვის მინდა? ეგებ იმ დაწყეკლილ სტოროჟს კიდევ დავაწერინო ბირკვარი და ბატარა რამ ყელის გასასკელებელი მოვატანინო, თორემ შენი მტერი ლამის არი ამ ოხერმა მუცლის გვრემამ თან გადამიტანოს. აკი გითხარ. ვაი! შენ და ოხრობა, თუ შენ ქერქში დადგე. ჩაიკრა ძალზე მუცელში ხელი: ორი შაური, რო იმას მივცე, ეყოფა განა? აი მალალ ღმერთ გაძლევ თავდებათ, რო რამ წამ ამ ოხერი ადგილიდამ გავალთ, ბირველ ნადავლს სულ შენ მოგცემ ხელ შეუალათ ერთ აბაზში.

—ჭა! რას იტყვი ძმობილო, ყაბული ხარ, თუ არა? თქვე! შენ გეუბნები, კაცო, დაუკვირა რაც ძალი და ღონე ჭქონდა: დაყრუვდი თუ, აი დიდება შენთვის ღმერთო.

როგორც ეტყობოდა ამ გვარი მოსაუბრე ტუსაღის ყბედობა სრულებით არ შეჭსდიოდა თავში კედელზედ მიყრდნობილ ტუსაღს, გატაცებულს ღრმა თვიქრებისაგან, რომელმაც არამც თუ არ ალირსა ბასუხი, არამედ არც კი შეიხარა წარბი, და რომელიც შეჭკრთა დამსაშვესავით უცებ, მხოლოდ კარების ბრიალზედ, საიდამაც შემოდო თავი მალალ მალალმა თეთრ ბაკებიანმა სტოროჟმა, რომელსაც ეჭირა ცალის ხელით ანთებული თვრანი და მეორეთი ბური ბ ბ ურბლით წყალი

—რა ყვირილი გაქვთ აქ ჭა! Чертова куклы! შეუტია სტოროჟმა ტუსაღებს თვალებს ბრახუნით: არ იცით თქვე ეშმაკის შვილებო თქვენა, რო ხმა მალლა ლაბარაკი აკრძალულია აქ. Ахъ! вы каторжные, თითქო თათრის მეიდანში იყვნენო. Разбойники этакіе!

—შენ რალას ილრიჯები მაინდამ ეშმაკივით, მიუბრუნდა ახლა წყრომით კედელზე მიყრდნობილ ტუსაღს: ემანდ ეგ ბური და ეგ

წყალი, დაჯექ და ხეთქე.

—ნუ გამიწყრებით, ჩემო ბატონო, მოახსენა კედელზედ მიყრდნობილმა ტუსაღმა თავის ძირ დაღებით: მე მხოლოდ კარში გასვლასა გთხოვთ.

—როგორ, ? წამეეთრიე მაშ მალე, და წაიყვანა კარებისაკენ, რომელსაც მიმავალობაში ჩუმათ ამოუდო რაღაც რამ ხელცახოცში გამოკრული ნიკთი, და შეუჭყიტა, რატო გასახლული არ გაცვია ჭა! ავაზაკო!

—დადექი აქა, შემოუძახა ხმა მაღლივვე ფეხების ბრახუნით, გავიდა საჩქაროთ კარეთ, და გაიკეტა კარებიც.

—რა ჭქენ? წასტუტუნა ჩუმათ აივანში გამოსულ სტორროუს ცოხის ზედამხედავმა.

—მივეც.

—იცის რაც არი?

—არა!

—მაშ როგორ იქნება?

—თითონ გაიგებს.

—მაშ აბა მალე.

პატარა ხანს უკან შემოვიდენ ხსენებულ ოთახში ზედამხედავი, სტორროუი და ორი თოთოიანი საღდათი.

—ხო არა გაკლიათრა, ჭკითხა ტუსაღებს ზედამხედავმა ალერსით, რომელთაგან ორნი ძალზე ილუკმებოდენ ხუთის დღის დამშეულობით.

—ღვთისა და თქვენის წყალობით არა გვიჭირს რა. ბატონო, მიუგეს ტუსაღებმა ერთ პირად და დაუკრეს მძიმედ თავი.

—ეს რაღათა დგას აქა? ჭკითხა წარბების შეკვრით ზედამხედავმა სტორროუს.

—კარეთ გასვლას ითხოვს, მოახსენა სტორროუმ კრძალვით.

—კარეთ გასვლას! წაიტუტუნა ზედამხედავმა, მაშ აბა წაიყვანეთ, მაგრამ სიფთხილით კი, უბრძანა საღდათებს; თვალებზე ეტეობა, რო ეს დიდი რაზბოინიკი უხდა იყოს. [illegible] ჩაგ-

F10796
Тифлисский Филиал Библиотека Института Истории партии при ЦК
Библиотека Парламента Грузинской ССР

ვიკარდი ბრწყალებშითუ არა! დაუქნია კარებთან მდგომ ტუსაღს მუქარითთითი და გაკიდა კარეთ.

—Ради служить, Ваше Благородіе,—უპასუხეს სალდათებმა ჯ ჩაიყენეს შუაში ხსენებული ტუსაღი, რომელიც წაიყვანეს საჭირო ადგილისაკენ.

საჭირო ადგილი, საითაც მიჰყვანდათ სალდათებს ტუსაღი იყო მიდგმული ზედ თიქალ კლდეზედ სამხრეთის მხრივ, რომლიდამაც იყო გატანილი გვირაბად პატარა დოლაბიც უწმიდურების გასასკლელად.

როგორათაც სიმკვიდრე იმ ადგილისა, ეგრეკვე თვით სიმაღლე კლდისა, რომელზედაც იყო ის გადაკიდებული, არ აძლევდა კაცს ნებას მოეთიქრებინა, შეიძლებოდა როდისძე განეზრახა იქ შესულს ტუსაღს გაქცევა ციხიდამ იმ გზით, თუ არა? მაგრამ როგორც დავინახავთ ბოლოს, დიდათ მოჰსტუვდენ მცველნი, რომელნიც მიენდვნენ რა სიმაგრეს და სიმაღლეს ადგილისას, გეებნენ უაზრობით მის შორი ახლო ხშირ ლაპარაკს თოფებზედ დაბჯენილები.

დარჩა რა შესული საჭირო ადგილში ტუსაღი მარტოდ, ამოიოხრა თავისუფლად და გამოიღო მიცემული სტორროჟისგან ნიკთი ხელების თრთოლით.

ცოტას ღა უკლდა, რო არ ულალატა გულმა, და არ შეჭსძახა სიხარულით, როდესაც გახსნისავე უმალ ნახა წერილი ტილო, ერთმანერთზე გძლად გადაკერებული, რომელიც აცნობებდა, რო სახსარი შენის თავისუფლებისა მე ვარო, მაგრამ გაიმაგრა რა როგორც იყო ხელის მოჭერით გული, წამოვიდა თვიცხლავ კარებისაკენ თვეხაკრეფვით ყარაულებისა დასაზვერავად.

—აბა, თეკდორე, ახლაა შენი დრო, თუ შეგიძლიან რამე, წაიტუტუნა იმან გულის კანკალით, რა ნახა რო ყარაულები კარგა მანძილზე გაშორებოდენ საჭირო ალაგს და ბაასობდნენ ერთმანერთში გულ-მინებულები, და შეუდგა მაშინათვე საქმეს.

სკამი, რომელიც იდგა გამოქვაბულ კლდეზედ გამოიღო იმან

სიფოხილით და გაამაგრა კედელზედ მიუჟეებით. შემდეგ მოაბა მას ცალი ტილოს წვერი და დანარჩენი კი ჩაუშვა შიგ გამოქვაბილ დოლაბში, რომელსაც ჩაჭყვა თითონაც გველივით და რამთენსამე წამს უკან გაცოცდა დიდის ცდით და წვალებით ციხეს გარეთ სრულიად შესვრილი უწმიდურებით, სადაც ის იყო, რო დეეკიდა კიდეც ჭაერში ფრინველივით. ითქ ებდა კაცი, რო თვით ბუნება ეწინააღმდეგებაო მის გაქცევას, რაკგანაც ნაცვლად წყნარის და მეუდრეს ჭაერისა, უეცრად ამოვარდა ჩრდილოეთიდამ მძაფრი ქარი ტ გრიალით უვლიდა მეტეხის კლდეს, რომელიც უტიებდა სისხლს ყოველ სულდგმულს.

ამის მიხედვით ძნელად ღა წარმოიდგენდა კაცი მაშინდელ მის მდგომარეობას, რომელსაც ბნელი ღამე, რომლის გამოც თითქმის რო არა სჩანდარა თვალით, საშინელი უფსკრული, რომელზედაც ის იყო დაკიდებული, მძაფრი ქარი, რომელიც ძლიერებით გლეჯდა ხელიდამ გადახვეულ მარცხენა მკლავზედ ტილოს, რომლისა ქვემო ნაწილი კიდეც ეეტაცნა მეტეხის საყდრის სისწორ და მტკვრის გრიალი, რომელიც ცოტადღა მხოლოდ ადიოდა მას თან, არ იყო რო სრულებით უფანტავდენ გონებას ტ მიიყვანდენ სასოწარკვეთილებაში, მაგრამ ცალკე ყარაულების შიში და ცალკე თავისუფლების სურვილი ამხნევებდა მას რაც ღონე იყო ჯერ ხანობით.

სისხლის ოფლით ეწინააღმდეგებოდა ის ამ საშინელ ბუნების მძვინვარებას, მაგრამ ყოველი მისი სიმხნე და გულოვნობა, როგორც ეტყობოდა რჩებოდა ამაოდ და უქმად.

ამ მიზეზით და რა ნახა, რო შკელა ალარ სიდამ ალარ იყო, მწუხარებით, აიხედა იმან ცაში, სადაც ჭეიქრობდა, რო იპოვიდა ხელის ამშველელს, მაგრამ მის საუბედუროთ ვერა ჭპოვარა გარდა სიბნელის და ბუნების სიცოფისა.

ბოლოს დაიხედა მწუხარებითვე ძირს და იქაც, ჭოი, უბედურებავ! გული მისი შეთრთოლდა შიშით, რადესაც კარგად გამოიკვლია, რო ის იყო დაკიდებული საშინელ უფსკრულზედ.

ალარ იცოდა თუ რა ექნა საბრალო ტუსაღს, რომელსაც წამ და უწუმ უწუხდებოდა გული და უბნელდებოდა თვალი.

ბოლოს თითქო რაღაცაც გაუელვა თავში ! ეხლა გამოიღვიძა ძიღიდამ ისე უცებ შეგსძახა გულ სკვდავათ:

— ოხ ! ღმერთო, ღმერთო! იძახდა ის გოდებით: ნუ მოამკლავ მოუნანიებლივ, შენ შეიბრალე ჩემი ყმაწვილ კაცობა, შენ შემოქ... და ვინემ დასრულებდა ამ სიტყვას, უცებ მოაშორა მძავრმა ქარმა გლდეს, რომელსაც ებღაუჭებოდა სისხლიანის ხელებით წყალში დამხრჩვალი კაციკით და გაჭსტყორცნა შორს.

ოფიქრებდა კაცი, რო ახლა კი სწორედ მიაგო ღმერთმა სამაგიერო, რადგანაც მისგან დაჩაგრულ კაცთ წყევა ცხადად ღაღადებდა მის წინაშე, მაგრამ ჯერ ხანობით დაიფარა აქაც მისმა საკვირველმა ძლიერმა ბუნებამ.

სწორედ იმ დროს, როდესაც ის იყო, რო წასტაცა იმას ხელიდამ ქარმა ტილო და აბირებდა თავ და ყირა წამოსვლას, სადაც მიელოდენ მსხვერპლად მიერილი ზედი ზედ კლდის ლოდები და სადაც შორი ახლო აჩქაფუნებდა მტკვრის ტალღაც, უცებ მოჭკრა იმან დიდის სიმხნით და სიმარდით ხელი ტილოს და შეიმაგრა ისევ თავი.

შემდეგ ამისა, თუმცა დიდის ცდით და გამოუთქმელის მწუხარებით დეეშვა ნელ ნელა ძირს ტილოზედ, სადაც ოდგელი ნაბიჯი, თითქმის, რო აკლებდა მას თითო წლის სიცოცხლეს, მაგრამ მისდა საუბედურად, აქაც ულალატა წყეულმა ბედმა და ტილო აღმოჩნდა მოკლე.

მედგრათ აქანაებდა იმას მძავრი ქარი ძელზე დამოკიდებული დამხრჩვალი კაციკით და ანარცხებდა მკვეთელ კლდეს, მას ჭსდიოდა ამის გამო თითქმის ოდგელის სახსრიდამ სისხლის დვარი.

— ოხ დამბადებელო! დაიძახა იმან გულის მომწყვლელის სიტყვით, რა ნახა რო სრულებით მოაკლდა მკლავებში ძალი და ალარ შეეძლო თავის შემაგრება: შენ მოამიტევე ჩემი შეცოდება, შენ უპატრონე ჩემ უსინათლო დედას, შენ ჭო ღმერთო. . . . ! ამ სიტყვასთან წამოვიდა თავქვე ტრიალით. . . . .

თავი მეცამეტე.

X. II.

იქნებოდა თორმეტი საათი ღამისა, როდესაც ერთს დაბალი სახლის სარდაფში, რომელიც იდგა გარეთუბნის მხარეს ზედ მტკვრის პირზედ, ისხდენ აქა იქ ჯგუფად რამდენიმე სხვა და სხვა წლოვანების და სახის მეტუველების პირნი.

შუქი ქონის სანთლისა, რომელიც იდგა შიგ კუთხეში ტ ჭქონდა წინადამ ათვრებული კარების მხრივ შავი წამოსასხამი ნაბადი, ბუნდათ დეეცემოდა ზოგ მათ პირთაგანს, რომელნიც ამის გამოემსგავსებოდენ არა წმიდა სულთ.

სახის მეტუველება ამ პირთ, რომლებშიაც იპოვიდით, თუ იმერელს, თუ მეგრელს, თუ ოსს, თუ ქართველს და თუ თათარს, და რომელნიც ისხდენ ჩუმათ და განკრძალვით, ცხადათ დაგანახვებდათ, რო ისინი ელოდენ ვილასაც, რადგანაც არა თერისთანა მათში მოძრაობა, ანუ ხმა მაღლივ საუბარი ჯერ ხანობითიმ ყამად არა ჭსჩანდა რა.

ეტყობოდა, რო ჯერ არ მოახლებულიყო ის დრო, როდესაც შეეძლოთ იმათ თავისუფლებით ხმა მაღლა ლაპარაკი, ანუ რისამე საქმის დაწყობა.

ამ დროს შტაბის საათმა დაჭკრა ერთი, და ის იყო, რო კიდეც მიახლოვდენ ხსენებულ სარდაფს ორნი სხვა პირნიც, რომელთაც ესხათ შავი ბლაშჩები და რომელთაგან, ერთი იყო დაბალი ტანისა, გამხდარი და ბაკებიანი და მეორე კი პირბუტალი, დაბალი ტანისაკე, ჯმუხი და დარგვალებული მორგვიკით.

—მიხეილ, ჭკითხა პირველმა მეორეს მიმავალობაში, როგორ ჭფიქრობ, ექნება ამ ჩვენ დაწყობილებას წარმატება ?

—უთუოდ ! უპასუხა მეორემ.

—ის რო იქ გეება ?

ამ დროს უცებ მოისმა ნიშნობლივი სარდაფის კარების რეკვა.

—აა! ჩვენები არიან, ჩვენები, შეჰსძახა მოუთმენელობით პირველმა შავ ბლასჩიანმა, რომელიც, როგორც ეტყობოდა უფროსობდა ყოველს იქ მყოფ პირზედ და უბძანა სახჩარად კარების გაღება, საიდამაც მართლად რომ შემოვიდენ ორ შავ ნაბდიანნი პირნი ქაქანით.

—ვაჟი თუ ქალი, ჩემო მწყაზარებო, ჰკითხა მოუთმენელობით შემოსულთ პირთ მეუფრესე შავ-ბლასჩიანმა, რომელთაც სიმგრგვლივ შემეეხვივნენ დიდის მოუთმენელობითვე დანარჩენნი პირნიც.

—ვაჟი პატრონო, ვაჟი, მიუგეს სიამოვნების ღიმილით შემოსულთ პირო.

—მართლა ბიჭებო, შეჰსძახა მეუფრესემ სიამოვნებით: აი ბარაქალა, ბარაქალა; ვიცოდი, რო თავს დასდებდით ჩემთვის და კიდეც ისე ასრულეთ; აბა ახლა მიამბეთ კიდეცა, თუ როგორ გაბარა იმ საქმემ? აი ბარაქალა, ჩემო მწყაზარებო, ბარაქალა!

—აი! პატრონო როგორ გახლდათ, დაიწყო იმ ორთაგან გახუამ: როცა თქვენის ბძანებით მე და ნიკოია გიახლით იქინა მტკვრის პირს ყასაბხანის მახლობელად, სადაც ჩამოდის დაბახანის წყალიც, ჯერ ისტევე კარგი ადრე გახლდათ, მაგრამე მეტის სიბნელით და ქარიშხალით მაინც კი სულ ვერასფერს ვერა ვხედავდით; ხომ კი ნიკოია, ისტე არ იყო? აბა ჰო! მაახსენე შენც პატრონს, მიუბრუნდა მეორეს ამხანაგს ამ გვარის კითხვით.

—კი თქვენმა მზემ პატრონო, ჩსწორედ ისტე გახლდათ, როგორც მოგახსენებსთ გახუა, უპასუხა ახლა მეორემ.

—ჰო! კარგი, მჯერა, მერე? უბძანა ჯვალად მეუფრესემ.

—მერე პატრონო და, დაიწყო ისევე პირველმა, ვიუაკით იქენა გაჩერებული კარგ ხანს, და ერთიც ვნახოთ რაღაც კიკილიკი შემოგვესმა გაღმიდამ, ასტე არ იყო ნიკოია?

—კი პატრონო.

—მასუკანე, პატრონო, მე და ნიკოიამ ტანისამოსი იქანა დაგ-

ტოვეთ და შევცურეთ, და როცა გეკედით, ჩვენი თეკედორია კიეგდო იქანა ჯულ-შემოურიდი და შვლაკ ნაღრძობი, როდ ესაც ჩაშეკრა ჩამოკარდნაში ქვისათვის. მაშინვე პატონო მოკასურიეღეთ, შეუხ-ვიეთ მკლავი და გეკიეკანეთ ცურვით პირდეპირ დაბღეე წინ, საღაც ნაკოიამაც მოგვიტანა მერე ტანისამოსი. იქიდგანა პატონო, როგორც თქვენი ბძანება გვქონდა წეკიეკანეთ ნელ ნელა კრწანისისაკენ და კვირიაის ბაღში ქვეკრში ჩავსვით და ესტაა რომ იქიდამ აქანა გა-ხელით; ხომ კი ნიკოია, ასტეა არ იყო?

—სწორედ შენმა მზემ, დასტურა ასტე გახლდათ, პატონო.

—აი ბარაქალა ბიჭებო! ბარაქალა, გადეეხვია ამ სიტყვით მეუფრესე და აკოცა ორთავე. ‡ აჩუქა თითო მანეთიც.

—ბარაქალა ბიჭებო, ბარაქალა, მოისმა ყველასგან ეს ხმა, რო-მელთაც არ იყო, რო მართლად მიიღეს დიდ სასიხარულოდ ამ გვარი გამარჯვება.

—მაშ აბა ძმებო, დაიწყო მეუფრესემ: რადგანაც ღმერთი ცხა-ლათ ჩვენკენ არი, ახლა კი უნდა შეუდგეთ საქმეს; დღეკანდლამდინ რაც მოხდა, თუ არ მოხდა, ის სულ გრეშათ არა ღირს, რადგა-ნაც ერთი მეორეს ძნელად ვენდობოდით, და რომ ამას იქით ჩვენ-ში ერთობა იყოს და ნამდვილი კავშირი, ყველასა გმართებსთ მი-ღოთ ჩემს დასარწმუნებელად თავ თავის სულზედ ფიცი.

— ხომ იცით ძმებო, დაიწყო მანვე, რომ ჩვენში ამ ჟამად ბევ-რი კეთილ-შობილიც ურევია და საძსახურის კაციც, მაგრამ ჩვენის სარეის გულისთვის დღეს სულ თანასწორნი ვართ, ანუ უნდა გავ-ხდეთ, რადგანაც კარგად იცით, რო სიმდიდრე და დიდ-კაცობა, ბევრს არავის დაჭყოლია დედის მუცლიდამ.

სეც ხომ იცით, რო თუ კაცი მდიდარია, მაშინ ჩინებიც დიდ-კაცობაც, ორდენებიც და ხალხში პატივის ცემაც, მომდინარე-ობენ მაზედ წვიმასავით; ამისათვის ყოველი კაცი ვალდებულია, თუ ამქვეყნის მიღება უნდა, ჯერ სიმდიდრის შოვნის თავდარიგს შეუდ-გეს, როგორც და რას საშუალობითაც არ უნდა იყოს და მერე... . . , მგონი საჯირო ალარ იქნება ბევრი ლაპარაკი, როდესაც გეტ-

ყვით, რო თითონ თქვენ იცნობთ იმ პირთ, რომლებიც ამ ორი წლის წინათ ოდაბაშად და დაბლებათ ისხდენ და ახლა კი ყველაზე მეტნი ისინი არიან, თუ ფულით, თუ დიდ-კაცობით, თუ ჩინებით, თუ ორდენებით და თუ ხალხში პატივის ცემით . . . . . ბა ახლა კარგა ითვიქრეთ, რისგან მოხდა ეს ძველა, სულ ფულისაგან, სულ სიმდიდრის შეძინებისაგან, გესმით ძმებო, თუ არა ?

— კი ბატონო, ავთეუ ხუც, უსტა, ჭო, პატონია, ბელადურ ვალა, სწორედ აგრე გახლავსთ თქვენმა მზემ, დაიწყეს რიგ რიგით იმერლებმა, ოსებმა, მეგრელებმა, თათრებმა და ქართველებმა.

—მაშ ძმებო, გამიგონეთ, რას გეტყვით: მე. რადგანაც ბუნებითადვე კარ შექმნილი ღვთისაგან ტუსალის სახსრად და ქვრივ ობლის ხელის ასაპყრობლად, რასაკვირველია, რო უფრო თქვენი ბედნიერებისა და კეთილ დღეობისათვის მოვალე კარ რო ვიზრუნო და კიდეც ვზრუნავ, ღმერთი ხოა გულთა-მხილველი; ვიცი რო არ კარგა თავის ქება, მაგრამ მაინც კიდევ უნდა გითხრათ. რო ერთი ჩვენი მოძმეც, რომელიც საფვთერაკოთ ჩავარდა მთავრობის ხელში, ისევ ჩემის მოწყალებით გამოვიდა მეტეხის ციხიდამ, როა მელიც თითქმის რო სამაგალითო საქმეა.

—ასე ჩემო ძმებო, რასაკვირველია, რო მე უიმისოთაც დარწმუნებული კარ, რო ყოველი თქვენგანი თავს გასწირავდ ჩემთვის და თითონ თქვენის სარგებლისთვისაც, მაგრამ, რო ჩვენში დეეფუძნოს უფრო დიდი სიყვარული და ნდობა, ამიტომ საჭირო, რო ყველამ მიიღოთ ფიცი იმ წესით, როგორც გეტყვისთ და წაგიკითხამსთ ეს ჩემი თანაშემწე, მიიშვირა პირბუტაყ დაბალი ტანის შავ-ბალასჩიანზედ: და თუ ვინიცობა, როგორმე მოხდება, რო რომელსამე თქვენგანს დაიჭერენ, იმისიც ნუ გეფიქრებათ; ისევ მე და ეს ჩემი თანაშემწე, როგორათაც გეთილ შობილნი და მოსამსახურე პირნი გაძლევთ პატიოსანს სიტყვას, რო ჩვენვე გამოგაშვებინებთ, როგორც ა დღეს ჩვენი თეგდორეც გამოაშვებინეთ.

—თანახმა ხართ ძმებო, თუ არა ?

—კი ბატონი, ჭო! ბატონო. დიახ ბატონო, და ასე ყველა სჯულის ხალხმა აღმოაჩინეს სურვილი თანხმობისა.

—აბა მაშ, მიხეილ გაისარჯენით და დაასეიცეთ, მოუბრუნდა ხსენებულს თანაშემწეს.

ამისა შემდეგ უ. თანაშემწემ ჯერ პირველად დაამწკრივა ყოველი იქ მყოფი სალდათის ვზვოდებიანით და შემდეგ დაწყო რა ამქეთ იქ-თ სკამებზედ, ცალ ცალკე მაცხოვრის ხატი და ყორანი, დაიძახა:

—აბა წამოდექით ახლა კი წინ, ჯერ თქვენ იმერლებო, ბ დაიფიცეთ ასრე; ვფიცავ თქო ამ მაცხოვრის ხატსა თქო, რო რაც უნდა შეჭირვება არ მოგვადგეს თქო ამ ჩვენ საერთო და საძმო საქმეშია თქო, არა დრეს არც გაგცეთ, არც გიღალატოთ ბ არც ორ გულად გავისარჯნეთ თქო; და თუ გაგცეთ თქო და ან საძმო საქმის ღალატობაში შეგიდეთ თქო, ამოვწყდეთ ცოლით, შვილით და ყველა სათესავობითა თქო და არც საფლავი გვეღირსოს თქო, რო ისე ძალების შესაჯმელათ დავრჩეთ თქო და ჩვენი სულიც ჯოჯოხეთში წავიდეს თქო.

—ოჭ! ბატონო, მეტი რავა იქნება, ეგ მეტი მძიმე გახლავსთ, მიუგეს იმერლებმა არ შეიძლება, რო ცოტა სუბუქად დაგვაფიცოთ.

—რას მიქარამთ მეუტია თანაშემწემ, ფიცი ეს არის, ვისაცკი ძმობა და ერთგულობა უნდა; მაშ გეტყობათ, რო თქვენ ღალატი გიძეკსთ გულში.

არ იყო, რო ამ გვარ ძალდატანებით ფიცის მიღებაზედ შეექნეს აქეთ იქიდამ ყოველთა იქ მყოფთ ჩურჩული და დრტვინვა, მაგრამ, რა რო წამეხმარა შეუფერებელ, საქმემ განვლო გეთიღად და მიიღეს ყველამ ზემოხსენებული ფიცი, გარდა თათრებისა, რომელთაც ითფიცეს ყორანზედ.

გათავდა რა ფიცი, დაიწყო ისევე მეუფერებელმ:

რადგან, ძმებო, დღეს ვინც აქა ვართ ფიცითა ვართ შეკრულნი, ამისათვის მაწვევს მოვალეობა, როგორც თქვენს მეუფერებელს, რო ყოველი თქვენგანი დავაყენო თავ თავის გზაზედ.

—თქვენ, იმერლებო! აქ რო მაღალი ქუდები გვაქვს და გძელი თეთრი ჩადრები, ისინი უნდა დაიხუროთ ჩადრები ზედ წამოისხათ, ასე რო, ყველას საყენზედ მეტი სიმაღლე უნდა გქონდესთ, შემდეგ გოგირდი უნდა წაისვათ ბირზე და ისე ბნელ ღამეში ირო ქუჩა ქუჩა, რო ვინც შემოგხვედოთ ანა წმიდა სულები ეგონოთ ისე ცარცოთ გამგლეულ გამოგამგლეული.

—მეგრელებო! თქვენ სახლებს უნდა უმარჯოთ, საცა უფრო ბევრი სიმდიდრეა და თქვენებურად გამოზიდოდ.

—თქვენ, ქართველებო! საკუთრად ავლაბრში უნდა იდავლოთ.

—თათრებო! თქვენთვის მიწყალობია სეიდაბათი და იმისი არე მარე და იმედი მაქვს რო თავს არ შეირცხვენთ.

—ოსებო! თქვენ კლდის უბანს და სოლოლაკის მხარეს გაბარებთ და ვინძლო რო არ შემარცხვინოთ.

—თქვენ, კეთილ-შობილებო! თითო თითომ ამათ უნდა უწინამძღვროთ და თავლ ყური გეჭირეთ, რო თავთავაში არსად გეებნენ და დანაშთენთაკი მოძებნოთ, ხო არავინ გაჩენილა ახალ ბედა, რო ქალაქალდში გაკუკლიოთ, და თქვენ კი გრიგოლ, ხვალ შეათე საათზე დილით უნდა გაისარჯნეთ და მობძანდეთ ჩემთან, რადგანაც ერთი ჩემი ნაცნობი ათიცარი აბირებს ხვალ დანიშვნას, რომელიც რიგზედ მსუქნათაა ფულით, და ეგებ ჩვენს მახეში გავაბათ და ის ფულები ხელთ ვიგდოთ.

—ახლა თქვენ იცით და თქვენმა ნამუსმა, თუ როგორ ან თქვენ თავს და ან მე მასახელებთ; იცოდეთ, რო ზეგ ამ დროს ყველას აქ გელით და ვნახოთ ვინ როგორის გამარჯვებით გამოცხადდებით.

—ახლა კი მშვიდობით ძმებო, უთხრა მეუფრესემ და გამოვიდა გარეთ ერთათ თავის თანაშეწეით, რომლისა შემდეგ წავიდწამოვიდნენ დანაშთენ ნიცა.

თავი მეთოთხმეტე

XIV.

—ჰეი! დაიძახა მეცხრეს საათზედ კვირას დილით კრასტიდამ გუსინინმა, რომელზედაც იწვა ის ისევე ტანთ გაუხდელი და უწესოდ.

—ბატონო! მოჰსცა ხმა თვალების ფშვნეტით და ზმორით ტრათვიმამ, საწოლის კარებიდამ, საიდამაც ის იყო რო წამოდგა ის, ბატონის დაძახებაზედ.

—რა ამბავია ესა? უჩვენა თავის თავზედ და მრგვალ სტოლზედ, რომელზედაც ეფინა ისევე სუფრა და იდგა ცარიელი თეფშები ცარიელისვე შტოფით უთავბოლოთ.

—Виноватъ баринъ, მოახსენა ტრათვიმამ ჯ დაუწყო მილაგება.

—Тото виноватъ, старой хрычъ! წაიბუტბუტა გუსინინმა ჯ წამოდგა ფეხზედ ზმორებით.

—ალაგე მალე და წადი ჩქარა დალაქთან; ჯერ მგონი რო სამოვარიც არ დაგიდგამს განა?

—ეხლავ მზათ გახლდებათ, ბატონო, მოახსენა ტრათვიმამ ჯ შეიდა სამზვარეულოში.

ერთს საათს უკან თავ მოპარსული და ბირ დაბანილი გუსინინი დადიოდა მძიმეთ წინ და უკან საწოლში, მიირთმევდა ჩაის, ჯ არ იყო, რო მალ მალ იდებდა ხელს შუბლზედ, საიდამაც, როგორც ეტყობოდა, ჯერ კიდევაც არ იყო გამონელებული სიცხოვლე.

ბოლოს გადისვა რა ხელი შუბლზე, მივიდა სარკესთან ამპარტავნულის სახით.

—Ахъ чортъ побери! რატო ასე დასიებულივითა ვარ, წაიტუტუნა იმან, რა ჩაიხედა სარკეში; ან იქნება სარკე გაუწმედელია და ისე აჩვენებს, მაგრამ როგორც უნდა იყოს, უნდა მოვიგონო რამე. ჰო! მართლა, მოვიგონებ, რო წუხელ მესამე მამლის ყივი

ლამდე ვსაქმობდი მეთქი გენერლის მონდობილებით ჩემს ახალს დისტანციის შესახებ მეთქი, და ვინ რას მიხვდება, მეტადრე კნეინა ოსანა. . . . .

—ჰეი! დაიძახა მანვე პატარა ხანს უკან.

—რას მიბძანებ, ბატონო.

—ახალი მუნდირი და აპელატები, გესმის?

—მეუურება, ბატონო.

—დრო შვაც, თორმეტის ნახევარზე, მაგრამ კაი ცხენები კი უნდა ებნენ, ისეთი კი არა, როგორც გუშინდელები იყვნენ დამთხვეულები,—კარგები, გეუურება?

—მესმის, ბატონო, სუფეველა მზათ გახლდებათ.

—ეს ვინლა ამოვიდნენ ბალკონზედ, აბა გაიხედე?

—თქვენი ნაცნობი პრისტავი გახლავთ ვილაცა სტუმრით, მოახსენა იმავე წამს სასტუმროდამ დაბრუნებულმა ტრაიეიმამ.

—როგორ! ზენონ ტერენტიევიჩი! რა საქმე გაგსჩენია ასე ადრიანათ, წაიტუტუნა გუსინინმა და გავიდა სასტუმროში, სადაც ელოდენ სტუმრებიც.

—აა ზენონ ტერენტიევიჩ, აა! ნიკიტა მაკარიჩ, როგორ ბძანდებით, როგორ არის თქვენი სიმთელი, მიესალმნენ ასე ამ რიგათ ორნი ნაცნობნი ერთმანერთს.

—ნება მიბოძეთ, დაიწყო მასთანვე სტუმარმა გაგაცნოთ: ჩემი მეგობარი გორის უეზდის მებატონე გრიგოლ ბოსოლოველი, უმაწვილი კაცი და კარგის სახის მეტუველებისა, გაუღიმა ტერენტიევიჩმა ხელების თვრთი თუურთით და წავიდა დივანისაკენ.

—დიდათ სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი გაცნობა, ნამეტნავად, როდესაც ჩემი ახალი დისტანციის მებატონეც ბძანებულხართ, გთხოვთ უმორჩილესად, მიიწვია დივანზედ.

—დიდი ხანია, უმაწვილო, ჰკითხა გუსინინმა ბოსოველს, როცა მოუსხდნენ გრგვალ სტოლს, რაც უეზდიდამ ჩამობძანდით? ან აქაური გზებისა ხომ არა მოგეხსენებათ რა?

—სულ მეოთხე დღეა, რაც გიახელით, ისიც შემთხვევის გა-

მო, რო ძალუა ჩემი ცოტა შეუძლოთ შეგვექნა და აქ ჩამოვიყვანეთ საქიმოდ და გზებისას კი, თუ მიბძანებთ ამას მოგახსენებთ, რო ალაგ ალაგ ძალიან წამხდარი გახლავსო, რომელსაც თქვენი წინა მოადგიგლე, როგორღაც ყურს არ უგდებს; მგონი რო უფრო კი იმ მიზეზით, რო ძალათ გადაიყვანეს იმერეთისაკენ.

—ვიცი, ვიცი, სუ ჩემი გამოჯავრებითა შვრება, დაიწყო გუსინინმა, მაგრამ აგრე რიგათ ადვილათ ვერ მომრჩება, ჯერ ავიდე ჩასაბარებლად . . . . . .

— მიკვირს, ნიკიტა მაკარიჩ, ჩვეთხა ზენონ ტერენტიევიჩმა, რო აქამდინაც არ წაბძანებულხართ, ან იქნება მოწერილობა არა გაქვსთ ჯერა ?

—როგორ არა, ბატონო, მაგრამ ღმერთმა დაუმადლოს გეუნერალს, პატივი მცა და ორი კვირის ოტპუსკი მიბოძა, რადგან დღეს . . . . . .

—როგორ, განა შეგემთხვათ რამე ისეთი? ჩვეთხა მანვე გაოცებით .

— არა ფერი სათქმელი, თვინიერ მისა, რო დღეს ვინიშნები.

—ოო ! მაშ მომილოცამ! მომილოცამ, აკოცა პირზედ ზენონ ტერენტიევიჩმა გუსინინს, რომელსაც ეგრევე მიულოცა ახალმა სტუმარმაც შემდგომის სიტყვებით: იმედი მექნება, რო როდესაც თქვენ და თქვენი მეუღლე წამობძანდებით თქვენ ახალ დისტანციაში, გაგებედნიერებთ ჩემ საწყალ ქოხსაც, რომელიც გახლავსთ შარა გზიდამ სუ სამ ვერსზედ. იქნება კი რო თქვენი საკვდრისი პატივის ცემა ვერ გაგიწიოთ, მაგრამ ხო მოგეხსენებათ, რო კეთილი გული და ცარიელი პური ყველასა ჩვენებია.

—დიდის სიამოვნებით, უპასუხა გუსინინმა: მაგრამ ნაცვლად მისა თქვენც უმორჩილესადა გთხოვთ, რო რაც ხან ტფილისში დაჭყოთ, მალ მალ მობძანდებოდეთ ხოლმე; ჩემთვის გამოუთქმელი სიხარულია, თქვენმა მზემ, თქვენთან დაახლოება ნამეტნავად, როდესაც თქვენ ბძანდებით მეგობარი, ჩემის პირველის მეგობრისა, მიიხედა ზენონ ტერენტიევიჩისაკენ.

—მაშ უთუოთ დღეს აპირებთ ნიშნობას? ჰკითხა ზენონ ტერენტიევიჩმა; ахъ! чортъ побери, ის წყეული საქმე მაინც არ შეეხვიათ ჩემთვის თავზედ, ხო მეც წამოგყვებოდით.

—მაგ გვარ მიზეზს მაინც არ მივიღებ ზენონ ტერენტიევიჩ საფუძვლად, რადგან თქვენის მეტი არა ვინა მყავს კეთილი მეგობარი და ამისთვის უოუოთ იმედი მექნება, რო დღეს თორმეტის ნახევარზედ ინებებთ და წამოშეკვებით თან.

—ეგ ძალიან კარგი ბატონო, მაგრამ . , ...

—Безъ всякаго მაგრამ, пожалуйста, если хоть сколько нибудь питаете комнѣ любовь.

—კარგი ბატონო, რაღა გეეწყობა, მაგრამ შეგვატყობინეთ მაინც, ვისზედ ინიშნებით.

—А! это другое дѣло, იცნობთ თავად ლუკა მელაძეს?

—აბა ვინ მელაძე? ის ხო არა ლინეინის ბატალიონის ბორუჩიკი რო?

—გერგებათ გამოცანა, სწორეთ იმის ქალს მაშიკოზედ.

—რა ვქნა და. უპასუხა გოცებით სტუმარმა, როგორც მე გამიგონია ის თავდა პირველათვე უშვილოა; დიდება შენდა ღმერთო, ასე მალე სად მიეცა ქალი და ისიც გასათხოვარი.

—ეე! ვაი, შენ გრიგოლს, წამოიძახა უცებ ბოსორელმა და დაიკრა შუბლზედ ხელი, სწორეთ ის იქნება შენმა მზემ; ვერა ხედავ რა ოინბაზი ყოთილა.

—ვინა! როგორ? ჰკითხა განცვიფრებით ზენონ ტერენტიევიჩმა.

—აი! ვითომ შენც პრისტავი ბძანდები რაღა; მე კი ორი დღის ჩამოსულმა სოფლიდამ უნდა ვიცოდე რაც ხდება შენ საპრისტაოში, და შენ კი . . . . აი! . . . .

—ბატონო და, იქნება ჩვენც ვიცნოთ, აბა ერთი ჯერ გვიბძანეთ ვისზედ ბძანებთ.

—უმაწვილო! როგორ ვერ მიმხვდარ ხარ, რო ამ ჩვენ მეგობარს მოტეუებას უპირობენ. აი! დიდება შენთვის ღმერთო, მოდი და

ეჩდე ახლანდელი საუკუნის ხალხს. აი დიდება შენთვის ღმერთო, გადიწერა ბირკვკარი ჭერში შეხედვით.

—უმაწვილო, რა დაგემართა, ერთი ჩვენც გაგვაგებინე, უთხრა ზენონ ტერენტიევიჩმა მოუთმენელობით, ჩვენ კი სულები დაგვლია და.

—აი დიდება შენთვის, ღმერთო, რა ბევრი თავის მტკრევა უნდა, უმაწვილო, ამ საქმესა, რო მელაძეს ერთი გერი ჭყავს, სოფლის ქალიდამ მიეოლილი.

—Ааа! чортъ побери, ოიალუშვილის ქვრივი რო იყო? ცოლბირშიაც რო დაკარგეს? Правда, правда; знаю теперь, знаю; вотъ было развѣсилъ уши! . . . . .

—მოწყალენო ხელმწიფენო, დაიქუხა უეცრივ მეხივით გუსინინმა, რომელიც ამ ლაპარაკში ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა მეტის მრისხანებით, და წამოვარდა კრესლიდამ თმებ აწეწილი.

—უმორჩილესად გთხოვთ დაიწყო მან თრთოლით და კბილების ძაგძაგით, გაუოთხილდეთ სიტყვას, რადგანაც . . . . .

—ბატონო, რა გაკვირებთ, თქვენთვის მოგახსენებთ, რო არ მოტყუვდეთ, უპასუხა ზენონ ტერენტიევიჩმა, თორე მე რა მენადგება.

—საბუთი, ჩქარა? სადა გაქვთ საბუთი? იძახდა გიჟივით გუსინინი თვალების ბრიალით, რომელშიაც წამოუდგა სისხლი და რომელმაც ის იყო, რო ჭსტაცა ამასთანავე ხელი საყელოშიაც ზენონ ტერენტიევიჩს.

—ბატონო, რა გაცხარებთ, უთხრა ლიმილით ბოსორელმა გუსინინს და გამოგლეჯა ხელიდამ თავისი მოძმე, რომელიც ის იყო რო მოიბღუნძა მტრედივით, როდესაც ის მოხვდება ხოლმე მშიერი ქორის კლანჭებს. ჯერ დამშვიდდით, და საბუთს მე თითონ მოგახსენებთ.—

—ნიკიტა მიკარიბ! დაიწყო იმ ყამად გამხნევებულმა თავის მოძმის მოკარგველობას ქვეშ, ზენონ ტერენტიევიჩმა, ეს საქმე ისე ცხა-

დის და მართალი, როგორც ეხლა მე, თქვენი კეთილი მეგობარი თქვენ სახლში ვარ.

—Аа! წაიკლო სიცოცხლით გუსინინმა თმებში ხელი და დეშვა დივანზედ, შემდგომის სიტყვებით: **Будь ты проклята, Саломе Ягоровна! Ты отравила мою жизнь; ты, о, вѣдьма ты Кіевская . . . . . .**

—ბატონო, და რასა სწუხართ მაგისთვის, უთხრა ბოსორელმა ლიმილითვე თუ კი თავადის ქალი გინდათ, თქვენმა მზემ ასეთ მზითვიან და მზეთ უნახავ შეგრთამთ, რო საქართველოში არცა ვინ კი სჯობდეს. მოდი ზენონ, მიუბრუნდა თავის მოძმეს, ჩვენი სოფიკო შევრთოთ; ამის ბედზედ ბარემ ქალიც აქ არი ამ ყამად დედის ავათ მყოფობის მიზეზით; მე მოგახსენებთ შესაფერი არ იქნებიან.

—რაგორ, კნიაზ კვრინჩხაძისა, მიუგო ზენონ ტერენტიევიჩმა, როდი მისცემს; აბა შენგან არ მიკვირს, კაცს ორასი კომლი ყმა ჭყავს და ერთათ ერთი ქალი მემკვიდრე; აბა ეგ რა ჭკუაში მოსატანია შენ გაზდას.

—მაგისი თქვენი არ არი, მე მოვახერხებ; მართალია ბიძა ჩემი ამირინდო ცოტა ძველებური კაცია და რუსები არ უყვარს, მაგრამ შენის შემწეობით ზენონ, იმედი მაქვს რო ბირჯვარი დავაწერინო: იცი ზენონ მე უფრო რისთვის მინდა რო ასე მოხდეს. იმ გადაყრუებულ ბიძა ჩემს ამოუნიყია, ბატონო, გიყოვით, თუ არ თავად ნანიაძეს, სხვას არა კის მიეცემო; მაგრამ მე კი სწორე გითხრა ის უფალი ნანიაძე სრულებით თვალში არ მომდის, რადგანაც დიდიხანია, რაც მე და ის ერთმანეთს თხა და მგელივით უცქერით. გამოტეხილ გეუბნები ზენონ, რო არა მსურს, რო იმან გაიმარჯოს და დაჯდეს ორას კომლს და იმოტენა აუარებელ სიმდიდრეს; ეს კი, ზენონ, ეს, რაკი შენი მეგობარი ბძანებულა, და მეც გავიცან, უთუოთ საფერი იქნება სოფიკოსთვის. დეე ისევ ამან გაიხაროს ყმითა და მამულით, ვინემც ჩემა მოსისხლე ნანიაძემ. ეს სახლის ბლანს მაინც დამიხატამს, როცა ვითხოვ და, აბა ის რას

მარგებს, შენ გაზდას, შე ნუ მამიგვდები, ზენონ, აქა და თავადიშვილი ვარო, გვერთიერთს ალარ გამიტარებს.

—**Богъ съ вами съ вашимъ Ниніадзе!** რაც გინდა ისა ქენით, მე რო საქმესა ვხედავ, მე ვიცი დღეს გამათავებს კიდეც პოლიციმეისტერი, რადგანაც ხო ხედავ დამიგვიანდა, ამოიღო ამ დროს უბიდამ საათი და დახედა.

—**Аа! чортъ побери,** მოდი და, ახლა შენ მორჩი იმის საუბრებს, მშვიდობით ნიკიტა მაკარიჩ, მშვიდობით, სამსახურში მიგეჩქარები, ნურას უკაცრავად. აბა გრიგოლ არ მოდიხარ?

—როგორ არა, მე რაღას გავაკეთებ აქა, და წამაავლო ქუდს ხელი ბოსორელმაც,რომელიც გამეთხოვა გუსინინს შემდგომის სიტყვებით: იმედი მაქვს, რო გაგვაბედნიერებთ, ერთიანათ თქვენის მეუღლითურთ, როცა წამობძანდებით გორისკენ.

—მოითმინეთ ბატარა კიდევ, უმაწვილებო, უთხრა დამშვიდებულმა იმ ყამად გუსინინმა, დღეს ხო მაინც კვირაა და რას მიეჩქარებით.

— არა! არა! არ შემიძლიან, თქვენმა მზემ! უპასუხა ზენონ ტერენტიევიჩმა თავის გაქნევით და დაჭსწვდა ქუდს.

—რახან არ იშლით, ეს უმაწვილი მაინც აქა ბძანდებოდეს, ასე უცებ თავის დანებება როგორ იქნება?

—ეგ თავისი ნებაა, თუ დარჩება მე რა ძალა შემიძლიან, რას იტყვი გრიგოლ?

—არ ვიცი თქვენმა მზემ, უპასუხა ბოსორელმა. მე ეხლა, რო იტყვიან, რო ორ წყალ შუაა, ჭსწორეთ ისე კარ, არც თუ თავის დანებება მინდა ამ ჩემი ახალის მეგობრისა, მერე ამისთანა დროს, და არც თუ ძალუა ჩემს მინდა ვაწყენინო, რადგან, თუ ვინიცობაა ექიმი მოუვიდა, ჩემის მეტს იქ რუსულის ლაპარაკი არა კის შეუძლიან.

—მართლა ვერა გკითხე, რითა ბძანდება, უმაწვილო, კნეინა მაკრინე ავათ? ჭკითხა ტერენტიევიჩმა.

—არ ვიცი თქვენმა მზემ, მიუგო ბოსორელმა რაღაც რამ მუხ-

ლების ტკივილი მოჭსდის ხოლმე კვირაში ერთხელ და ალარ აქვს საცოდავს სულის დგმა.

—წოლით ხო არა ბძანდება?

—არა თქვენმა შუამ დიდის საჭირო სახსარამითით, მაგრამ როცა აუარდება ხოლმე კი, ღმერთმა შენ მტერს გაგზავნოს. . . .

—აა! არა თვერია, რევმატიზმი ყოფილა, უთუოთ პიატიგორსკის წყლები მოუხდება, წამოიძახა უცებ გუსინინმა.

—მშვიდობით, მშვიდობით ახლა კი, დაიძახა გვალად ზენოხ ტერენტიევიჩმა: მაშ რჩები აქა გრიგოლ? მამიკითხე შენ გაზდას ვნიაზი, კნეინა და სოფიოც; ეხლა შენც ხედავ რო საძსახურში მიგეჩქარები და სალამასთვის კი უთუოთ ვიახლები; ბოდიში მამხადე შენ გაზდას, ვინძლო არ დაგვიწყდეს, გაჭმახა კარებიდამ და გამოვიდა გარეთ ღიმილით, ცნობილი მგითხველთადმი სარდასვის კრებბის მეუფრესე გვარად ლიკინსკი.

—დაბძანდით, пожалуйста, ჭსთხოვა გუსინინმა ბოსორელს, როდესაც დარჩნენ ისინი მხოლოდ ორნი; ჯერ მაინც ადრეა და რას მიეჩქარებით.

—მაშ ემაწვილო, დაიწყო გუსინინმა, რაც წელან ბძანეთ, სწორეთ მართალია?

—როგორც ეხლა მე თქვენთან გახლავარ.

—მაშ რა გვეშველება?

—აკი მოგახსენე, თუ გნებავსთ ჩემ ბიძაშვილ სოფიკოს შეგრთამთ, ორასი კომლის პატრონს და ურიცხვის სიმდიდრისას.

—რო არ მოგვცეს?

—მაგისი თქერი ნუ გაქვთ, მაგრამ უნდა კი ეხლავ გაგათხილოთ, რო ბიძა ჩემი ამირანდო, მეტი დაყინებული კაცია და ხარბი, თუმცა კი რიგი არ არი რო ვსთქვა ესენი ჩემ სისხლ ხორცზე, მაგრამ მეგობრობას რალა გეეწყობა, და თუ როგორმე მოგვახერხებთ, ისევ თქვენ რო იცით რუსებმა: пыль въ глаза пустить, ჭსწორეთ ისე უნდა აუხვიოთ იმ ჩემ ბიძია კაცს თვალები, მეც ამისათვის გათხილებთ ეხლავე, რო თუ კი გაბადიათ რამე

სუ ზედ და ჯიბეში უნდა იქონიოთ, რომ თვალები აუჭრელდეს. ოო! საშანელი ძვირი რამ არი, ასე გაშინჯეთ, ეს ხუთი წელიწადია გადავაკვდი ზედ, და თეთრი ულაჟი ცხენი ვერ დავეურე ხელიდამ; ამოუნიეია ბატონო გიყიეთ: ქალის ბატონი ვარ, სიძე მეუოლება, იმათთვინაც საჭირო იქნება, და იმისთვის ალარც დისწულობა, და ალარც ნათესაობავ; ისევ თქვენ თუ მიშველით რასმე, თორემ იმისაგან ეშმაკიც ვერას გამოიტანს.

—მაგაზედ ნუ საუხართ, ეხლავ მომირთმევია თქვენთვის და ისიც რაც თქვენა ბძანეთ ადვილია; ერთი ან თუმსამდინ სუ ბაჯალლო ოქრო მაქვს მოგრეოვილი წვითა და დაგვით, გარდა ნივთებისა, და ბირველ შემთხვევაშივე. ან ქალალდში და ან მოსამსახურის მისაცემად, სუ ერთიანად სტოლზედ წამოვური და მაშინაც ვერ . . . . . მეტადრე თუ თქვენც შემეწევით, და დასძინებთ ჩემზედ, რო ვითომც დიდი ემის და მამულის ბატონი ვარ ჩემ ქვეყანას.

—ჭო! დლეგძელი ბძანდებით, მეც ეგ მედო ულში, უცხო რამ იქნება, მერე ცოტცოტა ლობიებზედ ასონასის თამაშობაც უყვარს! ეიფ! ეიფ! ეიფ! საუცხო რამარი, ახლა კი სწორეთ მოგილოცავთ, ღმერთმა ერთმანეთ შეგაბერეთ! ესეს არი დაბოლოვდა ჩვენი საქმე.

—დროშკა მზათ გახლავსთ, ბატონო, მაახსენა შემოსულმა სასტუმროში ტრავეიმამ.

—დაითხოვე, უბძანა გუსინინმა, ამბარტავანებით ალარარი საჭირო.

—როგორ დროშკა გახლავთ, ბარემ მე გიახლებით, ნება მიბოძეთ, ჭსთხოვა ბოსორელმა გუსინინს.

—მაითმინეთ შენ გაზდას, რას მიეჩქარებით, თქვენ ხო სამსახურის გაცი არა ბძანდებით, რო მიგეშურებოდეთ ლიეინსკეიით; აი საცაა სადილობაც მაატანს და ბარემ სადილიც ჩემთან ინებეთ.

—არა! თქვენმა მზემ, არ შემიძლიან, ვაი თუ დამემდუროს ძალუა ჩემი და თქვენ თითონ იფიქრეთ, რო არ ევარგება, მერე როეს განზრახვაც წინ გვიძევს.

— მაშ თქვენი ნებაა, წაბძანდით, მაგრამ ჯერ რო ვერ გადაგწყვიტეთ.

—რას მიბძანებთ გადაწყვეტილიცაა ჯ მორჩენილიც; სალამოზედ მერგე საათზედ უთუოთ გიახლებით და წაგიყვანთ კიდეც.

—მაშ მოგელოდეთ ?

—პატიოსანი სიტყვა, უპასუხა ბოსორელმა ამპარტავნებით ჯ. გამოვიდა გარეთ ღიმილითვე, რომელიც იყო სარდაფის კრებისვე, მილიციის ათეცარი, წამოსადეგი ტანისა და ჯმუხი . . . . . .

ი. ბერიძე.

დასასრულ მეორე ნაწილისა.

(თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსი.)

ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია:
მიკვირს, თუ სული რად არ მხდომია?
ნაცვლად იმედთა მათ ჩემთა, მზეო.
ჭოკრიოთით ჭვრეტა შელამრჩომია;
განვშორებულვარ შენთანა შვებას,
თუმცა გონება შენთან მხდომია;
კმა-ყოფის გზათა ვხედავ ხლართულად,
სურვილი უქმად გულს შემრჩომია;
გამმხეცებია, ვაჭ! სიყვარული,
და გულსა მიხოკს, ვითალომია.
აქაით გაჯ, მიბრუნო სული,
ვის ტრფიალებით ფერი მკრთომია.
არ გესმის ოხვრა, ოხვრის მიზეზო,
სასმენთა კარნი ჩემთვის გხშომია!..
თუ აწ ვერ გპოვო შენ ჩემ მკურნალად,
ვჭსცნო, რომ მე ბედი სრულად მწყრომია;
რისხვამან შენმან სიცოცხლის ძაფი
შეჭსწყვიდოს, რადგან შესაწყლომია.

(აჩრდილიდან)

„წამხდარა ყველა: ის ლონე და ის ძლიერება,
მტკვრათა შექმნილა ახოვანი იგი ცხოვრება!
აწ ის ცხოვრება თვის დესაში შეყენებულა. . .
იგი ოდესღაც მოდენილა თვის თვრთოა გზაზედ,
ბევრჯელ უსაგრობდ, ბევრჯელ ასრით ალელვებულა,
ქართველის ბეჭედი ყოველთვისა ჩსჩენევია მას ზედ.
დენილა იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა,
ხან დაცემულა და ლომსავით გვლავ ადგომილა,
ხან შური, მტრობა და წადილი ჩსთხრიდა გითედა.
რომელთაც შორის ის ცხოვრება მძლავრი შობილა;
ბოლოს გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი,
სხვა და სხვა ტოტად გადმოსულან, გადმოგდებულან,
დაუნთქამთ შრომა წინაპართა სისხლით მორწყულნი.
როდა ვიხილებ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისს დიდების ნაშთა ზედა გვლავცა ადმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვადასხვათა კავშირთა ბრძოლასა,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლასა?

. . . . . .

. . . . . .

კონრად კიეველი (*)

ანუ

დარიგება ყმაწვილების კარგათ აღზდისათვის.

(გაგრძელება)

X. X.

კონრადი ელვა—ქუხილს ცნობულობს.

ეეურებდი რა ჩემს შვილს, რომ ისე ლამაზათ იზრდებოდა გაშლილს ჭაერში და სიამოვნით ატარებდა ხოლმე დროებას,—კიტეოდი: ეს მდიდარი ხალხი სულელები ხომ არ არიან? არა, ნეტა რისთვის აშენებენ იმოდენა ქალაქებს, საცა ხალხი ძალიან ვიწროთა სცხოვრობს, საცა უშლიან ერთმანეთს, და იმათ შვილებს კიდე არა აქვთ სამყოფი წმინდა ჭაერი, არა აქვთ ერთი ბეწო ადგილი სათამაშოთ და მასთანაც სრულებით განშორებულები არიან ბუნებისაგან. ერთმა კინმემ რომ გააკეთოს საგუბარი, ცუდის წყლით ავსოს, შიგ თევზები ჩაყაროს და თევზები რომ დაიხოცნენ,—სხვანი იტეოდნენ, რომ კარგად ვერ დაიჭირა თავისი საქმეო,—და როდესაც რამდენსამე ყმაწვილსა ერთს ოთახში მოაგწუვდევენ ხ ჩაჭკეტენ, მხოლოთ საცა არ არის ერთი ბეწო ადგილი, რომ ყმაწვილებმა ითამაშონ და გაიცინონ ბუნება,—ამას კარგს საქმეთა ჭვრეტენ.

(*) იხილეთ «საქართ. მოამბე» მარტის ხ ა აპრილის ნომერი.

ერთხელ მე ბაღში ვიყავ და ცერცვს ვმარგლიდი. ცა აიმსო შავის ღრუბლებით; რამთვენჯერმე გაიელა და შორიდამ ქუხილი ისმოდა. კონრადმა დაიძახა: მამა, მამა! ცეცხლი, ცეცხლი! ამითი მიგხვდი მე რომ ცუდი არ იქნებოდა მეჩვენებინა იმისათვის რა არის ელვა და ქუხილი, და მიმეხვედრებინა და ჩამეგონებინა, რომ არც ელვაში და არც ქუხილში საშიში არ არის რა. როცა გაიელვებდა მე დავანახვებდი ხოლმე ელვას და ვეუბნებოდი: უყურე! ეს ელვაა! როდესაც დაიქუხებდა მაშინაც დაუჯერდი ხელს და ვეტყოდი: უური უგდე! ქუხს! იმან დაალო პირი და მალმალ ამბობდა: ქუხ—ელვ.... როდესაც ან ქუხილი იქმნებოდა ან ელვა. რადგანაც ქუხილში და ელვაში მე არაფერს შიშს არ ვაჩვენებდი, იმასაც არ ეშინოდა და მერე როდესაც იქნებოდა ხოლმე ქუხილი და ელვა—ყოველის უშიშოთ, მშვიდობიანის სახით უყურებდა.

პასტორმა მამიწოდა ესა. მე რომ ამ შემთხვევაში შიში მეჩვენებინა ყმაწვილისათვის,—ისიც შაკშინდებოდა და მერე ძნელი იქნებოდა შიშისაგან გარდაჩვევა.

XX.

—ამის შემდეგ, მალე ჩემი ცოდის ძმა მოვიდა ჩვენთან და რასაკვირველია სახა,—თუ რა ალტაცებაში ვიყავი ჩემის კონრადისაგან; მაგრამ, იმის მაგიერ, რომ თითონაც ჩემთან გამხიარულებულიყო, თავბირი ჩამოუშვა, შუბლი შაიგრა და თვანჯარაში იყურებოდა.

—რამ მოგაწყინათ მაგრე? ვკითხე მე.

—აბა რა სიამოვნება მმართებს? მომიგო იმან. მე აქ ვხედავ ლამაზს, ჯანმრთელს, მხიარულს და ჭკვიან ყმაწვილს, და როდესაც ის უხეიროები, ეშმაკები, საძაგლები ჩემი შვილები მამაგონდებიან ხოლმე—ჯავრისაგან ალარა ვარ. მრთელი წელიწადი იმათ სურავანდი არ გამოლევიათ, ერთი იმათგანი ყოველთვის ავათ არის; ერთი წამოდგება თუ არა ახლა მეორე უნდა ჩაწვეს ქვეშაკებში.

იმათ ოთახში მასვლა, სწორე მოგახსენო, საზიზღარია ჩემთვის. რამწამს ოთახში შავალ მაშინვე ჭეიდი და ჩხუბი უნდა შამამესმოს. წამდაუწუმ ჩხუბობენ და სცემენ ერთმანეთს. ერთ ერთი რომ დავასაქმო რაზედამე. მაშინვე ამას მეტყვიან: არ წავალ! გარეთ რომ თამაშობდნენ და მე იმათთან მიგიდე, ასე გონია იმათ ფეხ ქვეშ მიწა იწვისო, მაშინვე დაიქსაქსებიან. არ გიცი იმისთანა რა შავცოდე ღმერთსა რომ, რომ ამისთანა უხეირო შვილები მამცა.

—ვილას აბრალებ, შე საცოდავო, ვამბობდი მე ჩემოვად, ეგეა შენი ბრალია. მაგრამ იმისათვის კი არა მითქვამ რა, ამიტომ რომ ვიცოდი უფრო შაწუხდებოდა. მეორე დღეს სადილათ ჩვენი პასტორი მოვიპატიჟე.

სადილი რომ თავთებოდა, მე ლაპარაკი ჩამოვაგდე ჩემის ცოლის ძმის შვილებზედ და იმან, როგორათაც წელან, განიმეორა თავისი ჩვეული. პასტორმა უგდო მას ყური და მერე უთხრა: მართლა და ჭმართებს ნადვლობა მაგ საქმეს. მერე დაიწყო ლაპარაკი ოსმალოების ომზედ და გათავა ლაპარაკი, შაჭხედა შვილს, რომელიც იყო ამ ახლო ხანში ჩემგან ნასყიდი და მკითხა: ვისი გაკეთებული არისო?

მე ხელოსნის სახელი მოვახსენე. აი ეს ანდაზი აქ გარგათ ითქმის: საქმეს ხელოსნისა ეშინიანო. მე ერთს დურგალს ვიცნობდი, რომელიც ყოველთვის თავის ნამუშავარს უჩიოდა. სხვების ნამუშავარს, რომ დავისახამო, ამბობდა ის, ჩემს ნამუშავრებზედ ჩვილს დავიწყეფო. იმათ სულ ისე წმინდათ, გარგათ აქვთ გაკეთებული... ჩემი ნამუშავარი კი სწორეთ ფურთხის ღირსია. რას იტყვით ამ დურგალზედ, უფალო ახაორნო. (ასე ეძახოდნენ ჩემი ცოლის ძმას)

—სწორე მოგახსენოთ, ალბათ გარგათ არა სცოდნია თავისი საქმე, დურგალმა რო მითხრას—მე რომ შვათი გავყიდე არ ვარგა, მე ეს უნდა ვიფიქრო, რომ ალბათ ამაზედ კარგი გაკეთება არ იცის.

—მაგაზედ ჩვენ თანახმანი ვართ, სთქვა პასტორმა. მაგრამ მე მგონია, რომ როგორათაც შვათის საქმეა, უმაწვილების საქმეც ხანდისხან ასე არის ხოლმე. ვინიცობაა მამამა ან მასწავლებელმა,

რომ იჩიგლონ ჩემთან, რომ ყმაწვილები არ მიგვრგანანო, მე ეს უნდა ვითქვიო: რომ არ იცან იმათი ალზდა. რასაკვირველია ბუნებითგანვე ზოგი ყმაწვილი კარგია, ზოგი არა; მაგრამ როგორც კარგი დურგალი ცუდ ხესაც კარგათ გამოაყენებს, აგრეთვე ჭკვიანს მამასაც და მასწავლებელსაც შეუძლიანთ ცოტა რამ კარგი ასწავლოს ყოველს ყმაწვილს და ცუდი გამოაყენოს.

მართალია ყმაწვილების ალზდაში ბევრი ძნელი კითხვები შამოგვხვდებიან ხოლმე და ჭკვიანმა მამამაც არ იცის რა ქმნას და რა არა. ყმაწვილი ავათ გახდება და მაშინვე თუ ვერ შაიტყობ მიზეზს ან ცუდს ხასიათს დაიჩემებს და ეურს რომ კარგათ არ უგდებთ— დაჭსჩემდება და მერე სიდიდეში რომ შაატყობთ—გაიკვირვებთ და არ იცით საიდან დაჭსჩემდა ეს ხასიათი. რომელსაც უფრო განსვენებული ცხოვრება უყვარს—ის დიდხანს არ დაუწყებს საქმეს ეურებას, საქმეს ისევ ისე დაანებებს თავს როგორც იყო და ყოველს ავათმყოფობას და ნაკლულოვანებას თითონ შვილებს გადაბრალებს: ესაო ბუნებითგანვე სუსტი არისო, ეს საძაგელი რამ არისო ლ სხვა.

მაგრამ რომელიც გონიერად და ღრმად უეურებს ყმაწვილების ალზდას, იმან თუ შაატყო რამე ყმაწვილს: ან ავათმყოფობა, ან ნაკლულოვანება რამ, მანამ არ იშოვის მიზეზს, რომლისაგანაც ყმაწვილს დაჭსჩემდა და არ იშოვის ღონისძიებას, რომლითაც შესაძლები იქმნება ამ ნაკლულოვანებისა მორიდება—ვერ დამშვიდდება. ამისთანა კაცს თითქმის ყოველთვის კარგათ უთავდება საქმე. მე ვამბობ, თითქმის, ამიტომ რომ ყველა ყმაწვილი ერთი არ არის; ზოგი მართლად დაბადებითგანვე სუსტია, ავათმყოფია, ზოგი ძალიან უჭკოები არიან, ზოგი ზარმაცები, ზოგი ცუდის ხასიათისა—ასე რომ ამათ მოშორებას ძალიან დიდი ჯავა უნდა. მაგრამ ეს მხოლოთ ათასში ერთია. მომატებულათ უფრო კარგნი-ჯანმრთელნი და კარგის ხასიათისანი იბადებიან. ამისაგამო ყოველს დედამამას, რომელნიც ჩემთან თავიანთ შვილებზედ იჩივლებენ, ამ დარიგებას მივცემ, ჯერ კარგათ ითქვიან: თითონვე ხომ არ შამცდარან როგორმე ყმაწვილის ალზდაში. რომელიც ჩემს დარიგებაებს

ყურს უგდებს—მადლობასაც მეტყვის ხოლმე, და ისინი კი რომელნიცა ყოველს ნაკლულოვანებას თავიანთ შვილებსვე აბრალებენ, ვერას დროს ვერ მისცემენ კარგს აღზდას შვილებსა.

მე რომ კანდიდატათ ვიყავი, რამდენიმე ყმაწვილი მებარა, რომლებთაც წერას ვასწავლიდი. როდესაც ნაწერს ბაძიტანდნენ — შავნიშნავდი ხოლმე შეცდომებს, ასე რომ მერე ცდილობდნენ. რომ ალარ მოჭსვლოდათ შეცდომა და დიდათ მადლობელნიც იყვნენ ერთი იმათგანი, სახელათ კარლი, ყოველთვის წინაამდეგი იყო ჩემი; შეცდომებს რომ გაუსწორებდი, — ხან ქალალდს აბრალებდა, ხანკალამს ხან თავის მეზობელს და სხვ. ერთის სიტყვით ყველას ჯ სუყველას აბრალებდა, თავის თავს კი არას დროს. რალა გამოვიდა? ყველამ კარგი და ლამაზი წერა ისწავლეს,—ისკი ისევ იმისთანათა სწერდა, როგორათაც ბირველში.

ამ სახით მშობლებიც, რომელნიც ყურს უგდებენ კარგს რჩევას და ბირველად თითონვე მოიშლიან ცუდს ხასიათებს ან ნაკლულოვანებაებს, რომლის გადალება ყმაწვილებს ადვილად შეუძლიანთ და ყველა კარგს დაანახვებენ თავიანთ შვილებს—შვილს ისინი კარგად გაზდიან. სხვები კი, რომელნიცა სულ თავიანთ შვილებს აბრალებენ—ისინი ხეირიანს ვერაფერს ვერ გაკეთებენ.

როგორც უნდა იყოს — უჯკოვო იქნება ყმაწვილების ნაკლულოვანებაზედ და ცელქობაზედ ჩივილი. ის იმასა ჭვავს, რომ ხელოსანმა თავის ნამუშავარს ჩივილი დაუწყოს. ყოველი ჯკვიანი კაცი, რა შაიტყობს ამ გვარ ჩივილებს,—იტყვის რომ თავისი საქმისა თითონვე არა სცოდნია რაა.

ჩემი ცოლის ძმა გაჩუმებული იჯდა და მერე გარეთ გავითა. იმის გასვლამდინ,— ამ ჩვენს შაურილობაში—ჩემი ბიძაშვილი შლისსელი შამოვიდა და ეური მოჭკრა ზოგიერთის სიტყვაზ. ჩემი ცოლის ძმა გარეთ რომ გავიდა მობრუნდა და სთქვა: მე სრულებით თანახმა ვარ მაგ ლაპარაკისა, ე. ბასტორო! ყმაწვილების სიცუდე—ყოველთვის მშობლებისა და მასწავლებლების ბრალია.

—ყოველივის არა. მაგას ვერ ვიტყვი; მაგრამ უფრო მოამატებულად კი, შენიშნა პასტორმა.

—ჩემს შვილებზედ არა ჩიგილი არა მეთქმის რა. მშვენიერი ყმაწვილები არიან! აი ფერდინანდი, აქ რომ ზის—ყური რომ უგდოთ გაჭვირდებით იმთვენი იცის. მთელი დღე წიგნებზედ ზის და კითხულობს; ყოველი წაკითხული გონებაში რჩება. ფორტოპიანოზედ უკრავს, ჭიანურზედ და სხვ. ფერდინანდ! აბა აქ მოდი, გვიჩვენე შენი სწავლა.

დაიწყო ყმაწვილის გამოცდა, და მართლაც ყმაწვილმა ბევრი იცოდა, სანამ გამოცდა გათავდებოდა, პასტორმა დასჭრა პური წვრილწვრილათ, მისცა ფერდინანდს და უთხრა: ჭა, ჩემო მეგობარო! სამყოფია შენი სწავლა, აი ეს თეფში პურით წაიღე და ქათმებს დაუყარე. ფერდინანდი, როგორც ჭარხალი გაწითლდა, უყურებდა ხახ თავის მამას, ხან მე—მითამ უნდა ეჩიგლა, რომ როგორ მაკადრებენ ამისთანა დაბალ საქმესაო. რადგანაც არც მე და არც შლისსელმა ხმა არ გავეცით—შერცხვენილი გავიდა გარეთ და ალარ მობრუნდა.

პასტორსაც ეს უნდოდა, ფერდინანდი გავიდა თუ არა გარეთ,—პასტორმა დაუწყო შლისსელს—შემდეგი ლაპარაკი: სწორე მოგახსენოთ, თქვენმა ყმაწვილმა რაც შეეფერება მაგის ხანს,—ბევრი იცის.

შლისს. დიახ, ბევრი, ძალიან ბევრი იცის! სუფველას უკვირს.

პასტ. უფრო ბევრი რომ სცოდნოდა—ჯან მრთელობა კი მაგარი არა ჭქონოდა, სასიამოვნო იქმნებოდა თქვენთვის?

შლისს. რასაკვირველია არა.

პასტ. დიახ. ჯან მრთელი გლეხი კაცი უფრო ბედნიერია, ვიდრე ავათმყოფი ნასწავლი და ის უფრო მეტს სარგებლობას მოიტანს ვიდრე ეს. მაგრამ ჯან მრთელობა ორ ნაირია: ჯან მრთელობა სხეულისა და ჯან მრთელობა სულისა. ჯან მრთელობა სულისა ძალიან ცუდს მდგომარეობაში არის თქვენს შვილში.

შლისს. რაგორა?

პასტ ასეშიშარია, რომ თქვენი შვილი გულამაყიანი და დიდ-

გულა გამოვა. გულამაყობა და დიდგულობა ძალიან საშიშარი სულის სენი არიან. როგორც იმ კაცს მოკვრიდებით ხოლმე, რომელსაც პირი უყარს, აგრეთვე—იმათაც, რომელნიც ამისთანა ხასიათებისანი არიან. დიდგულა კაცი, საცა უნდა მივიდეს, სულ ის უნდა, რომ აქონ, იმის საქმეებზედ გაიგვირვონ, მარტოკა ამას უგდონ ყური. თუ ასე არა ჰქმნეს, გაიბერება, ჩამოუშვებს თავპირს, წავა შინ და დაიწყებს წყრომას და ჯავრობას: რათა? ამიტომ რომ დიდგულაა. ამ გვარი ნაკლულოვანებანი ხომ არა შაგიმცნეგიათ რა ფერდინანდში? მე რომ ყური არ მიუგდე მაგის გამოცდას და ყურს არ უგდებდი ლაპარაკს, გაიბერა; როდესაც უ ძანე წადი ქათმებს პური დაუყარე მეთქი, რომელშიაც არათერი უკადრისობა არა არის რა ემაწვილისათვის, გაჯავრდა და ალარ შამოვიდა ოთახში. უ. შლისსელო! თქვენს ემაწვილში ეხლავე ბევრი ცუდი რამ არის!

შლისს. მაშ რა უყო? ესწავლელათ დავაგდო თუ?

პასტ. სწავლაშიაც ისე მოხდება ხოლმე, როგორათაც საჭმლის ხმარებაში. ვისაც სიცოცხლე ჭსურს, უნდა ჭამოს, შრომა გასწიოს, რომ როდისმე გამოადგეს ვისმეს. მაგრამ ხან და ხან ისე მოხდება, რომ კაცი ძალიან ბევრს სჭამს და მოკვდება; ან ასე ვთქვათ: ზოგნი იმთვისა სწავლობენ, რომ არ შეუძლიანთ იმთვინი ჯათვის ატანა და იხოცებიან. რომელსამე მამას, რომ უთხრა: თქვენი შვილი ძალიან მსუნაგია და იმან ასე მამიგოს: მაშ არა ვაჭამო რაა! ეს კითხვა თქვენსას ეგვანება: ესწავლელად დავაგდოო? უნდა ისწავლოს, მაგრამ ამთვენიც არა, რომ ვერ აიტანოს. ემაწვილი თუ ზომიერათ არასწავლობს და მთელი დღე სულ წიგნებში აქვს გულის ყური,—აშკარაა რომ მალე გაასწრობს თავისამხანაგებს და მერე უეჭველია იფიქრებს, რომ მეუველასა ვჯობიგარო! ამისაგამო მითამ ამპარტავანი და ამაყი არ შეიქმნეს თუ? მერმე თუ ქებაც დაუწყეს, როგორც თქვენა ჭშვრებით . . . . . .

შლისს. მე? განა მე ვეხმარები ემაწვილს, რომ ამპარტავნობას დაეჩვიოს? შეგიძლიან დამიმტკიცოთ?

პასტ. ამის დამტკიცება ძნელი არ არის. ეს ხომ მართალია,

რომ აქებთ თქვენს ყმაწვილს და როგორ? იმის თვალწინვე. განა ამითი მიზეზს არ აძლევთ, რომ ყმაწვილი გაამპარტავანდეს? ვაჟკაცსაც რომ დაუწყოთ ქება, ისიც კი გაამპარტავნდება არა თუ ყმაწვილი.

უ. შლისსელს, როგორც ეტყობადა არ მოსწონდა ეს ლაპარაკი. წავიდა შინ იმ მიზეზით, რომ ბევრი საქმეები მაქვსო და თვერდინანდიც თან წაიყვანა. მერე პასტორმა სხვა ბევრს შეცდომებზედ ალაპარაკა, რომელნიც ალზდაში მოხდებიან. არიან ზოგიერთნი იმისთანა მშობლები, რომელნიცა წამდაუწუმ უჯავრდებიან თავიანთ შვილებს, ეძახიან: სულელო, საძაგელო, და სხ. კაცს რომ დაუნიყოთ ყოველთვის სულელი ხარო, ბრიყვი ხარო,—უეჭველია ამ თვისებაებს თუნდა არა ჭქონდესო ბოლოს მიიღებს. ზოგნი კი სულ ამასა ცდილობენ, რომ აქონ თავიანთ შვილები და ჩაგონონ, რომ მითამ იმას არავინა სჯობდეს. მოამატებული ძაგებაც და ქებაც წაახდენს ყმაწვილს. თქვენ. უ. კითვერ! შუა გზა ამოირჩიეთ. ყოველს საქმეში ასე სჯობია და რასაკვირველია გაზდაშიაც.

როგორათაც აქამდინ,—ეხლაც ეური მივუგდე პასტორის სიტყვებს და უფრო ეს იყო მიზეზი, რომ ჩემი საქმე ყოველთვის კეთილათ დაბოლოვდებოდა ხოლმე.

XXI.

რა ისწავლა აქამდინ კონრადმა და რა არა.

სანამ კონრადი ოთხის წლისა შეიქმნებოდა, მოამატებულად ვასწავლიდი ა ამ ოთხს საგანს: გულის ყურს ვუსმენდი და მორჩილობას, მშვიდობიანობას და ზომიერებას ვასწავლიდი.

პირველს ვასრულებდი ამითი, რომ ვაჩვენებდი ხოლმე პირუტყვებს, ყვავილებს და სხვა ბუნების მშვენიერებას; მეორეს,—როდესაც ჩემთან იყო უბძანებდი რასმეს და ვაჩვევდი ჩემის ბძანების

ალსრულებას; მესამეს ამითი, რომ მოუპატიჟებდი იმას სხვა უმაწვილებს კ ჩემ თვალ წინ გათამაშებდი; რამწამს ჩხუბი გამოერეოდათ,— მაშინვე დაწვრილებით გავარჩევდი სუფველაფერს და დამნაშავეს ცოტას ხანს აუკრძალავდი თამაშობას. მეოთხეს ისე დავაჩვიეე, რომ არ დავდიოდი იმის ნებაზედ და რაც არ მამწონდა, იმისი სურვილიც რომ ეოფილიყო, არ ვაკეთებინებდი. მაგალითად: ერთხელ ბევრი თათელი მოვაგრეე და ერთი საკმე ბლუდი შამოვიტანე ოთახში. თათელი, თათელი! დაიძახა იმან სიხარულით, მამა! თათელი! მოიდგა სკამი სტოლთან და ავლოდდა, რომ პურზედ წამესვა და მიმეცა. მაგრამ მე ეს არ ვქმენ.

—არა, ჯერ ვერავის მიეცემ თათელს; ჯერ წავიდეთ ცერცვი დავთესოთ და მერე ვჭამოთ. კონრადმა ჯერ მე შამამხედა, მერე თათელს და უკან გამამეკა ბაღში.

როდესაც მეოთხეთ ვდღესასწაულობდით კონრადის დაბადებას, წათლიამ მოართვა იმას პატარა ანბანი და დაარიგა რომ კითხვა ესწავლა. მერე მე მკითხა,—არ გისწავლიენია ზეპირათ ლოცვები და სამლოთო ლექსები? უმაწვილი იზრდება, ეხლა კი დრო არის საქრისტიანო რჯული ასწავლო.

—როგორი ლექსები უნდა ვასწავლო? ვკითხე მე.

—ვინ იცის, ბევრი კარგი ლექსებია, მითხრა იმან და ზეპირათაც სთქვა ერთი სამლვთო ლექსი

—ეგ ძალიან კარგი ლექსებია, მაგრამ რა უყოს მაგას კონრადმა? ერთს სიტყვასაც ვერ გაიგებს მაგაში

ის. მაგას რას დაჰსდევ, რომ ვერ გაიგებს? საჭირო ეს არის, რომ ზეპირათ იცოდეს.

მე. მაგაში, ჩემო ნათლიავ, ვერ დაგეთანხმებით! ჩვენმა პასტორმა თქვა: რაც სწავლაში მოხდება ხოლმე—ისევე საჭმელშიაცაო: მე იმისთანა საჭმელს როდი მივცემ,რომლის ტანა არ შეუძლიან, როგორ უნდა ვაჭამო, თუ მუცელი ვერ მოჭხარშავს?

ბევრი მაგალითი ეოფილა, რომ ძნელათ მოსანელებელს საჭმელს მუცელი წაეხდინოს. იმის სწავლება რომ დაუწყო რაც არ

ესმის — არა თუ სარგებლობა ექმნება, ძალიან საკნებელი იქმნება ჩვენისათვის.

ის. არა, მშობლები უნდა ვზრუნავდნენ, რომ იმათი შვილები ქრისტიანობაში გაიზარდნენ.

მე. რასაკვირველია; მე სწორეთ მაგრე ვჩანდიან; მაგრამ,— განა ქრისტიანობის სწავლობისათვის, უმაწვილს ზეპირათ უნდა ვასწავლოთ იმისთანა ლექსები, რომელსაც ვერ გაიგებს?

მე ამ ლაპარაკისათვის ოთვი უნდა მამეშორებინა და იმიტომ დაუწყე ლაპარაკი ზეთზედ, რადგანაც, ზეთის გამოხდა იმან კარგად იცოდა,—დამიწყო დაწვრილებით ლაპარაკი. მეორე დღეს ეს ჩვენი ლაპარაკი პასტორს უამბე,—ბევრი იცინა და მერე მკითხა: აბა რას ასწავლიდით აქამდინ კოხრადსა?

მხოლოთ ამას, რომ ყური ეგდო ჩემთვის, ყოფილიყო მორჩილი, მშვიდობის მყოფი და სცოდნოდა, რომ სურვილი ზამას არ უნდა გადაცალოს.

—ძალიან კარგი, სთქვა პასტორმა. მაგითი თქვენ დაგიწყიათ, თქვენის შვილისათვის, რჯულის სწავლა. ყოველს ამას თითონ რჯული გვთხოვს; და უფრო საძჯობინარია, რომ ყმაწვილებმა ასრულონ ის რაც რჯულით უწერიათ—ვიდრე ტყუილად თავი და გონება დაიბნელონ იმის ზეპირად სწავლითა, რომელსაც ვერ გაიგებენ.

კაცი ჭკვით მცხოვარს ხომ ვერ დაემჯობინება. მცხოვარი როდი ატანდა ძალას, თავის ყურის მგდებელს, რომ ლექსები ზეპირად ესწავლათ: ის ბუნებაზედ, ზეციერ ფრინველებზედ, მინდვრის ყვავილებზედ უჩვენებდა ხოლმე და იგავებით ელაპარაკებოდა. აქამდინ თქვენ ისე ასწავლიდით თქვენს შვილს, როგორათაც მცხოვარი ხალხს; ამის შემდეგაც გირჩევთ—ნუ გამოსცვლით მაგ თქვენს გზას; ისევ ისე ელაპარაკეთ ხოლმე: ბუნებაზედ, პირუტყვებზედ და სხვა.

—თქვენ თითონ გაიგებთ—რაზედ უნდა ელაპარაკოთ და რაზედ არა. ნუ რას დროს ნუ ელაპარაკებით თვალთმაქცებზედ ან სიზმრებზედ, მოჩვენებაებზედ და სხ. ნუ ეტყვით ნურაფერს იმისთანას, რომლი-

ხაგანაც ან შაშინდეს, ან სხვა ცუდი ხასიათი დაჭყვეს რამე. ელაპარაკეთ მხოლოთ ისე, რომ თქვენის დაპარაკით ჩაგონოთ სიყვარული კეთილის მოქმედებისა. აჩქარება არა თვერში არ კარგა; ყოველს საქმეში უნდა სიწყნარე და მოთმინება. როგორათაც ჯონრადმა ჯერ ცოცვა ისწავლა, მერე ცოტა სიარული, და ბოლოს ხტუნვა და სირბილი,—სწორეთ აგრეთვე წყნარათ უნდა განავლვიძოთ იმაში სურვილი კეთილის მოქმედებისა.

როგორათაც თქვენ, ჩემო საყვარელო კიოვერ, იქცეოდით, აყმაწვილებდით თქვენს თავს, როდესაც უჩვენებდით ხოლმე ჯონრადს პირუტყვებს, სურათებს და სხვ. სწორეთ ისევე უნდა მოიქცეთ დაპარაკშიაც. აი ეური გვიგდე მე და ჩემი თვალ როგორ ვილაპარაკებთ. პასტორმა დაუძახა თვალს, დაისვა მუხლზედ და დაუწყო აი ეს შემდეგი: «მამა! სთქვა ერთხელ პატარა ფილიპემ: რა კარგია კარეთ! გუგული გუგუნებს, ჩიტები მღერიან და ყველაფერი დაფენილია ყაყვილებით. გამიშვი კარეთ მეც, მამა! უთხრა პატარა ანდრიამ.

—კარეთ რას გაკეთებთ? ჰკითხა იმათ მამამ.

—ეურს დაუგდებთ ფრინველების ჭიკჭიკს, ყვავილებს დაჭკრებთ და სხ., უთხრა ფილიპემ.

—წადით! უთხრა მამამ. თქვენ დღეს ჭკვიანათ იყავით; კეთილს უმაწვილს მე სიამოვნით დავითხოვ,—დროს გასატარებლათ.

როგორი გაუხარდათ ფილიპეს და ანდრიას: დაუჭირეს ერთმანეთს ხელი და გაიქცნენ დედასთან: დედა! ახალი ამბავი იცი რა არის? მამამ მინდორში წასვლის ნება მოგვცა.

უმაწვილები მიადგნენ ერთს მინდორს, და ერთს პატარა წყალს თეკზებით სავსეს. ფილიპე დაჯდა ამ წყლის პირას და უყურებდა თეკზების თამაშობას. ანდრია კიდე—დადიოდა აქეთ იქით. მერე მიუახლოვდა ერთ ჯაგს, შედგა, დაადო პირი და დაასქორდა ერთს ალაგს: იმან დაინახა ბუდე პატარა ბარტყებითა. ამათმა დედამ, რა შაიტეო, რომ პატარა უმაწვილმა იპოვა იმისი ბუდე, დაიწყო მწუხარის ხმით ჭიკჭიკი, მითამ ამისთვის რომ შესტოდებიეო უმაწ-

ვილს და ხელი არ ეხლო. მაგრამ ანდრიამ ყური არ უგდო იმის მწუხარების ხმას; აიღო ბუდე ბარტყებითა, შაახვია ხელცახოცში, გაიქცა და დაიძახა სიხარულით: ეი, თეოლიბე, თეოლიბე! ბარტყებით ბუდე ვიპოვე.

—რაა? დაუძახა თეოლიბემ, ბარტყები გუაგს? ანდრიამ გასხნა ხელცახოცი და უჩვენა ძმას ბარტყები. თეოლიბეს შაებრალა ეს საცოდავი, დედისაგან მოშორებული ბარტყები და უთხრა: ახ! რათ წაართვი საწყლები, თავიანთ პატრონს? მოეგრინდა დედა, შამოჯდა მახლობლათ ხეზედ და დაიწყო ისევ მწუხარებით ჭიკჭიკი. თეოლიბეს უეგრო შაებრალა; მაშინვე გაიქცა მამასთან და უთხრა: მამა! შაჭხედე რაებსა სჩადის ანდრია! ერთი ბუდე იპოვა ბარტყებითა და წაართვა საცოდავს დედას. შენ რომ გაგეგონა იმათი დედის ჭიკჭიკი—უეჭველად შაგებრალებოდა.

ანდრია კი წავიდა, ჩასხა ბარტყები გალიაში და დაუწყო იმათ ზრდა—თეთრის პურით და რძით.

მამამ ანდრიას დაუძახა. ანდრიავ, უთხრა იმან, ეს რაები მესმის შენზედ? შენ საწყალ ფრინველს თავის ბედნიერებას რად ართმევ? რამთვენი ბარტყები იყვნენ ბუდეში? ხუთი, სთქვა ანდრიამ.

ესი შენის გულისათვის შვიდი ფრინველი უნდა შაწუხდეს. ორი—დედ-მამა, რომელთაც თავიანთ ბედნიერება წაართვი; და ხუთნი ჟვენი, რომელნიცა დედ-მამას მოაშორე. აბა, დღეს გიღა გაახარე? წადი, ცუდი ემაწვილი ხარ! დღეს ჩემს ოთახში არ შამოხვიდე.

ანდრია წავიდა და ტირილი დაიწყო. მეორე დღეს დილით ანდრიას გაჩქარებული მიჰქონდა საჭმელი ფრინველისათვის; მაგრამ უეცრათ შედგა და მოჰყვა ღრიალს.

ამ ღრიალზედ თეოლიბე მოვიდა და ჰკითხა: რა დაგემართა?

ახ! უთხრა იმან, ჩემი ბარტყები—დი—დი—დიხოცნენ.

გაჯავრებული გამოვარდა შინადამ და ბაღში შავიდა. რამწამს დაინახეს ამ დახოცილების დედ-მამამ ეს ემაწვილი, დაიწყეს ტრიალი მის ახლო, და ჭიკჭიკი ნაღვლიანის ხმით. ანდრიამ უეგრო უ

ერესად დაიწყო ტირილი, გაიქცა ისევ შინ, შამოეყარა მამას, გამოართვა ხელი და უთხრა: მამილო ჯან? მაპატიე, ჩემს დღეში ალარ ავიღებ ხელში ფრინველების ბუდეს; ბარტყები დამეხოცნენ ამათი დედ-მამა კიდევ ტირიან. . . და მთხოვენ. . . თავიანთ შვილებს. . . მე. . . სიდამ ლა მიყვე. . , განა არ გითხარ მე შენ, რომ შვიდის ფრინველის ცოდვაში ჩავარდი მეთქი. მეორეთ ეგ ალარა ქენ!

მამა! დამიჯერე, უთხრა ანდრიამ, ჩემს სიცოცხლეში ალარავის მაგას.

მართლად ამის შემდეგ ალარ უქმნია ამ გვარი საქმე.

აბა, ეხლა კი სწორეთ მითხარ ფედა! რომელი უფრო მოგწონს, ფილიპე თუ ანდრია?

ფილიპეს უფრო კი გული ქონია და კი უმასწავლია ფოფილა, უთხრა ფედამ. დიახ, მეც უფრო ის მამწონს უთხრა პასტორმა; მერე აკოცა თავის შვილს და დაითხოვა.

მერე მამიბრუნდა მე და მითხრა: აი ამ გვარი სწავლა თანასწორეა—ქრისტეს სწავლასთან.

XXII.

კონრადი ჭეშმარიტს ერთს გვარს შიმშილს და იმაზედ თუ როგორ მოეკლა ეს შიმშილობა

არც ჩე და არც ჩემი ცოლი არა სიცუდეს არა ვხედავდით ოამაში, რადესაც კონრადი ამბობდა: მშიანო და ჩვენ ყოველთვის მივცემდით ხოლმე ხან პურსა კარაქით, ხან თავოლით, ხან ხილს და სხვ. მაგრამ პატარა ხანის შემდეგ ამაშიაც შეცდომილება შავტუეთ.

ხან და ხან კონრადი ცუდს გუნებაზედ რომ იქმნებოდა—ტირილს დაიწყებდა ხოლმე და რადესაც ვკითხამდით რა გატირებსო მაშინგე იმას მოგვიგებდა პასუხათ, რომ მშიანო. ჩვენ ყოველთვის

მიეცემდით რასმეს. ეს არ ურდა გვექმნა, ამიტომ რომ არ ვარგა ემაწვილი ისე დავაჩვიოთ, რომ ტირილით გამოგვთხოვოს რამე. მაგრამ ჩვენ როგორღაც შემოგვეპარა ეს შეცდომილება, და კონრადმა რაკი ეს შაგვამცნიეა, როდესაც ეტირებდა, შეუბოვრობისა გამო ამბობდა: მშიანო.

ერთხელ კონრადი ძალიან გაჭირვეულდა, მე ვკითხე: კონრად! რა გატირებს? მშიან, მამიგო იმან.

მე იმთვენი უჭკოობა მოვიხმარე, რომ მართლად მივეცი ვაშლი, თუმცა ის იყო სადილი გავათავეთ. მაგრამ კონრადმა ხელიც არ ახლო ვაშლსა.

ეს მე მეწყინა. მე შავნიშნე, რომ ამ ნებივრობითა—ტყუილს დავაჩვიეთ, ამაზედ ჩემს ცოლს ველაპარაკე და ჩვენ მივეცით ერთმანეთს სიტყვა, რომ არ მიგვეცა საჭმელი, როდესაც ტირილით თხოულობდა. ეს ალვასრულეთ კიდეცა.

რომ კონრადი ამ საქმისათვის მამემზადებინა,—მე უამბე ერთი ისტორია თომაზედ და ვასოზედ. ერთს მამას, უთხარი მე, ორი შვილი ჰყვანდა; ერთს ერქვა თომა, მეორეს ვასო. როდესაც თომას უნდოდა გამოეთხოვა რამე მამისათვის, მაშინვე ტირილს დაიწყებდა, და როდესაც მამა ჰკითხავდა: რა გატირებსო? ის ეტყოდა: ან მშიანო, ან მწყურიანო, ან ბალში წასვლა მინდაო. ვასოს კი როდესაც მოუნდებოდა რამე,—არც იტირებდა, არც გაჭირვეულდებოდა, მივიდოდა პირდაპირ მამასთან და ეტყოდა: მამა! მიბოძეთ რამე მშიან, ანუ წყალი მიბოძეთ ანუ ნება მიბოძეთ ბალში გიახლოთ.

აბა, რომელი უფრო მოგწონს—კონრად?

ვასო, მამიგო იმან.

მეც ის მამწონს. ვასოს ყოველთვის აძლევდნენ რასაც კი მაითხოვდა; თომას კი არათერს — თუნდა რამდენიც უნდა ეყვირნა. სანამ არ გასჩუმდები არათერს მოგცემო, ეტყოდა ხოლმე მამა.

აბა, მითხარ—კარგათ ექცეოდა იმას თავისი მამა? დიახ, სთქვა კონრადმა და გაწითლდა, როგორც ალუბალი.

რამდენსამე დღის შემდეგ კონრადმა კიდევ დაიწყო ტირილი და სულ ამბობდა: მშიან!

თომა გინდა გახდე? უთხარი მე.

კონრადმა შამამხედა მე—უეცრო დაიწყო ტირილი და ამბობდა: არა, არა მინდა თომა გავხდე. ამის შემდეგ ტირილსაც თავი დაანება, რადგანაც შავატყობინე, რომ იმითი ვერაფერს იქმოდა.

მე ურჩევ ყოველს მშობელს, როდესაც ემაწვილი ტირილს დაიწყებს, ყურს ნუ უგდებენ იმ მიზეზს, რომლებსაც თითონ ემაწვილები ამბობენ; თორემ ტყუილს ისწავლის ემაწვილი.

მე ერთს ემაწვილს ვიცნობდი, რომელსაც ხანდისხან მუცელი ასტკივდებოდა ხოლმე. მშობლები ამაზედ ძალიანა სწუხდნენ. ემაწვილმა ეს ჩაინიშნა და მერე, როდესაც შაუშოვრობისა გამო ტირდა; ამ კითხვაზე რა გატირებსო, უპასუხებდა, რომ მუცელი მტკივაო.

ერთს კიდე პაპა მოუკვდა და ძალიან ტირდა იმაზედ.

ეს მოსწონდათ მშობლებს და ამბობდნენ: რა ძალიან უყვარს თავისი პაპაო! მერე როდესაც იტირებდა და მშობლები ჰკითხავდნენ მიზეზს—ეუბნებოდათ, რომ პაპა მოკვდა და იმიტომა ვტირიო.

XXIII.

ჩხუბი და წყენა.

აქამდინ მე და ჩემს ცოლს არც ჩხუბი მოგვსვლია და არც გვიწყენინებია სიტყვით ერთმანეთისათვის. მაგრამ ერთხელ ისე მოხდა რომ ჩხუბი მოგვივიდა. ერთხელ ბევრის მუშაობის შემდეგ—გაჯავრებული მოვედ შინა, მაგრამ სადილი ჯერ მზათ არ იყო ჯ ამაზედ უეცრო გავჯავრდი. ჩემს შინ არ ყოფნაში—ჩემს ცოლს ლაპარაკი მოსვლოდა მეზავრეულთან და ისიც ცუდს გუნებაზედ იყო. ორნივ გაჯავრებულები სადილზედ დავსხედით.

მე მგონია ცოტა რამ მაინც უნდა გეფიქრა შენს ქმარზედ-ნახევარ დღე ველში ვცურავდი ამ ჯაჯანაქებაში ვმუშაობდი, ახლა შინ მოვედი მშიერი, დაქანცული, საღილი კი მზათ არ არის.

აქ პატარა ალიაქოთი მოხდა, იმან უწყალო კაცი დამარქა, და მითხრა, რომ ჩემი დათვსება არ იცი შენთან და მაგისთანა შენი ქცევა მალე მამისწრათვებს დღეებს. ამ სიტყვებმა უფრო მეტათ გამაჯავრეს და დაუწყეთ ერთმანეთს სიტყვით წყენა. კონრადი სულ ყურს უგდებდა. აქამდისინა ისა თავის მშობლებში სიყვარულის მეტს ვერას ჭხედავდა—ახლა კი ჩხუბი და ცუდი სიტყვა ესმის. ჯერ ჩუმათ იჯდა მერე კი მოჭყვა ღრიალს. ჩვენ რომ მაშინ ჩვენი ჯავა გვქონოდა, რა შავტეთ რომ ემაწვილს ეწყინა უნდა გავჩუმებულიყავით, მაგრამ ჩხუბში კაცს თვიქრის დრო როდილა აქვს. ჩხუბი თან და თან უფრო ცხარდებოდა, ერთსაც და მეორესაც გვინდოდა დაგვემტკიცა ჩვენი სიმართლე და ერთმანეთის დანაშაულობა. ბოლოს ცოლმა გაიმარჯვა, დაიწყო ტირილი ჯ სთქვა: ახ, რა უბედური დედაკაცი ვარ! ნეტავი ღმერთმა შამიბრალოს და შამკლას! კონრადი მივარდა იმას, ჩაუდო თავი კალთაში და ტირილით ეუბნებოდა: დედავ! დედავ! ჩემო კარგო დედავ!

მეც შამეცოდა საწყალი, მაშინვე ავიღე ქუდი და მინდორში წავედი. სალამოზედ შინ რომ მოვბრუნდი, კონრადი, ჩვეულებისა შებრ, ალარ გამემეგება და უფრო ცდილობდა ჩემგან თავის მორიდებას; დედას კი სულ კალთაში ეჯდა. არ შემიძლიან გამოვთქვა შალე, ვჯამე ჩუმათ ვაშხამი და დავწექ დასაძინებლად.

მეორე დღეს დამშვიდებულს შემეძლო მშვიდობიანობით ლაპარაკი: ძე პირველი მივედი ჩემს ცოლთან, მოვჭიდე ხელი ხელს და უთხარ: ჩემო საყვარელო! მგონია აქამდინ შენ დიდი მადლობელი იყავ კონრადისა?

ის. რა კითხვაა? კონრადი გეთიოლის მოყვარე ემაწვილია.

ღმერთმა ყველას ამისთანა გეთიოლი ემაწვილი გამოუყვანოს.

შე. ვისი დავალებული ხარ, რომ ბოხრადი კეთილი უმაწვილია ?

ის. ვისი ? ის დიდათ არის შენგან დავალებული.

მე. მგონია, მაგრამ ამა ერთი ვს მითხარ, ჩემო საყვარელო! მამა რომ შაიძულოს კიდევ კეთილის მოყვარეთ დარჩება ?

ის. თუ მამა ისე მოექცევა, რომ უმაწვილს უყვარდეს, რასაკვირველია ყოველთვის ყვარება კიდეცა.

შე. არა მგონია. მამა რაც უნდა კეთილი კაცი იყოს, დედა თუ დაუძახებს უწყალო კაცი ხარო, შეეჭვევა უმაწვილს შეეძულდები.

ის. შართალა და მამა რომ უწყალო კაცი იყოს ? (ამ თქმაში-კაილიმილა).

მე. ნეტავი ყველა ცოლებს ჩემისთანა უწყალო ქრმები ჰყვანდეთ. ერთის სიტყვით, ჩემო საყვარელო, ორნიგე შაკცდით. თუ ჩვენ ეს ჩხუბი არ მოგიშალეთ, უეჭველად უმაწვილს შეეძულდებით და მერე ეურსაც ალარ დაგვიგდებს. ამისა გამო, შე მგონია, უმჯობესი იქმნება, რომ ჩხუბი მოგიშალოთ.

ის. შე სრულებით თანახმა ვარ მაგაზედ.

მე. მეც გაძლევ სიტყვას. საქმე იმაშია, რომ ჩვენი სიტყვა ვასრულოთ. თუ ვინიცობაა ჩვენ ჩვენი სიტყვა ვერ ვასრულეთ და ჩხუბი გამოგვერია,—იმას უნდა ვეცადნეთ, რომ უმაწვილი მოვირიდოთ.

ჩვენ მიგვცეთ ერთმანეთს პირობა და ვასრულეთ კიდეცა. როდესაც საქმე ჩხუბამდინ მიგიდოდა, ბოხრადს მივარდებოდით ხოლმე გვინდოდა გარეთ გაგვსტუმრებინა ამაობაში ჩვენ თითონ დავმშვიდებოდით და ჯერ უმაწვილი გარეთ გასუული არ იქმნებოდა, რომ ისევ შავრიგდებოდით.

ნეტავი ყველა მშობლები ერიდებოდნენ უმაწვილთან ჩხუბსა.

XXV.

იმაზედ, თუ როგორ დადიოდა კონრადი სასწავლებლათ ვასტორთან და - რა ისწავლა.

კონრადი შეიქმნა ექვსის წლისა და დრეტ მოუვიდა სწავლისა. ჩვენი მეზობლის შვილი ცოტათ მაინც კითხულობდა, კონრადი კი პირველს ანბანის ასოსაც ვერ ვერა სცნობდა. ვერ მიგვედი ვასტორთან და ვთხოვე რჩევა. თუ რომელ სასწავლებელში მიმებარებინა და დრო იყო თუ არა?

ვასტორმა გაიღიმა და მითხრა: ჩემს შვილებისათვისაც ექვს წელიწადზედ ადრე—არ დამიწყებინებია კითხვა.

პირველს წიგნათ, საიდამაც უმაწვილებმა პირველათ უნდა ისწავლონ კითხვა—უნდა იყოს ბუნება. მაგრამ ჩვენს სასწავლებლებში ასე არ არის. ამისაგამო მე ჩემს შვილს მე თითონ ვასწავლი და რადგანაც ჩემი და თქვენი შვილი ტოლები არიან,—ისევ ჩემთან რომ გამოგზავნოთ—კარგი იქმნება.

მე სიხარულით მივიღე ეს წინადადება და დავაწყებინე კონრადს სწავლა. ყოველ დღე ვასტორი აჩვენებდა ხოლმე უმაწვილებს რომელსამე ნიეთს ბუნებიდამ და ეკითხარაგებოდა ან რომელსამე პირუტყვზედ, ბალახებზედ, ყვავილებზედ, ქვებზედ და სხვ. რამდენსამე ხანის შემდეგ იმ ჩვენს სოფელში ვერ იპოვიდით იმისთანა ბალახს, პირუტყვ, ქვას, რომ კონრადს მაშინვე არ ეცნო ისინი ან არა ეთქვა რა ცოტა რამ მაინც იმათზედ.—ხან და ხან ვასტორი სურათებითაც ასწავლიდა ხოლმე—აიღებდა რომელსამე სურათს და აშინჯვინებდა.

მაგალითად, აი ერთი ლაპარაკი ვასტორისა უმაწვილებთან, რომელიც მე თითონ გავიგონე. ვასტორს წინ ერთი სურათი ედო, რომელიც წარმოადგენდა მინდორს, სადაც მკიდნენ რაღაცას

ვ ა ს ტ. ეს ხალხი რას აკეთებს?

კ ო ნ რ. ყანასა მკიან.

ბ ს ს ტ. მაშ ზამთარი ყოთილა ?

კ ო ნ. როგორ თუ ზამთარი ?! ზათხულია.

ბ. რა იცი, რომ ზათხულია ?

კ. ყანის გარდა—აი რამოდენა ხეებია ამწვანებულის თოთლებით.

ბ. რითა მკიან.

კ ნამგლებით.

ბ. ამდგენს რათა შრომობენ ყანაზედა.

კ. ყანიდამ პურს აკეთებენ და იმიტომ.

ბ. მთელის ბალახიდამ აკეთებენ პურსა.

კ. ხა, ხა, ხა! მთელის ბალახიდამ! მარცვლებიდამ აკეთებენ, რომელიც თავთავში არის.

ბ. მაშ მარტო თავთავი ჭსდომებიათ. და რატომ მარტო თავთავს არა სჭრიან. განა ადგილია ტანში მოხრით მუშაობა?

კ. თიგისათვის უნდათ, იმიტომ სჭრიან ძირში.

ბ. თივა რათ უნდათ ?

კ. ბეკრათ გამოსადეგია თივა. ძროხას აკმევენ, სასუქში ურევენ და სხვ.

ბ. აბა, ამ მინდორზედ მარტო ყანაა ?

კ. არა, ისე ტარიელი მიბდურებიც არის.

ბ. რატომ ყოველს მინდორზედ არ არის.

კ. ამიტომ რომ არ არის ყველგან დათესილი.

ბ. მაშ, გისაც უნდა მინდორზედ ამოუვიდეს რამე უნდა დათესოს?

კ. რასაკვირველია.

ბ. აბა აქ რადა არის, კონრად ? აქაც ყანაა ?

კ. აბა? აქ მარტო ბალახია.

ბ. ესეც დათესილია განა ?

კ. არა მგონია.

ბ. მაშ როგორ ამოსულა ?

კ. თავის თავათ ამოსულა.

ბ. ყანა საიდამ და ამოდის?

ჯ. თესლიდამ.

ვ. ბალახი კი თესლიდამ არ იქმნება ამოსული. ან ქვიდან ამოვიდოდა, ან მიწიდამ,—ჰო ?

ჯ. არა მგონია, ეგეც ალბათ თესლიდამ ამოდის.

ვ.—მეც მაგრე მგონია, განაგრძელა ვასტორმა; მაგრამ თესლი როგორ მოჰხვდა ამ მინდორს ?

ჯ. როგორმე გადმოცვივდებოდა.

ვ. შესაძლებია. მაშ ამას ტყუილათ ამბობენ, რომ რაც კაცისაგან არ არის დათესილი არ ამოვა.

ამ ლაპარაკით ემარწვილები პოულობენ მნიშვნელობას და მიზეზს ყოველის ნივთისას, და ეს უფრო მომატებულათ გაუსხნის ჯკვას, მინამ სახარების კითხვა, რომელსაც ჯერ ვერ გაიგებენ.

ლევან ჯანდიერიშვილი.

შემდეგი მას უკან.

1. მცარცველობის ფსიქოლოგია. (*)

რისთვის მივუკვ ხელი ამ შრომას შეცნიერებას—სოციოლოგიას ეკონომიას ?

რისთვის? ეს კითხვა ძნელია. ყველა შრომა—თავის ბუნებით—ისე უსიამოვნოა, რომ შეიძლება ნება ჰქონდეს კაცს იკითხოს, რას მოასწავებს ეგ ?

ვნახოთ, მოვძებნოთ.

მე არ მინდა სიტყვა იმ თეოლოგიებისაკენ მივა ქცია, რომელნიც თუ არ თავის სახელითა, კაცობრიობის სახელით მაინცა გვასწავლიან, რომ სიღარიბეს თაყვანი ვცეთ.

მე ველაპარაკები მარტო ამათ, ვინც «სიმდიდრეს» რომელსამე მნიშვნელობას აძლევს. სიმდიდრე—ჩემის თვიქრით—ორიოდე პირის შეძლება კი არ არის, არამედ გმაყოფილება, კეთილ მდგომარეო-

(*) არის ერთი პატარა წიგნი დაწერილი გამოჩენილი ფრანციის ეკონომიისა ბასტიასაგან დაწერილი: ეკონომიური სოფიზმები. თუმცა მთელი წიგნი ფრიად საგანგებო რამ არის და საჯარგებლოცა როგორც ყველასათვის, ისე ჩვენთვისაც, მაგრამ მე იქიდამ ამოვიღე მარტო ერთი ნაწილი «მცარცველობის ფიზიოლოგია», რომელიც უფრო მეტად მოეგების ჩვენს ცხოვრებას და რომელმაც იქნება გვიშველოს ზოგიერთი რამე გავიგოთ ?? ამით ჩვენთვის უნაყოფო არ იქმნეს.

ბა, უშიშარობა, დაუმოკიდებულობა, განათლება ყველასი. მარტო ორი ლონის ძიება არის, რომ კაცმა იმისთანა საქონელი იშოვოს, რომელიც საჭირო არის ცხოვრების დაცვისათვის, შემკობისათვის და სისრულეში მოყვანისათვის: ერთი «ნამუშავრობა,» მეორე «მცარცველობა» (la production et la spoliation).

ზოგიერთი ამბობს, რომ « მცარცველობა » შემთხვევა არისო, არისო ბოროტმოქმედობა ადამიანური და დროებითი, რომელიც ზნეობის მცნებით იძრახება, კანონით ისჯება, და რომელიც საპოლიტიკო ეკონომიის საკადრისი არ არისო.

მაგრამ რაც უნდა თვალის მოტყუება ძლიერი იყოს, საჭიროა კვლავ ვიროთ, რომ «მცარცველობა» ამ ქვეყანაში მეტად გაძლიერებულია; რომ იგი მეტის მეტად და ყველგან კაცის ყოველ უდიდეს საქმეებშიაც ურევია ხელმე, ასე, რომ არც ერთი საყოველთაო მეცნიერება—მაშასადამე საპოლიტიკო ეკონომიაცა—ვერ შეიძლებს, რომ მაგას ყურადღება არ მიაქციოს.

წინ წავდგები. საზოგადოების წესის სისრულეს სახელობრ ის უშლის, რომ საზოგადოების მწეკრნი სულ იმასა ცდილობენ, რომ იცხოვრონ და განვითარდნენ სხვის ხარჯზედ.

ამ სახით «მცარცველობა» რომ არ იყოს, საზოგადოება სრული იქნებოდა და საყოველთაო მეცნიერებებსაც (общественныя науки) საგანი ალარ ექნებოდათ.

ერთ თვალს კიდევ წინ წავდგამ. რაკი რომ «მცარცველობა» მრავალ კაცის ცხოვრების ლონისძიებათა ხდება, მრავალ კაცისა, რომელნიც საზოგადოების კავშირით შეერთებულნი არიან—იგინი მაშინვე შეჰქმნიან თავისათვის კანონსა და ზნეობითს მცნებასა, რომლებისაგანაც მკვიდრდება ჯ იქება «მცარცველობა».

საძეოთია, დავასახელოთ «მცარცველობის» ზოგიერთი უფრო საჩინო გვარი, რომ ვაჩვენოთ რა ალაგი უჭირავს «მცარცველობას» კაცთა მოქმედებაში.

პირველი—«ომიანობა». ველურს ხალხში გამარჯვებული დამარცხებულსა ჭკლავს, რომ მიიღოს უფლება თუ არ დაურღვეველი, შეუცილებელი მაინცა.

შერმე მოდის—«მონაობა». როცა კაცი მიხვდება, რომ შეიძლება მიწა შრომით გაანაყოფიეროს, მაშინ თავის მოძმესთან ამისთანა ძმობის პირობას ჭსდებს ხოლმე: «შენ შრომა—მე ნაშრომი».

ბოლოს მოდის—«მონოპოლია.» ამისი განსაკუთრებითი თვისება იმაშია, რომ არ აუქმებს კი ამ დიდს საზოგადო კანონს: «ლვაწლი ლვაწლში» (**услуга за услугу**) არამედ ძალას შამოურევს ხოლმე და უშლის რომ «ლვაწლის» ალებმიცემაში სისწორე იყოს.

«მცარცველობას» ყოველთვის თავის გვამშიგე აქვს მამაკვდინებელი სენი, რომელიც ბოლოსაც მოუღებს ხოლმე. ძნელად იქნება, რომ ბევრმა ცოტანი ჭსცარცვოს; აგრე რომ იყოს, ცოტანი მაღე მიაღწევდნენ იქამდინ, რომ ბევრის მსუნაგობას ველარ გაძღობდნენ, თუნდ რომ სდომოდათ კიდეც, და მაშინ «მცარცველობაც» თავისთავად მოისპობოდა, რაკი საზდო გაუწყდებოდა.

თითქმის ყოველთვის ცოტანი ბევრსა ჭსჩაგვრენ; მაგრამ ამით უფრო «მცარცველობა» თავის ბედის წერას ვერ წაუვა ხოლმე, იმიტომ რომ თუ იგი ღონითა და ძალითა ჭსწარმოებს—როგორც «ომიანობაში და მონაობაში» – აშკარაა, რომ ღონე და ძალა როცა იქნება ბევრის მხარეზედ გადავა; ან თუ ცბიერობით ჭსწარმოებს—როგორც მონოპოლიაში—აშკარაა, რომ ის ბევრი ოდესმე განათლდება, ურომლისოდ გონება გონებად არ იქნებოდა.

«მცარცველობას» სხვა მამაკვდინებელი წყლული კიდევ აქვს დაფარული აუცილებელი კანონის ძალითა, სიხელდობრ: «მცარცველობას» არამც თუ სიმდიდრე ერთი კაბიდამ მარტო მეორეში გადაქვს, არამედ ამ გადატანაში იმ სიმდიდრეს ყოველთვის ერთს ნაწილს აკლებს.

ომიანობა მოსპობს ხოლმე მრავალს სარჩოსა.

მონაობა მრავალს ნიჭს აუქმებს.

მონოპოლიას სიმდიდრე ერთიდამ მეორესთან გადააქვს, მაგრამ ამ გადასვლაში ბევრსა ჭკარგავს.

ეს კანონი სოცარია. უამისოდ — თანასწორობაც რომ იყოს

დაჩაგრულთა და დამჩაგვრელთა ლოხეთა შორის—უამისოდ «მცარ-ცველობას» საზღვარი არ ექნებოდა. ამ კანონის მეოხებით სასწორი ყოველთვის ან ერთს მხარეზედ გადმოიწევს ხოლმე, ან მეორეზედ, იმისათვის თუ რომ მცარცველებს შერცხვებათ ხოლმე, რომ იმდენი სიმდიდრე ოდუბება, თუ იმისათვის რომ ბოროტება გაუწყვეტლად უფრო და უფრო ხდება და რაცა ხდება უფრო ჯ უფრო, იმას ბოლოც უნდა მოელოს ხოლმე.

მართალიც არის, მოვა ხოლმე დრო, როცა სიმდიდრის დაკარგვა იქამდინ მიაღწევს ხოლმე, რომ თვითონ მცარცველი ჭეშმარიტებს, რომ პატიოსნად მოქცეულიყო უფრო ცოტა დაეკარგებოდა.

ესე დაემართება ხოლმე იმ ხალხსა, რომელსაც ომი უფრო მეტად ეშინა, ვიდრე ნაშოკარი; ესე დაემართება იმ შებატონეს, რომელსაც მონის, თუ მონის შრომა უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე თავისუფალი შრომა; ესე მოუვა ხოლმე მონაბოდიავს, რომელიც მით უფრო დიდს ებას აღებს, რამოდენათაც ჩასაყლაპავი ცოტავდება, სწორედ ისე, როგორც მწველელი მით უფრო დიდის ძალით ჭსწველს, რამოდენათაც ძუძუ შრება.

მონაბოლია აშკარაა «მცარცველობის» ერთი გვარია. იმას მრავალი სხვა და სხვა ნაირი სახე (ფორმა) აქვს, სხვათა შორის: გამოსაჩენი—შემოსავლიანი ადგილები, პრივილეგიები, შეკვეთრებანი.

მის სახეთა შორის მეტად მარტივნი და ბაშვურნიცა არიან: ამისთანანი იყვნენ ფეოდალური უფლებანი. ამისთანა წეს-დებულების დროს ხალხსა ჭეკლეფენ ისე, რომ ეგ თითონ ხალხმაც იცის. ეს წესი ძალასა ბორტად ხმარობს და, ძალა დაეცემა თუ არა, წესსაც ბოლო მოეღება ხოლმე.

სხვანი კი მეტად დახლართულნი არიან. აქ ხშირად ხალხსა ჭეკლეფენ ასე, რომ არ იცის, რომ ჭეკლეფენ. შეიძლება ისეც მოხდეს რომ ხალხი ყველათვრისათვის «მცარცველობის» მადლობელიც იყოს: იმისათვისაც, რასაც იმას შეარჩენენ ხოლმე, ამისათვისაც, რასაც წარართმევენ და ამისათვისაც რაც იკარგება ამ ოპერაციაშია. ეს კიდევ ცოტაა: მე ვამტკიცებ, რომ დღესა თუ ხვალე ჩვეულებისაგამო ყვე-

ლანი მცარცველებად ხდებიან ასე, რომ ეგ ამბავი არც თითონ იციან და არც გულში ჭქონიათ. ეს სხვა და სხვა ნაირი მონოპოლიები ცბიერობის შვილები არიან და ხალხის გონების სიბნელით იზდებიან. იგინი განჭქრებიან ხოლმე მარტო სინათლისაგან.

სამეფოდ ვილაპარაკე მე ამათზედ, რომ გაჩვენო, რო საპოლიტიკო ეკონომიას დიდი პრაკტიკული სარგებლობა მოაქვს. ეგ ლამპარია, რომელიც, რა კი რომ ცბიერობას გამოაშკარავებს და სიბნელეს და შეცდომებს გაჭეანტავს, სრულიად დაარღვევს ხოლმე იმ საზოგადოების ურიგობას, რომელსაც «მცარცველობას» ვეძახი. ვილაცამ—მგონია ქალმა—საპოლიტიკო ეკონომია ჯეშმარიტად ალსნა ამ ნაირად: იგი ციხეა, საცა ხალხის ქონებას არა ფრის შიში არა აქვსო.

თარგმანი ანუ ახსნა.

ამ წიგნს რომ დანიშნული ჭქონდეს სამი ანუ ოთხი ათასს წელიწადს გაძლება; ამ დროების განმავლობაში რომ იკითხებოდეს, გადიკითხებედეს, ისინჯებოდეს, ისწავლებოდეს სიტყვა სიტყვაზედ, ასო ასოზედ თავობიდამ თავობამდე, როგორც ახალი ყორანი; ამ წიგნმა რომ მთელი ქვეყნის ბიბლიოთეკებში მრავალი ხხოლიოები, ალსნანი, თარგმანი მოიზიდოს—მაშინ შემეძლო ზემოხსენებული აზრები თავაინთ ბედზედ მიმეგდო, თუმცა ცოტად სიბნელე ატყვიათ და მოკლედ გამოთქმულნიც არიან. მაგრამ რადგანაც საჭიროა მათი ახსნა, მე მგონია—ჯეუა იქნება მე თითონვე ავხსნა.

ჯეშმარიტი და სამართლიანი კანონი კაცობრიობისა შემდეგი არის: «თავისუფალი გაცვლა ღვაწლისა ღვაწლზედ» (услуга за услугу). «მცარცველობა» აბა იმაში მდგომარეობს, რომ ძალით, ანცბიერებით შეცილების (debat, состязаніе) თავისუფლება განაგდოს, დაშალოს ისე, რომ ღვაწლის მიმღებმა ღვაწლის მომტანს სანაცვლოდ არა მიჭსცეს რა.

«მცაცრველობა» ძალით ესე იქნება ხოლმე: ელიან, მინამ კაცი

რომელიმე ნიგთს გაკეთებს, მერე ხანგლით ხელში მიკარდებიან ლ წაართმევენ.

ეს ხომ ცხადად აკრძალულია ათის მცნებითა: «არა იქურდო.»

რაცა ამისთანა «მცარცველობა» მოხდება ხოლმე თვითეულ კერძო პირთა შორის, მაშინ იმას «ქურდობას» ეძახიან და იმოსება ბორკილით; რაცა ხალხთა შორის მოხდება, იგი მიიღებს ხოლმე «დაპყრობის» სახელს და იმოსება დიდებით.

რისთვის არის ამისთანა განსხვავება? ცუდი არ იქნება მიზეზი მოვძებნოთ. ეს განსხვავება თითით გვაჩვენებს მიზეზად იმ უძლეველს ძალას—საზოგადო ხმას—რომელიც ჩვენ გარს გვახვევია, რაგორც ჭაერი ისე უანგარიშოდ, რომ არც კი ვგრძნობთ. რუსსოომ ფრიად სრული შეშმარიტება ჭსთქვა: დიდი ფილოსოფია უნდა, რომ განვიხილოთ ის ფაქტი, რომელიც ჩვენზედ ძალიან ახლო არის.

ქურდს აღუდგება ხოლმე საზოგადო ხმა, იმიტომ-რომ იგი მარტო და ცალკე მოქმედობს. ის არ ასვენებს ყველას, ვინც გარს ახვევიან. მაგრამ თუ რამდენიმე ამხანაგი ეყოლება — ის ამაყობს კიდეც თავისი ჩადენილი საქმეებითა. აი აქ საზოგადო ხმის ძალა დაიწყობს კიდეც ხოლმე თავის ძლიერ მოქმედებას, იმიტომ-რომ საკვირველია უნდა ცდილობდეს თავის შვილებში ვაჟკაცობა წაახალისოს. მათ შორის ვინც უფრო თავს გამოიდებს, ვინც თავის ქვეყნის საშველავრს გააგანიერებს და უფრო ბევრს ნადავლს და ნაშოვარს შემოიტანს, მამული სახელს, პატივს, დიდებას აძლევს. პოეტები გალობით ამგობენ, ქალები გვირგვინს უწვნენ. ძალა საზო-

გადო ხმისა აქ ისეთი დიდი და ძლიერია, რომ მცარცველობისაგან უსამართლოების იდეას აშორებს და თვით მცარცველსა ისე აბრმავებს, რომ თავის დანაშაულის გაგებაც აღარა აქვს.

საზოგადო ხმა, რომელიც წინა აღუდგება ხოლმე სამხედრო მცარცველობას, თუ გაცარცული ხალხის ხმაა და არა მცარცველისა, ძალიან ცოტასა შველის. მაგრამ არც ის ხმა რჩება უსაქმოდ და მით უფრო ძლიერ საქმობს, რამოდენათაც ორი მტერი ხალხი ერთმანეთს უახლოვდება და რამოდენათაც უფრო მეტათ ესმით ერთმანეთის ენა. ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ენის ცოდნა და ხალხთაშორისი თავისუფალი მიქცევ-მოქცევა იმას ელტვიან, რომ სასწორი იმ ხმას დაუძლეონოს, რომელიც ამ გვარს მცარცველობას აღუდგება ხოლმე.

საუბედუროდ, ხშირად ასე მოხდება ხოლმე, რომ ხალხი დაჩაგრული, რომელიც დამჩაგვრელს ხალხს გარს არტყია, თითონ ის ხალხიც მცარცველობას არ მოერიდება ხოლმე, როცა შეძლება მიეცემა,—და იმავე შეცდომებით სავსეა.

ამ მდგომარეობაში ერთი ღონისძიება ღა რჩება—დრო. დრო უნდა რომ მძიმე გამოცდილებით ხალხებმა ერთმანეთის გაცარცვის საშინელი ზარალი იცნონ.

იქნება მეორე ღონისძიებაც დამისახელონ — ზნეობის მცნება (la moralisation), მაგრამ ზნეობის მცნების საქმე ის არის, რომ რიცხვი კეთილის მოქმედებისა გაამრავლოს. რა რიგად უნდა მოჭსჭოს იმან «მცარცველობის» მოქმედება, როცა მაგ მოქმედებას საზოგადო ხმა უმაღლეს სათნოებასთან ერთად აყენებს. ხალხის ზნეობის განწმენდისათვის განა არის რამე ღონისძიება უფრო შემძლებელი სარწმუნოებაზედ? ყოფილა როდესმე სარწმუნოება ისეთი მშვიდობის მოყვარული, როგორიც ქრისტიანობა არის? მაგრამ კი აბა გასინჯეთ, რას ნახავთ ამ თვრამეტს საუკუნეში? ნახავთ რომ გაცნი იბრძვიან, ერთი ერთმანეთს ყლეტენ არამც თუ იმიტომ რომ სარწმუნოებას არ ეპოვებიან, არამედ თვით სარწმუნოების სახელითაცა.

ხალხი დამუშავებული ყოველთვის ხომ თითონ არ დაექცევა. ამასაც დაადგება ხოლმე უბედური დღე, მაშინ ამისი სალდათები იმაგრებენ სახლკარსა, ქონებასა, ცოლშვილსა, დაუმოკიდებლობას, თავისუფლებასა. ომი მაშინ რაღაც სიწმინდის ან დიდების ნიშნით იმოსება. ბაირაღი, ნაკურთხი მშვიდობის მოყვარე ღვთის მსახურთაგან, მაშინ წარმოადგენს ყველაფერს, რაც კი რამ არის უწმინდესი ქვეყანაზედ. იმ ბაირაღს ყველა გარს ერტყმის, რომელიც მამულის და პატიოსნების ცოცხალს ხატსა და მეომარის ქველობა ყველა სათნოებაზედ მეტად იდიდება. მაგრამ რაკი განსაცდელი გაიგლის, წმას მაინც ისევ ის ძალა რჩება, რასაკვირველია შურისგებაც გაიღვიძებს პატრიოტობასთან ერთად არეული,—და საყვარელი ბაირაღი ხან ერთს, ხან მეორეს ქალაქში მიდის და ფრიალებს. მგონია, რომ ამ სახით ბუნებამ დამცემელს ხალხს სასჯელი მოუმზადა.

ამ სასჯელის შიში და არა ფილოსოფიის წარმატება არსენალიდამ იარაღს გარედ არ უშვებს, იმიტომ-რომ ომიანობას უფრო განათლებული ხალხი მიზდევს და ის ხალხი სამართლიანობას არ დაჭსდევს, თუ მაგიერის გადახდისა შიში არა ქონდეს. ამის დასამტკიცებელი, გიმალი, ატლასი და სხვ. არიან.

თუ სარწმუნოება ომის მოსასპობლად ულონო არის, ფილოსოფიაც აგრეთვე—მაშ რით უნდა მოისპოს ომიანობა?

საპოლიტიკო კანონია ამტკიცებს, რომ თუნდა მარტო გამარჯვებული ხალხი სახეში ვიქონიოთო, მაშინაც ომიანობაში მთელი ხალხის ხარჯით სუფოველთვის მცირე რიცხვი ხეირობს. მაშასადამე საკმაოა, რომ მთელმა ხალხმა თავის ზარალი გაიგოს, ცხადად დაინახოს ეს ჭეშმარიტება, მაშინ სასწორი საზოგადო ხმისა, რომელიც ჯერ ომიანობის მხარეზედ არის, მშვიდობიანობის მხარეზედ გადიწევს.

«მცარცველობა», რომელიც ძალაზედ არის დამოკიდებული ომის გარდა, სხვაც არის. რომ კაცს წაართონ რომელიმე ნიეთი არ ელიან კი, მინამ გააკეთებს, თითონ კაცს შეიპყრობენ ხოლმე, ეა-

რეგნებას წარმოთქვენ; შრომას ძალად აკისრებინებენ; იმას რადა ეუბნებიან: «თუ შენ ჩემთვის ამ შრომას გაჭსწევ, მეც შენთვის ამ შრომას გაგსწევ», იმას პირდაპირ ეუბნებიან: «შენ შრომა — მე შექცევა». ეს მონობა არის; იგი ყოველთვის ძალის ბოროტად ხმარებასთან არის შეერთებული.

მეტად დიდი საქმეა პასუხი გაგცეთ ამ კითხვას: განუსაზღვრელი უფლების ძალაში არის თუ არა გაუწყვეტლად ბოროტ—მოქმედების თვისება? მე—ჩემის მხრით—მაგ ძალას არ ვენდობი ჯ იმოდენად მოველი, რომ ძალამ თავის თავს საზღვარი დაუდვას, რამოდენათაც მოველი, რომ მაღლიდამ წამოსული ქვა თავის თავს შეაყენებს.

აბა ერთი მაჩვენონ ერთი რომელიმე ქვეყანა, ან დრო, რომელშიაც მებატონის ნებაყოფლობით, თავის უფალის და გულშემატკივარის სურვილით მონობა მოსპობილიყოს.

მონობა წარმოადგენს მეორეს და ცხადს მაგალითსა, რომ საცა გამორჩომის და სარგებლობის გრძნობაა, იქ სარწმუნოების და კაცმოყვარეობის გრძნობა ბრძოლისათვის ულონოა. ეს სამწუხარო იქნება ზოგიერთ თეოსოფოსებისათვის, რომელნიც ასწავლიან კაცს: «შენი თავი დაიგიწყეო» და რომელნიც ამ თავის დავიწყებითა საზოგადოების გადაკეთებასა ფიქრობენ. ისა ჭსჯობია თვით კაცის ბუნების გადაკეთებიდან დაიწყონ.

ანტიოქიის კუნძულებზედ მონების პატრონები მამა-პაპითვე, იმ დროიდანვე, როცა მონობა იქ დაარსდა, აღიარებენ ქრისტეს რჯულსა. დღეში მრავალ ჯერ ისინი ამ სიტყვებს იმეორებენ: «ყველა კაცნი—ძმები არიან; შეიყვარე მოყვასი შენი და მთელი რჯულის მცნება აღსრულებული გექმნება.» მაგრამ მაინც და მაინც მონები კი ჭყვთ. ამისთანა ჩვეულებრივი და კანონიერი იმათთვის არა საქმე არ არის. ეხლანდელ მეცნიერთა განა იმედი აქვსთ, რომ იმათი სწავლა შეიქმნას ისე ყველასაგან მიღებული, ისე ხალხში გავრდნილი, იმისთანა სახელი ჭქონდეს და ეგრე ხშირად იმეორებოდეს, როგორც იმეორებენ სახარებას? თუ კი სახარებამ ვერ გაარღვია სარ-

გებლობის კედელი და ენიდამ გულში არ გადიტანა ქრისტეს სამ-ლთო და კაც-მოყვარე მცნება, მაშ მეცნიერთა როგორღა აქვსთ იმედი, რომ იმათი სწავლა მაგ სასწაულს მოახდენს? . .

მაგრამ რა? ნუ თუ მონაობა დაუმარცხებელია და დაუკოდავი? არა; იგი მოისპობა იმითვე, რითაც დაარსდა—სარგებლობით, ოღონდ კი კერძო სარგებლობის შემწეობისათვის, რომელმაც ეგ მუწუკი გაჩინა, არ უნდა დაირღვას საზოგადო სარგებლობა, რომელმაც იგი უნდა მოარჩინოს.

საპოლიტიკო ეკონომიამ ისიც დამტკიცა, რომ ნებაყოფლობითი (вольный) შრომა თავის ბუნებით პროგრესსიული, წარმატებითი არის; ხოლო შრომა მონის ბუნებით უძრავია. ამისაგამო ნებაყოფლობითის შრომის გამარჯვება მონის შრომაზედ აუცილებელია, რა მოუვიდა მაგ. ლილის შემუშავებას ნეგრებითა?

თავის უფალი, ანუ ნება ყოფლობითი შრომა უფრო ნაკლებ უჯდება მებატონეს, რომ ყველაფერი გაიანგარიშოს. რაკი მუშობა ცოტა უჯდება, მაშ თითონ ნამუშავარიც ფასს დაიკლებს. რაც უფრო ბევრს დაიკლებს, იმოდენად მონა შეიქმნება უფრო ლ უფრო ნაკლებ გამოსადები მებატონისათვის (**). მონობა ამერიკაში დიდი ხანია მოისპობოდა თუ რომ ევროპიის კანონებს შაქრის ფასი ძალად არ აეწიათ. ამისათვისაც ჩვენა ვხედავთ, რომ მებატონენი, მათი მოკავლეები და დეპუტატები გულმოდგინებით ცდილობენ ის კანონები შეიმაგრონ, რომელნიც ეხლა მთელს შენობას ბოძებად უდგანან.

საუბედურად ის კანონები აქამდინაც მოჭსწონს იმ ხალხსაცა, რომელთაც თვის შორის მონობა დიდი ხანია მოუსპიათ. აქედამ ჭსჩანს, რომ ამათშიაც მაინც კიდევ საზოგადო ხმა ჭსძლევს სასწორესა.

(**) მაგ. რაკი ამერიკაში შაქარი ქირის მუშით აკეთეს, შაქარმა თან ლ თან ფასი დაიკლო, იმიტომ რომ ქირით მუშობა უფრო ცოტა უჯდებოდათ.

მთარგ.

თუ სადაც ხმა ძალის ხმარებაში ბატონობს, მაშ უფრო ბევრი მიზეზია, რომ იქაც იბატონოს, სადაც ცბიერობა და ხერხია. მართლა რომ ვსთქვათ, იმისი ასლი ასპარეზი სწორედ ეგ არის. ცბიერობა არის გონების ბოროტად მოხმარება; წარმატება (პროგრესი) ხმისა არის წარმატება ჯკვისა. ამათ ორივეს ერთი და იგივე ბუნება მაინცა აქვთ.

მცარცველს იმოდენად მალე გაუვა ხერხი და ცბიერობა, იმოდენად კარგად მოატყუებს, და გაანბრიყვებს, რამოდენათაც გასაცარცველი ხალხი მალე დამჯერი და გასანბრიყვებელი იქნება. რომ მალე არ იჯერებდნენ და მალე არ ბრიყვდებოდნენ,—ამის წამალი ცოდნაა, ჯეშმარიტებაა. აქედამ ის გამოდის, რომ ცოდნა უნდა გავრცელდეს, გონება უნდა განათლდეს და ამით წაერთოს საზდო ამ გვარს მცარცველობასა.

ისე მოკლედ გადავათვალიერებ ზოგიერთს გვარს მცარცველობისას, რომელიც ცბიერობით, მოხერხებით და მოტყუებით მოხდება ხოლმე.

პირველი ამ გვარი მცარცველობა ის მცარცველობაა, რომელიც სამღვდელო უფლების ცბიერობით მოხდება ხოლმე.

როგორ და რაშია აქ მცარცველობა? იმაშია, რომ შენ სხვას მართალი ღვაწლი და სამსახური გაანეკინო საჯმლით, საცმლით, პატივისცემით, უფლებით, გაკლენით და მის მაგიერ ტყუილი ღვაწლი და სამსახური გაუწიო.

მე რომ რომელსამე კაცს უთხრა: «მე შენ ნამდვილს ღვაწლს და სამსახურს გაგიწევ»—ეს რომ უთხრა, უნდა ავასრულო კიდეც. რომ არ ავასრულო, ის კაცი მაშინვე მიმიხვდება რომ კატყუებ ჯ ჩემი ცბიერობა გამოაშკარავდებოდა.

მაგრამ მე რომ უთხრა: «შენ მე მემსახურე და შენის სამსახურის სამაგიეროს მე დიდს სამსახურს გაგიწევ—საქმეს კი არა, საიქიოს; ამ სოფლის ცხოვრების შემდეგ შეიძლება შენ ან ბედნიერი, ან უბედური იყო საუკუნოდ—ეგ ჩემზედ არის დამოკიდებული; მე შუამავალი ვარ ღვთისა და მის დანაბადთა შორის და შეძ-

ლება მაქვს იმისთანა, რომ მინდა სამოთხის კარს გაგიღებ, მინდა ჯოჯოხეთისაკენ.» რაკი ამას კაცი დამიჯერებდა, ის ჩემ ხელ ქვეეთი გახდებოდა, ჩემის უფლების ქვეშ ჩავარდებოდა. (*)

ეს გვარი მცარცველობისა მეტად ხშირი იყო და ვრცლად მოქმედებდა თვით ქვეყნის დაარსების დღიდგანვე; ვინ არ იცის რა ყოველად შემძლებელ ხარისხამდინ ეგვიპტის მოგვებმა (Magii) ანუ ქურუმებმა მიახწიეს.

ადვილი გამოსაცნობია რა ხერხსაც ხმარობენ მოტბიერენი და მატყუარნი. ამის გამოსაცნობად იმის მეტი კი არა უნდა რა, რომ კაცმა თავის თავსა ჴკითხოს: რას ვიქმოდი მე იმათს ადგს?

მე რომ მაგისთანა განძრახვით ჩავარდნილვიყავ გაუნათლებელ ხალხში და რომელიმე თვალთ მაქციობის მოქმედობით, რომელიც რასაკვირველია, სასწაული ეგონებოდათ, ხმა გამვარდნოდა, რომ მე რალაც ბუნების გარეთი არსება ვარ, მაშინ, რასაკვირველია, ღვთის მოციქულობასაც დავიჩემებდი, ვიტყოდი, რომ მე განუსაზღვრელი უფლება მაქვს კაცთა საიქიო და მომავალს ბედზედ.

ამის შემდეგ აუკრძალავდი, რომ ჩემი უფლება არ გაესინჯათ, ამაზედ მეტსაც ვიქმოდი: რადგანაც ჩემთვის ყველაზედ საშიშარი მტერი მაშინ გონება იქნებოდა, მე აუკრძალავდი, რომ თვით გონებაც არ ეხმარათ, თუ ყველათვერში არა, იმ საშინელს უფლების გარჩევაში მაინცა. მე ამ უფლებას და ყველათვერს რაც კი რამ მას შეეხებოდა დიდ საშიშარ საგნად გავხდიდი ასე, რომ უსიგვდილოდ არავინ მიჭკარებოდა. იმისი ახსნა, გარჩევა და თვით იმაზედ ფიქრიც შეიქმნებოდა შეუნდობელ დანაშაულობად.

რასაკვირველია, მეტის მეტი მოხერხება იქნებოდა, რომ ყველგან, საიდამაც კი გონება თავს ამოჭყოფდა, რომ ჩემი ცბიერობა და სიცრუე გამოაშკარავოს, ყველგან მძიმე ხათანგი დამეხურა. ჩემის სიცრუის დღეგრძელობისთვის უკეთესი არა იქნებოდა რა, რომ თვით ეჭვიც და გამსჯელობა ღვთის გმობად გამეხადნა.

(*) ავტორი კათოლიკის საწმენოებისაა.

მაგრამ ამ მაგარს საძირკველს, გიდევ სიფთხილისთვის სხვასაც ბევრს დასამტებელს რასმეს ჩავურთავდი: მაგალითებრ, იმისთვის, რომ განათლება არ შეჭვარებოდა ხალხსა, მე და ჩემი თანამზიარენი დავიჩემებდით ყოველის მეცნიერების მონოპოლიას, ვიტყოდით, რომ ჩვენს მეტმა არავინ არა უნდა იცოდეს რა. ამისთვის მე ცოდნას მკვდარის ენისა და გეოგრაფიის წაწერის სახურავს დავხურავდი, რომ ვერავის ჩვენს მეტს ვერ შეჭსძლებოდა ცოდნა შეეძინა და რომ რომელიმე განსაცდელი უეცრად არ მომსწრებოდა, მე მოეიგონებდი იმისთანა წესდებულებას, რომლისაგამო იმისთვის ყოველ დღე ყოველი კაცის სვინიდისი ძირამდინ მისაწდომი ყოფილიყო.

ცუდი არ იქნებოდა, რომ ხანდისხან ხალხისთვის გულიც მოგე, ზოგიერთი არსებითი საჭირო ება ხალხისა ხანდისხან დამეკმაყოფილებინა, ნამეტნავად თუ ამით მე უფლება და დიდება უფრო მომემატებოდა. მაგ. კაცთათვის ყოველთვის განათლება და ზნეობა დიდად საჭიროა: განათლებასაც და ზნეობასაც მე თითონ დავურიგებდი. ამის მეოხებით მე შემეძლებოდა, რომ ხალხის ჭკვისთვის და გულისთვის საიდაც მინდა, თავი იქით მექნა. მე ჩემს უფლებას და ზნეობას ერთ გაუწყვეტარ ჯაჭვით ერთმანეთზედ გადავაბამდი. მე იმათ ისე წარმოვადგენდი, რომ ერთს მითამ უმეორად ყოფნა არ შეუძლიან. ამ სახით ხალხს იქამდი თავლს აუხვევდი, რომ არამც თუ ჩემი უფლების დარღვევა გაებედნა, არამედ ვისმე იმათში უფრო თამამს და თავგამოდებულს რომ მარტო ხმა ამოეღო, ხალხს ჭკონებოდა, რომ მისთა ფეხთა ქვეშ დედა-მიწა ირყევა, ჯ იმ ხალხისათვის თავგამოდებულს თვითვე ხალხი გაცოფებით მიგარდნოდა, რომ ნაწერ ნაწერ ექცია.

ამისთანა საქმის მოწყობილობაში ცხადია, რომ ხალხი უფრო მეტად ჩემი კუთვნილება იქნებოდა, ვიდრე მაშინ, რომ ჩემი ნამდვილი მონა ყოფილიყო. მონა ჭსწყევლის თავის ბოროტილსა და ჩემი ხალხი კი თავისას დალოცავდა, და ამ სახით ჩემი მონების დალს შუბლზედ კი არ დვასვავდი, არამედ ყოველ კაცის სვინიდისის სიღრმეში.

მარტო სასოგადო ხმის შეუძლიან პირქვე დაჭსცეს ამისთანა უსამართლოების შენობა; ხოლო საიდან უნდა დაიწყოს დარღვევა, როცა ყოველი ქვა მისაკარებლად აკრძალულია? ეგ დროების და წიგნთა საბეჭდელის საქმე არის.

ღმერთმა დამიფაროს, რომ ამით მოვინდომო შევარყიო ის ნუგეშ- მცემელი ქრისტეს სარწმუნოება, რომელიც საქართ განსაცდელიანს ცხოვრებას საიქიო ნეტარების ცხოვრებასთან აკრთებს მაგრამ, მე ამას ვამბობ, რომ არავინ, თვით ქრისტიანობის უპირატესი პატივმცემელიც არ იტყვის, რომ ის გაუწყვეტელი სურვილი, რომელიც სარწმუნოებას ელტვის—ბოროტად არ იხმარებოდეს. მე მგონია, ნიშანი არის, რომლითაც შეიძლება შეტყობა: ხალხი სულელია, თუარა. გაშინჯეთ მარტო ხალხის სარწმუნოება და სარწმუნოების მსახური; გასინჯეთ, მსახური ემსახურება სარწმუნოებას, თუ სარწმუნოება თავის ღსახურსა?

თუ სარწმუნოებას ესახური ემსახურება, მაშინ იგი მარტო იმას ცდილობს, რომ ქვეყანაზედ ვრცლად მოგვინოს სარწმუნოების მცნება დამისი სათნოება. მაშინ მსახური მშვიდია, მიმტევებელია, თავდაბალია, გულშემატკივარია, გულმოდგინეა, მოწყალეა; მისი ცხოვრება გადმოცემელია დვთაების ცხოვრების შუქისა; იგი ჭქადაგობს თანა სწორობას, თავის უფლებას თვითეულ კაცთა შორის, მშვიდობიანობას და ძმობას ხალხთა შორის; იგი ურჩ ჭყოფს საქართ უფლების მცდურებასა, იგი შორდება მას და არ ნდომობს თანა მოზიარე იყოს მისი, იმიტომ—რომ ყველაზედ მეტი გაკიცხვა ამ ქვეყანაში უფრო მაგ უფლებას უნდა; იგი ხალხის კაცია, იგი სათნოებიანის რჩევისა და მშვიდის ნუგეშის კაცია: იგი სასოგადო ხმის კაცია, კაცია წმინდა სახარებისა.

და თუ სარწმუნეობა ემსახურება თავის მსახურსა, მაშინ მსახური ისე ექცევა სარწმუნოებას, როგორც უნდა; ხან ესე ხმარობს, ხან ისე, საითაც და როგორც უნდა ისე ატრიალებს, რომ მისგან რაც შეიძლება დიდი გამორჩომა სახოს. იგი გაამრავლებს ასაკრძალავს საგნებსა; დროების, კაცის და გარემოების მიხედვით იგი

ჩვენის სარწმუნოების მცნების აზრსა; იგი მოძრაობით, ან გაზეპირებულ ხერხით ცდილობს, რომ ხალხის პატივი მოიპოვოს; იგი დღეში ასჯერ ჩამოჭსთველის ბუტბუტით სიტყვებს, რომლის აზრიც განქარვებულია და რომელნიც მარტო ამაო წესად ხდებიან. იგი რაც უნდა წმინდა და სამლთო საგანი იყოს, იმის ვაჭრობასაც დაიწყობს იმოდენად, რამოდენათაც შესაძლოა, რომ მისდამი სარწმუნოება არ დაირღვას და ეცდება, რომ ეგ ვაჭრობა იმოდენად უფრო საიდუმლოდ მოხდეს ხოლმე, რამოდენად ხალხი უფრო ადვილად მიმხვედრია და აზრის ამღებია; იგი გაერევა ხოლმე საა ქაო საქმეებში; იგი ყოველთვის იმის მხარეს დაიჭერს, ვინც უფრო ძლიერია, იმ პირობით კი, რომ ძლიერსაც ამის მხარე ეჭიროს. ერთის სიტყვით—ყველაფერში, რაც კი ხელიდამ გამოუვა, ეტყობა, რომ ამას სამლვდელოს შემწეობით სარწმუნოების წარმატება კი არ უნდა. არამედ სარწმუნოების შემწეობითა თვით სამლვდელოს წარმატება უნდა. რადგანაც ამისთანანი ესრეთის გულმოდგინებით იღვწიან, შეუძლებელია, რომ თვალ წინ საგანი არა ჰქონდეთ რა,—და რადგანაც საგანი იგი—რაგორც ჩვენა ვფიქრობთ—არ შეიძლება სხვა რამ იყოს თუ არ სიმდიდრე სიძლიერე—მაშასადამე ხალხის სულელობის პირდაპირი ნიშანი სამლვდელოს სიმდიდრე და სიძლიერე უნდა იყოს.

რაგორც ცრუ-სარწმუნოება, ისე ჭეშმარიტიც შეიძლება ბოროტად იხმარებოდეს. თითქმის რაც სარწმუნოება უფრო თავვანის ღირსია, მით უფრო მომატებულად საფიქრებელია, რომ იგი ცუდად ან ბოროტად არ მოიხმარონ, იმიტომ რომ ჭეშმარიტისა და ცრუ—სარწმუნოების ბოროტად ხმარებას სხვა და სხვა ბოლო აქვს. ბოროტ მოქმედება, ბოროტად ხმარება ყოველთვის ამტერებს ხოლმე ხალხის გონიერს, განათლებულს და დაუმოკიდებელს ნაწილსა. არ შეიძლება რომ ამისაგან არ შეირყეს სარწმუნოება და ვნება ჭეშმარიტის სარწმუნოების შერყევისაგან უფრო დიდია, ვიდრე ცრუ-სარწმუნოებისა.

ეს გვარი მცარცველობისა იმოდენად ვრცელია და ხშირი, რა-

მოდენად ხალხი უფრო მიუხვედრელია, იმიტომ-რომ ბოროტ მოქ-მედების თვისება ის არის, რომ იმ დროამდინ მოქმედობს, მინამ გასავალი აქვს ხალხში. ტყუილი იქნება გვსთქვათ, რომ გაუსათლებელს ხალხშიაც არ იყოს სამღვდელო წმინდა და სათნოებიანი; მაგრამ რით დაუშლი, რომ ბლუტმა ანათვორა არ ჩაიცოს და ბატივ მოუვარემ მიტრა არ დაიხუროს? მცარცველნი მაღლუსის კანონს მისდევენ: რამოდენათაც ცხოვრებისათვის ღონისძიება ბევრია, იმოდენად მცარცველნიც ბევრდებიან; ბლუტების ცხოვრების ღონისძიების შოვნა კიდევ იმაზედ ჭკვიდია, რამოდენადაც ადვილნი მოსატყუარნი არიან ისინი, ვისაც ისინი იტყუებენ. ამის წამალი კიდევ ცოდნა და სწავლაა. საიდაც უნდა წახვიდე, ყოველთვის იმას ნახავ, რომ საზოგადო ხმისა და აზრის განათლება აუცილებელია. სხვა გზა არ არის, რომ ხალხი მცარცველობისაგან დაიხსნას.

. . . . . .

. . . . . .

ბ. ვ.

სფირიდონის და თადეოზის ბასი.

(უმეცრეგი.)

„პოეზია არის გამოხატვა სიცოცხლისა, ანუ უკეთ ვსთქვათ პოეზია არის თვითონ სიცოცხლე. ეს ცოტაა: პოეზიაში სიცოცხლე უფრო უკეთეს სიცოცხლეთ აღმოჩნდება, ვიდრე თვით სინამდვილეშია. აქედგან გამოდის ახალი კითხვა, რომელის ახსნაცა იქმნება პოეზიის ახსნა,—კითხვა: თუ თვითონ სიცოცხლე შეიცავს ამდენ პოეზიასა ასრე, რომ თვისის მნიშვნელობით სიცოცხლე ‌ და პოეზია ერთი და იგივე არის,—მაშ რაღა საჭიროა კიდევ სხვა პოეზია, და თვით ხელოვნებას ან რაღა მიუცილებელი საჭიროება ექმნება, და ან რაღა თავისუფალი მნიშვნელობა?

„მრავალი მშვენიერება ცოცხალ სინამდვილეში (дѣйствительность), ანუ უკეთ ვსთქვათ, ყოველი მშვენიერება არის მხოლოდ მასში, რაც არის და რაცა ჭსცხოვრობს; მაგრამ მისთვის, რომ ვისიამოვნოთ, დავსტკბეთ ამ სინამდვილით, ჩვენ პირველად უნდა დავიმორჩილოთ ის სინამდვილე ჩვენის მეხსიერებით, და ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გვექმნება შემდგომი ორი თვისება: ჩვენ უნდა ზედ მიწეგნით შევიგნოთ ასა სულ მრთლად, ერთიანად, და მასთანავე ნაწილ-ნაწილ (ანუ თითო თითო საგანთ), ისრე რომ ჩვენმა საკუთარმა თავმა, ჩვენმა მოთვარდულობამაც არ

დაგვიშალოს იმისი დასახვა. ჩვენ ვსარგებლობთ ხოლმე იმითი, მაგრამ მხოლოდ იშვიათად, მხოლოდ სიხარულით აღტაცების წამსა, რაღაც ჩვენი მსწრაფელ გულის გამოჩინების მოუღოდნელს დროსა; მომატებულად ჩვენ გავერთვით ხოლმე მრავალ რიცხვ საგანებში, და იმ საგნების იქით ველარა ვხედავთ მრთელს საგანსა, და მათი ალარა გვესმის რა. ასრე გაშინჯე ჩვენი საკუთარი გრძნობანი მხოლოდ მაშინ არიან ხოლმე ჩვენი სასიამოვნონი პირველი, როდესაც განვმთავისუფლდებით მათის მომლალავი ტვირთისაგან, ანუ მათის ძრწოლის ღელვისაგან, რომელსაც გაჭვევა ხოლმე სუნთქა, რომლისაგან ჭქრება შეგნება, და მეორე მაშინ როდესაც მოვიგონებთ წარსულს. აწმყო (настоящее) არას დროს არ არის ჩვენი ამისათვის, რომ ჩვენ წარგვიტაცებს ხოლმე თავისათანა; ჯ თვით აწმყო სიხარულიც საძიმოა ჩვენთვის ისრე, როგორათაც მწუხარება ამისათვის, რომა გვიმოანებს, გვჯაბნის, გვიბურობს ისი ჩვენ და არა ჩვენ იმასა. თუ გინდა, რომ დასტკბე იმ სიხარულით, ისიამოვნო, უნდა განშორდე იმასა რამდენსამე მანძილზე, ისრე როგორათაც უნდა განშორდე სურათსა, სინათლის გულისათვის და შორიდამ უნდა უყურო,—განშორებული, განთავისუფლებული თქვენ ისე უნდა უყურებდეთ, როგორათაც ჩვენს გარეშე მეოთხსა საგანსა. ეი რის მიზეზით მოგვეცემა ხოლმე ჩვენ შვება და განვთავისუფლდებით მწუხარების სიმძიმისაგან, როდესაც ვუამბობთ ვისმე, ანუ დავსწერთ ქაღალდზე: ჩვენ ვხედავთ იმასა ჩვენგან განშორებულს, ჩვენზედ მოშორებით მყოფსა, ჩვენი თავი ალარ გვითვრებს, ალარ გვიშლის მისს გაშინჯვასა,—და მაშინ ჩვენთვის საყვარელია ჩვენი მწუხარება, ჩვენ გვიამება, როდესაც მოვიგონებთ ხოლმე, გვესიამოვნება როდესაც ვლაპარაკობთ იმაზე, როგორათაც ჯარის კაცს უყვარს თავისი ომში ყოფნის ამბის თქმა და ყოველისთვის განსაცდელისა რაც მას იქ გადახედია. ყოველითვერი წარსული გვეჩვენება ჩვენ სხვა ნაირად, თითქო თვერ გამოცვლილად; ბედნიერებას ვხედავთ საუკეთესოდ იმაზე, როგორც იყო მაშინ როდესაც იმითი ვსტკბებოდით; თვით უბედურებაშიაც ვხედავთ ერთს პოეტიურ

მხარესა. ამის მ. ზეზი ის არის, რომ სიშორე უმალამს ჩვენს თვალსა ყოველს უთანასწორობასა, შემთხვეულებასა, უწმინდურ ლაქებსა, რომელნიც ახლოს ყოფნის დროს ბირველად მოხვდება ხოლმე თვალსა. სინამდვილეში ყოველისფერი დამონებულია სიკვლისა და დროების განონისაგან: გმირები სჯამენ, სმენ, გრძნობენ შიმშილსაცა ⁄ სიცივესაცა, როგორათაც სხვა ყოველი კაცი. თქვენა ხედამთ ქვეყანაზედ მშკენიერს დასტულობას რომელისამე ადგილისსა (ლანდშაფტსა), მაგრამ რაგორ?— უთუოდ შორიდგან და ამასთანავე ერთის ადგილიდგან, ერთის გასაშინჯავი მწერტილიდგან: სიშორე აძლევს ლანდშაფტს მხატვრობის სიმშკენიერეს, გასაშინჯავი მწერტილი, რომელიდგანაც უყურებთ ის აძლევს იმას ერთობას, სიმთელეს. გადადგით ერთი ნაბიჯი, გამოიცვალეთ საყურებელი მწერტილი,—ლანდშაფტიც განჭრება: დარჩება თქვენს თვალწინ რალაც შეუთანხმებელი, განბნეული უთავბოლოდ, ალარ ექმნება ერთობა, სახე. მიდით იმ ლანდშაფტთან ახლოს, რომელის მშვენიერებითაც იყავით განცვირვებული,—და თქვენ დაგხვდებათ რომელიმე გამოუდეგარი ქოხი, საძაგელი წისქვილი, უბრალო ლელე, სხვაზედ არაფრით განსხვავებული ჭალა, სადაც ყოველ ნაბიჯზე თვეხი გიბორძიკდებათ ოკრობოკრობებში, ანუ ჩაეფლობით სადმე წუმპეში. შორიდგან კი სუყოველისფერი იყო ისრე სუფთა, თვალიზი, მშვენიერი, მრთელი, ჩარჩოში ჩასმული, — ნამდვილი სურათი და მხატრობა! ამითია სურათი უკეთესი ნამდვილზე? დიახ, ლანდშაფტი, დახატული ტილოზე ნიჭიანი მხატვრისაგან, უკეთესია ქვეყანაში ყოველ ჩინებულ სასახავ ადგილზე. რათა? ამისათვის რომ იმაში არა არის რა შემთხვევითი და მეტი, ყოველი მისი ნაწილები არის შეერთებული, ყველა არის მიხრილი ერთის საგანისაგან, ყველანი ერთად შეკრულნი შეარდგენენ ერთს მშვენიერს, მრთელს ⁄ განუყოფელს ჭაზრსა. ნინამდვილე მშვენიერია თავის თავად, მაგრამ მშვენიერია ის თვისის საგანით, თვისის ნაწილებით, თვისის ჭაზრით ⁄ არა ნაკვეთით (ფორმით). ამ შემთხვევაში, ნინამდვილე არის წმინდა ოქრო, მაგრამ გამოურჩეველი, ერთად არეული ლითონი ⁄ მიწა:სწავლა

და ხელოვნება განსწმენდენ ოქროს სინამდვილისასა, გადაადნობენ და ჩასხმენ მშვენიერს ყალიბებში. მაშასადამე სწავლა და ხელოვნება თავისაგან არ მოიგონებენ ახალსა და არ მოიგონებენ დაუარსებელს სინამდვილეს, მაგრამ იმას რომელიც ყოფილა, არის და იქნება კიდევაც, გამოართმევენ მზა მასალასა, მზა კაგშირთა, ერთის სიტყვით—მზა საგანსა; მისცემენ მას შესაფერ ნაკვთსა, ყალიბსა, ზომიერის ნაწილებით ისრე, რომ ჩვენ შეგვეძლოს ერთბაშად თვალის გადავლება ყოველ მხრივ. ბეტრე ბირველმა რომ რუსეთში გაჩინა ფლოტი და ჯარი, ეს არის თვალი ისტორიულის სინამდვილისა; მაგრამ ისტორია როდესაც გვიამბობს ამ საქმესა, ის არ მოგვიყვება ყოველს ამბავს დაწვრილებით, გამოჭკრებს მხოლოდ იქიდგან უბირველეს იმ დროების ჩვეულების ნიშნებსა: რა იმისი საქმეა იმის აღწერა, რაგორ აგრაგებდნენ სალდათებსა, მოგეშებსა, რაგორ ასწავლიდნენ მათ სათითაოთ და სხვანი. შექსპირს შემოკლებულ დრამაში გამოუყვანია მთელი ცხოვრება ისტორიულის კაცისა, რომელსამე რიჩარდ მეორით, ანუ უწარჩინებელესი ამბავი გმირის ცხოვრებიდგან, რომელიც ნამდვილად შეიძლებოდა მამხდარიყო მხოლოდ რამდენსამე წელიწადში. იმას გამოუყვანია თავის დრამაში მხოლოდ ის ნიშნები იმისი გმირის სიცოცხლიდგან, მხოლოდ ის (ფაქტი) მამხდარი ამბავი, გამორჩეული დრამატიული სურათისათვის, რომელნიც შესახები ყოფილან პირდაპირ მისი თხზულების ჭაშრისა, და დანარჩენნი, თუმცა საცნობლად საჭიროა ამოგონილი არან თავის თავად, მაგრამ არ შეეხებოდნენ მის საგანსა,—გამოურიცხამს, რადგანაც არ არიან საჭირონი. თუმცა რომანის ჩარჩო, მიუდარებლად ვრცელია შეკიწროებულ დრამის ჩარჩოზე, და თუმცა რომანის მწერალს უფრო ვრცელი თავისუფლება აქვს დრამის მთხზველზე, მაგრამ რომელიც გინდათ აიღეთ რომანი ვალტერ სკოტისა ანუ გუბერისა, არ მოუნდებით ერთი დღის მეტი, რომ იკითხოთ გაუწყვეტლად, მაშინ როდესაც დაწვრილებით აღწერა მემუარებივით, ერთის წლის ცხოვრებაც ერთის კაცისა გაგვსებდა ათ ჯერ მოამატებულ ტომსა, ვიდრე გმირისა. მთელი სიცოცხლის აღწერა

პოეტი არ არის ვალდებული აღგიწეროთ, რომ იმისი გმირი როგორა სჯამდა სადილსა ყოველთვის. მაგრამ პოეტს შეუძლიან დაგიხატოთ ერთი მისი სადილთაგანი, თუ რომ ამ სადილზე იყო როგორმე დამოკიდებული იმისი სიცოცხლე, ანუ თუ ამ სადილით შეიძლება რომელსამე ხალხის, რომელსამე დროში ჩვეულების ნიშნების წარმოდგენა; თუ რომ რამანის გმირი არის რაინდი (рыцарь), გამოჩენილი მხედარი, მაშასადამე პოეტისათვის რა საჭიროა, რომ აღწეროს ყველა იმისი ბრძოლა, ომი, რომელიც რაინდებს ისრე ხშირად შეემთხვეოდათ ხოლმე, როგორათაც რუსის ვაჭარს ჩაის დალევა. მაგრამ პოეტს შეუძლიან აღწეროს ერთი შემთხვევა ან გმირის ხმალში გასვლისა, ან ომისა და სხვა ამ გვარი აღწერა ველარას მოუმატებს, იმიტომ რომ გმირის ხასიათი ერთის შემთხვევითაც გამოიხატება ისრე სრულად, ცხადად, რომ ჩვენ იმისი ერთი ხმალში გასვლით გვეცოდინება კიდეცა როგორ გაიდოდა ხმალში ათას სხვა შემთხვევაში.....

ამისათვის ყოველი პირი გამოუვანილი ხელოვნებითს ქმნილებაში, ანუ თხზულებაში არის წარმოდგენელი მრავლისაგან უმრავლესის ერთ ნაირის, ერთ გვარის პირისა, ამ ამისათვისაც ჩვენ ვამბობთ ხოლმე: ეს კაცი ნამდვილი ოტელლო არის, ეს (გასათხოვარი) ქალი სწორეთ ოთველია. ესრეთი სახელები, როგორათაც ანეგინი, ლენსკი, ტატიანა, ოლგა, ზარეცკი, თვამუსოვი, სკალაზუბი, მოლჩალინი, რეპეტილოვი, ხლესტოვისა, სკვოზნიკ-დმუხანოვსკი, ბობჩინსკი, დობჩინსკი, დერჟი მორდა, და სხვანი,—არიან თითქო საზოგადო სახელები, და არა საკუთარი, საზოგადო განთვისებულებითი წოდებანი რომელნიც თვით ცხოვრებაში აღმოჩენილან. ამისათვის მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სინამდვილე ჭეშმარიტი სინამდვილეს, მაგრამ ნამდვილი კი არ არის! ხელოვნებითი ქმნილება, ან თხზულება, რომელიც მოგონებაზედ დაიფუძნება ხოლმე, უმაღლესია, ყოველ ჭეშმარიტად მოამხდარ ამბავზე,—და ისტორიული რომანი კალტერ—სკოტისა, რომელისამ ქვეყნის ხასიათისა, დე-

ბულების (ადათის), შესახებ, ჭეშმარიტია ყოველ ისტორიაზე. . . . . .»

—ახლა კი, ჩემო თადეოზ, გადმოგშალოთ ერთი ფურცელი კიდევ და შევიტყოთ რა არის პოეზია. მაგრამ რადგანაც სიტყვა გძელდება, მე ბელინსკისავე სიტყვით ესე მოკლედ მოგახსენებთ: პოეზია არის სიცოცხლე გამჯობინებული, არის სინამდვილე განცხოველებული აზრითა ⁊ მხატრობითა «მთელი ქვეყანა—ამბობს ბელინსკი—ყოველი ყვავილი, ფერი და ხმა, ყოველი ფერი ბუნებისაგან, სიცოცხლისაგან ალმოჩენილი, შეიძლება პოეზიის საგნად იყოს, მაგრამ პოეზიის აზრი, პოეზიის არსი (сущность) ის არის, რაც დამალულია იმ აღმოჩენილს საგანში, რაც აძლევს საგანს დანაბადის სიცოცხლესა; ის არის, რითაც საგნის სიცოცხლის მოძრაობა ხიბლავს ადამიანსა. პოეზია არის მსოფლიოს სიცოცხლის მაჯის ცემა, იმისი სისხლი ⁊ ხორცი, იმისი ცეცხლი, სინათლე და მზე.

—უკაცრავად ნუ კი ვიქმნები, ჩემო სეირიდან, და, სრულიად ვერაფერი ვერა გავიგე რა პოეზიისა; მე ახლა მეგონა მოკლეთ მეტყვით მეთქი და თქვენ კი მეტად გრძელი ბასი მოგიგიდათ. ეტყობა ძნელი მისაგნები და ალსახსნელი უნდა იყვეს პოეზია: მაგრამ რა ვქნა, ჩვენ დრეს ე. ი. როცა სასწავლებელში ვიყავით არც პოეზიაზე გველაპარაკებოდნენ და არც პროზაზედა, ეხლა კი მე ველარას ვისწავლი. მხოლოდ ეს მიკვირს, ჩემო სეირიდან, რომ თითქო ქართულად მელაპარაკებოდი, მაგრამ ვერაფერი ვერა გავიგე რა.—

—სრულიად თანახმა გახლავართ, ბიძა ჩემო, მაგისი: მე ვერ ავსრულე კარგად მთარგმნელის ხელობა, და ამისათვის ცხადი ბელინსკის აზრი სრულიად დაბნელდა. და რა გაეწყობა? დარჩეს ნუმი შრომა ამად; შეწუხებისათვის კი ბოდიშს ვიხდი თქვენთანა.

—არა, თქვენმა მზემ, მაგაზედ არ მოგახსენეთ.

—მაშ ისევ ციხკარს დავუბრუნდეთ. «მხეცური შურის გების» შემდგომ არიან ლექსები სხვა და სხვა მთხზველებისა; ა ერთი მათგანი:

ჯნეიანა ბარბარე ჯორჯაძისადმი.

« უცხოს კალმითა განგვინათლე მარტის ცისკარი.
« თკალთ ყუყუნასა ქება უძღვენ სწორ შესადარი.
« თეხთთ დაუფინე ასპინოზი და ვცვადარი,
« ნუ დადუმდები გაგვაგონე ტკბილ საუბარი.

—სეირიდონ, ეგ რა დაუწერია მარტის ცისკარში, როგორღაც დამაგიწყდა ?

—რა მოგახსენო, ბიძაჩემო, ალარც მე მახსოვს.

« ბულბულთ ჭიკჭიკი ვის არ მოჰბეარის ტანთა ყრყოლასა ?
« ვარდთა მიჯნურთა, უნუგეშოთ, განკალ, თრთოლასა.
« ივერიელნი გეგედრებით ლექსთ მიყოლასა,
« ნუ დაუტევებ, შენთ სიტყვების ისართ სროლისა.

—არ ვიცი თადეოზ, რომელმა ივერიელმა სთხოვა გიორგი თუმანოვსა, რომ ამისთანა თხოვნის არზა მიერთმიცა იმათ მაგიერათ ბ. ჯორჯაძისათვისა. თქვენ ხომ არ გითხოვიათ ?

სეირიდონ ჩიტორელიძე.

სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰუგოს წიგნი. (*)

რაც კი ევროპაში დიდი სახელმწიფოა, ყოველგან სისხლის რჯულის დებაში სხვათა სასჯელთა შორის არის სიკვდილით დასჯა, ჯ სამწუხაროდ, ხშირადაც იხმარება საქმეში. მხოლოდ წვრილი სამთავროები, როგორც მაგალითებრ—ოლდენბურგი და ნასსაუ გერმანიაში, სან-მარინო და ტოსკანა იტალიაში, თურიბურის და ნეკშატელის კანტონები (ოლქა, მაზრა) შვეიცარიაში—ესენი არც ერთს დანაშაულობაში სიკვდილით დასჯას სრულიად არა ხმარობენ. სიკვდილით დასჯის გადაგდებაზედ ატეხეს ლაპარაკი ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში—ბეკარიამ, მონტესკიომ და სხვა პუბლიცისტებმა და დღესაც მაგ საგანზედ გაცხარებული ბასია მწერალთა და სახელმწიფო კაცებ შორის. ეხლა ეგ საქმე იქამდინ არის მიყვანილი, რომ თითქმის დაამტკიცეს, რომ სიკვდილით დასჯა არამც თუ საჭირო ჯ თეორიით შეუწყნარებელია, არამედ გადა წუვეტილად მავნებელია. ჩვენ ამის გამოკვლევას არ გამოუდგებით, ვისაც უნდა დაწვრილებითი ამისი გასინჯვა, წაიკითხოს გამოჩენილი კრიმინალისტის (სისხლის სამართლის მცოდნე) მიტერმაიერის თხზულება. ჩვენ მარტო

(*) Ж. М. Ю. 1862 წ. Декабрь.

გაცნობებთ, რომ ყენევის რესპუბლიკამ (შვეიცარიაში) ფეხზედ წამოაყენა ეგ საქმე, რომელიც თავის კონსტიტუციის გადაჩხრეკას შეუდგა. ყენევის კონსტიტუციის კრებამ 43 ხმით 5-ის თუ 6-ის წინააღმდეგ, გადაწყვიტა, რომ ყენევის სისხლის რჯულის-დებაში სიკვდილით დასჯა უნდა დარჩეს. მაგრამ, რადგანაც ჯერ კიდევ ეგ საქმე სრულად დაბოლოებული არ არის და ახლო ხანში ხელახლად უნდა გაისინჯოს, ამისაგამო ყენევის სარეგიზიო კომისიის ერთმა მწერმა ვიკტორ ჰუგოს წიგნი გაუგზავნა და ჰსთხოვა, რომ ამ დიდ საქმის გადწყვეტაში შემწეობა არ დაიშუროს. ამ კომისიის მწერთა ი რა პასუხი მოსწერა 17 ნოემბერს 1862 წ. ვიკტორ ჰუგომ:

«ბატონებო! თქვენ მშვენიერი საქმე დაგიწყვიათ; თქვენი ლვწლი და ცდა კეთილშობლურია, თქვენი სიტყვები მშვენიერნი არიან. თქვენ გიჭირთ დახმარება და მე მოგიკითხეთ. მადლობელი ვარ. თქვენ მეპატიჟებით და მეც თქვენგან მოვისწრაფი. თქვენ მოგდომებიათ სასახელო ნაბიჯის გადადგმა, თქვენი საზოგადო აგებულების გასწორება; თქვენ გინდათ შეიტყოთ განათლებაში და წარმატებაში რამოდენად წინ წასულხარო; თქვენ გინდათ ერთმანეთს საზოგადო საქმეებში დაეთანხმოთ. თქვენ გსურთ და იკრიფებით, რომ ერთად მოიფიქროთ მაგ საქმეებზედ; მაგ საქმეთა შორის რიგი მიმდგარა ერთ უდიდეს საქმეზედაც—სიკვდილით დასჯაზედ.

ეჰ, ეს უბედური სიზიფის ქვა (*), რომელსაც დანაშაულობისა თვის დასჯას ეძახიან, როდის დადგება, რომ უკანვე აღარ ჩამოგორდეს კაცთა საზოგადოებაზედა? როდის იქნება სიტყვა «დასჯა» «სწავლაზედ» შეიცვალოს; როდის გაიგებენ, რომ დამნაშავე იმიტომ აშავებს, რომ განათლებას მოკლებულია? თვალისათვის თვალი მოჭსთხარე, კბილისათვის კბილი ამოამტვრიე, ბოროტისათვის ბოროტი უყავ—ი მიახლოებით ჩვენი სისხლის რჯულის დება. ზღვა

(*) ზღაპრული ქვა არის, რომელსაც რანდენჯერაც მაღლა ააგორებდი, უკანვე დაგორდებოდა.

(мсть) როდის მოიშორებს იმ სახელს, რომელსაც «ლირსეული გადახდეგინება» ჰქვიან. როდისლა იქნება რომ სახარების წამკითხველთა კაცთა გაიგონ მისი დიდი აზრი? პატიოს როდის ჩვენ დიდს სიტყვას: «არა გაცჩენლა?» ეხლა შემთხვევა მოგეცათ, რომ წინ თვეხი წასდგათ და მაგ საქმისათვის შემწეობასა მთხოვთ. მაგრამ მე მარტომ რა უნდა ვქმნა? აი ეს მრავალი წელიწადია (1828 წლიდან) მე ვებრძვი მაგ გველაშაპს, რომელსაც სიგვდილით დასვვას ეძახიან და თითქმის ვერა თვერი ვერა ვუყავი რა. ბევრნი სხვანიც მაგ თვიქრით იბრძოდნენ; მაგრამ რა—გილოტინა (*) არ მოისპო, მარტო სხვა ბნელი ადგილი ამოირჩივა თავის საქმისათვის. თქვენ მთხოვთ შემწეობას და მე ნება არა მაქვს უარი გითხრათ; მხოლოდ კი მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ თქვენი საქმე კეთილად წარემართა, მაგ სიკეთისა ყველაზედ უფრო ცოტა წილი მე შემხვდება. მე ხშირად ვცდილვარ დამეხსნა სიკვდილისაგან თვით შორეული პირნიცა, ზოგჯერ ხელი შემწეობია და უფრო ხშირად კი ვერა მიქმნია რა. ამ პატიოსნურს საქმესვე ბევრმა სხვა კეთილშობილმა ჯკვამაც თავი შეჰსწირა: არ არის ჯერ ათი წელიწადი მას აქედ რაც ბელგიის მწერალნი გულმოდგინედ დამეხმარენ, რომა წამოვესარჩლე შარლრუაში იმ დამნაშავეთ, რომელნიც სამართალს სასიკვდილოდ დაენიშნა; — და ჩვენ ცხრა სულში შვიდი სიკვდილს გადავარჩინეთ. მეთვრამეტე საუკუნის მწერლებმა იმოდენა შეჰსძლეს, რომ წვალება (пытка) მოჰსპეს, იქნება მეცხრამეტე საუკუნის მწერლებმა სიკვდილით დასჯის მოსპობა შეიძლონ. იმათ ხომ იმდენი ჰქმნეს, რომ თვრანციაში ხელის მოჯრა და გახურებული რკინის ხმარება სამართალს გადაეგდებინეს, და მსაჯულებსა იმ გარემოებაზედ, რომელიც ასუბუქებს დანაშაულობას, ყურადღება მიაქცევინეს. «ამისთანა უხეირო წიგნის, როგორც «დამნაშავის უკანასკნელი დღე», მადლობელნი უნდა ვიყვნეთ— ამბობდა დეპუტატი სილვერი: რომ შემოვიტანეთ ის სულელური წე-

(*) თ`ვის მოსაჭრელი მაშინა.

სი, რომლის მეოხებითაც დანაშაულობას სამაგიერო სასჯელი უნდა შეუსუბუქდეს—ეგ სიკვდილით დასჯის მოსპობის დასაწყისია». საქმე დღე და დღე წინ მიდის—მართალია მძიმედ, მაგრამ მაინც ამით ხალისი არ უნდა დაკარგოთ. ჩვენი ღვაწლი უნაყოფო არ არის. მე ზემოთ ერთი მაგალითი მოვიტანე, აი მეორეც: 1854 ჯერნსეის კუნძულზედ ვიღაცა ტაბნერი სამართალმა გადასწყვიტა, რომ ჩამოეხრჩოთ. მე შეკერიკე ამ საქმეში და 600 მა იმ კუნძულის თავი კაცმა თავი გამოიდო და ითხოვა, რომ აპატიონ; მაგრამ საწყალი ტაბნერი მაინც და მაინც ჩამოახრჩეს. ეხლა ყური მიგდეთ რა მოხდა: ზოგიერთი ყურნალი, რომელშიაც ამის თავგადასავალზედ დაწერილი ჩემი წიგნი დაბეჭდილი იყო, მისლოდათ ამერიკაში მაშინ, როდესაც კვებეკში უნდა ჩამოეხრჩოთ ვიღაც ყულიანი; კანადის ხალხმა ჩემი წიგნი ჯერნესელებთან ისე მიიღო, როგორც თავისთან მიწერილი, — და ამ სახით წიგნმა, რომელსაც უნდოდა ტაბნერი დაეხსნა, ყულიანი დაიხსნა სიკვდილისაგან. მე ეს მაგალითი იმიტომ მოგიყვანეს, რომ გაჩვენოთ რა ნაირად საჭიროა ამ სახით დაუღალავი მოქმედება და ცდა. ვაი, რომ კაცის გვერა სამართლის სახელითა ათასნაირ სახითა ისევ არსებობს! თქვენს პატარა კუთხეში, ყენევაში თვრამეტს თვეში სიკვდილით ორი დაისჯა; პარიაში გილიოტინა ლა-როგეტაში მუშაობს; ანგლიაში ახჩობენ არამც თუ დამნაშავე კაცებს, არამედ დედაკაცებსაც; რომში უსუფლადოდ ჰკვლენ (რომ სისხლი არ დაიღვროს) და სხ. «წვალებაა»! მე აკი ვსთქვი მოსპობილია, მეთქი. მაგრამ იცით, რომ 1843 იგი ისევ იყო,—სადა, ჩინეთში?...არა, ევროპაში, შვეიცარიაში, ცუგის მაზრაში. იქ ერთი გასათხოვარი გოგო თურმე ქურდობაში დაეჭირათ, ყველის მოპარვას აბრალებდნენ. გამომძიებელმა ეს ლანისძიება იხმარა, რომ გოგოს თავის პირითვე ათქმევინოს თავისი დანაშაული: უბძანა რომ თითებზედ ჯერში დაჰკიდონ და მას შემდეგ ჯოხით ჰსცემონ.

«არა, იმედი არ უნდა გადიწყვიტოს კაცმა! დეე ყოველი გონიერი სათითაოდ იბრძოდეს ამ აზრით, რომ სისხლის კანონები შეასუ-

ბუქოს. სასჯელის შეცოტავება და განათლების გაფრავლება—აი რა უნდა იყოს იმათი დევიზი. მით რაც აქამდინ გაკეთებულა იმათ შეიტყონ ის, რაც გასაკეთებლად კიდევ დარჩომილა. გარემოება რომ ეხლა ცოტად თუ ბევრად ასუბუქებს დანაშაულობას — ესეც დიდი საქმეა. 1818 და 1819 წ. რომ ეგა ყოფილიყო არ მოხდებოდა ამისთანა ამბავი: 1819 წელს ერთს ზავზულის დღეს ერთს მოედნის (Palais de Justice) სამარცხვინო ბოძთან შეგროვილიყო უშველებელი ხალხი. მეც მივედი. ბოძზედ კისრით მიბმული იყო ადამიანის სული—ახალგაზდა დედაკაცი, ანუ ქალი. მის წინ იდგა ნახშირ გაღუებული მაყალი, მაყალზედ ერთი რკინის ჯოხი ხის ტარითა ხურდებოდა; ხალხს კმაყოფილების სახე ედვა. ეგ ქალი შინაურ ქურდობაში შემცნეული იყო თურმე. უეცრად როდესაც საათმა თორმეტი დაჰკრა, ვიღაცა კაცი ავიდა ეშაფოტზედ და იმ ქალს უკან მოექცა; ამ კაცმა გაუსხნა ქალს ზონრები ბერანგისა და წელამდინ გააშიშკლა, მერე წამოავლო ხელი წითლად გახურებულს რკინის ჯოხს და ღონიერად გააცარა ქალის შიშველა ზურგზედ. რკინის ჯოხიც და ჯალათის ხელიც ორივე დაიმალნენ თეთრს ბოლოში. მას აქედ ორმოც წელიწადზედ მეტი დრო გავიდა, მაგრამ კი ის საშინელი წივილი იმ საწყალის დედა-კაცისა ყურში მიდგა დღესაც და მედგმება კიდეც საუკუნოდ. მე მაშინ ოექვსმეტის წლისა ვიყავი და მე იმ ადგილიდამ წამოველ მტკიცე განძრახვით, რომ ჩემი დღენი კანონის უსამართლოებას ვებრძოლო!

«ვიღაცა კრიმინალისტმა ჩვთქვა: არ უნდა თქვან «სასჯელი», უნდა სიტყვა «სამაგიერო» იხმარონო. კანონი არ ჩვლავს კი, არამედ ბოროტს კაცს ჩამოგვაცლის ხოლმეო.» ჩვენ ჩვეულებრივ მოამაკვდავებს არ გვესმის ეგ სიბრძნე.

«მინამ სიკვდილით დასჯა იქნება, სასისხლო სასამართლოში შესვლის უმალ ცივი ოფლი დაესხმის ადამიანსა, და იქ საუკუნე სიბნელე იქნება გაუფლებული. წელს ინგლრში შარლუაში რომ დანაშაულობას იძიებდნენ, (რომელშიაც გამოჩნდა, რომ ორი სიკვდილით დასჯილი კაცი გეტნალსი და გეგე იქნებ უდანაშაულო-

ნიც იყვნენ—როგორ მოგწონთ ეს «იქნება.»), ამ სიქმის გამოძიებაში ერთმა ადვოკატმა წარმოსთქვა, რომ საჭიროა მუქდი სასწავლებლები გავაჩინოთო, რადგანაც დანაშაულობა, უფრო უგანათლებულობისაგან წარმოდგებაო. გენერალ-პროკურორმა სასაცილოდ აიგდო და უთხრა: «ადვოკატო, აქ ბალღატა არ არისო.» არა, უფროპროკურორო, აქ სამარე არის, სამარე!

«სიკვდილით დასჯას ორი ნაირი მოვრეულები ჰყავს: ერთნი ასინი, ვინც იმას აუცილებელ საჭიროებად ხდიან, მეორე ისინი ვინც იმას საქმეში ხმარობენ, ან სხვა ნაირად, ვჰსთქვათ: ისინი, ვინც თეორიით ეწევიან, მეორე ისინი ვინც პრაქტიკით. მაგრამ პრაქტიკა და თეორია ორივ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. რა, მითამ სიკვდილით დასჯა მაგალითი არის ხალხისათვის? ჩვითხვათ თქვენ. ჩო, გეტყვით თეორის მიმდევი. არა, გეუბნებათ პრაქტიკის მიმდევი და ჩმაღავს გილოტინას შორს სადმე, ცდილობს, რომ ხალხი არ მოვიდეს სასჯელის სანახავად, თავსა ჩსჭრის და ნაშავეს ცისმარე დილას ლამით მომზადებულ ეშაფოტზედა, ან კიდევ ოთხ კედელშუა (როგორც ამერიკაში, ანუ პრუსიაში). მა რა-

ნოების მცნებანი მასთან შეერთებულნი არიან, სამეცნაოდ სარწმუ-ნოების მცნება.

«თქვენ დამნაშავის სიკვდილი გინდათ! მაგრამ გიფიქრიათ თქვენ იმ დაუსრულებლობაზედ, რომელშიაც სიკვდილით თქვენ კაცის ცხოვრებას შთაგდებთ ხოლმე, იმ საშინელს მოუღოდნელობაზედ, რომელსაც ადამიანს უმზადებთ? სიკვდილით დასჯა—ეგ ხომ კაცთა საზოგადოების ხელია, რომელსაც ადამიანი უძირო ჯურღმულის თავზედ უპყრია და შეტოკდება ხელი თუ არა—კაცი მსხვრეგით ეცემა ძირსა. მოაზრე კაცი, რომელსაც ძალა აქვს, რომ განსჯვრიტოს რამოდენადმე ეს დაუსრულებლობის საქმე, თრთის ხოლმე, როცა კი ამ საქმეს წარმოიდგენს. კაცნო! რა გიქმნიათ თქვენ? ვის შეუძლიან თვალით განსჯვრიტოს ის თვალთგაუვალი სიმწყვდიადე, რომელშიაც შთაგდეთ საწყალი სული? სად მიდის ის სული—ვინ იცის?

«ჩვენ მოაზრე, აზრიანს კაცსა იმითი ვცნობულობთ, რომ სიცოცხლის საიდუმლოდ პატივის ცემა აქვს.»

«მე ვიცი, რომ თეოლოგოსები იდეალისტები არიან. რა უნდათ იმათ? ნუ თუ უნდა განაგდონ განოანითგან სიკვდილით დასჯა, რომელსაც ისინი საზოგადოების მგლოვიარობას ეძახიან. მგლოვიარობა! მაშ ერთი წაიდნენ და ყურებით გაძღნენ ხალხი სახჩობელის გარეშემო როგორ იცინის! ერთი მიიდნენ პირის პირ ნახონ ის, რაც არის! იქ სადაც ისინი მგლოვიარობასა ხედვენ, ჩვენ სიცილსა ვხედავთ.

«ეს ხალხი სულ ჭაერში ფრინავს. როდისღა დაგვანებენ ჩვენ ისინი თავსა, როდისღა მოგვაშორებენ თავიდამ თავიანთ თეორიებს, სისტემებს, სიზმრებს, ან ისინი რის საჯელით ცდილობენ? პროგრესის ს იდეალის სახელითა—ესენი ფუღურო სიტყვები არიან. ღმერთმა ჩვენ მაგათ ხელისაგან დაგვიხსნას. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

რაც უნდა იყოს, თქვენ მოწყალენო ხემღწიფენო, გინდათ ხელ-

ახლად განსაჯოთ ეგ დიდი საქმე. გული გაიმაგრეთ! ხალხსა ნუ დაჭკარგავთ. დაე ყველა გეთიდ გონიერი კაცი თავის წადილის ასრულებამდინ იღვწოდეს!

«მცირე ხალხი ქვეყანაზედ არ არის. მე ეს რამდენიმე წლის წინად ბელგიელებისათვის მითქვამს შარლროაში დასკვილების თავობაზედ: ნება მქონდეს ამ წიგნშიაც ეგ გავიმეორო.

სიდიდე ხალხისა მის რიცხვით კი არ იზომება, როგორც სიდიდე კაცისა არ იზომება ტანადობითა. ამ შემთხვევაში ზომად ხალხის სათნოებისა და გონიერების ნიჭის რიცხვია. მხოლოდ იგი ვინც დიდს სამაგალითო საქმესა იქმს—მარტო იგია დიდი. ხალხი, კაცად უნდა იყოს, კაცს კიდევ სული უნდა ჰქონდეს.

«მაშინ, როდესაც მთელი ევროპა უკან მიდის, კარგი იქნებოდა რომ ყენეკა წინ წავიდეს. ნეტავი შეიცარიამ და ნამეტნავად თქვენმა პატარა რესპუბლიკამ შემდგომზედ მოითვიქროს: მშვენიერი საქმე იქმნებოდა, რომ ყენეკამ სიკვდილით დასჯის გადაგდება დიდს ხახელმწიფოებს დააწყროს. კარგი რამ იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს განათლებულს ქვეყანას ცხადად წამოუდგეს მაგალითად რომი ყენეკა: ერთი მხრით რომი თავის პაპობითა (папство), რომელიცა ჭაწყეულის და ჭკვალეს, მეორე მხრით ყენეკა სახარებითა, რომელიცა მოტევებას აძლევს.

«ჭკი ყენეკის ხალხო! თქვენი ქალაქი გურთხეულს მხარეში არის, დანაბადის ყოველი სიტურფე თქვენ გარს გახვევიათ; ხილვა მშვენიერებისა ჭეშმარიტების იდეას აღვიძებს, ცივილიზაცია ბუნებასთან ერთად, თანხმად უნდა იყოს; ეური შიუგდეთ თქვენის ნათელის და ლაჟვარდის ცის რჩევას, თქვენის ქვეყნის სუბუქის და მოალერსე ჭაერის ტკბილს ლაპარაკსა—და უშიფოტი დაამსხვრიეთ. უმადურობას ნუ ჩაიდენთ. არ ათქმევინოთ ხალხს, რომ ვითომც მის მაგიერ, რაც ღმერთმა თქვენ მოგანიჭათ მაგ ქვეყნ..ს მშვენიერ კუთხეში, სადაცა არიან ალპები, მოანბლანი (*), არეკუ და რონა (**)

(*) მთებია.

(**) მდინარენი არიან.

დასასრულ სცა თქვენი ლუარსი ყენევის ტბა არის, არ ითქმევინოთ, რომ ამის მაგიერ თქვენ ვერა ფერი სხვა ვერა შეიძლით რა წარმოგვიდგინეთ ღვთისათვის, თუ არ გიდიოტინა და სახრჩობელა!

ბ. გ.

—ამ დედაკაცმა ამის წინად, ჩემ თვალ წინ უფ. მერი გაუ-პატიურა.

—ეგ საკუთრად მე შემეხება, მე მეკუთვნის,—უფ. მადლენმა უთხრა. იქნება მე მაგ შეურაცხ-ყოფის ღირსი ვარ? ჩემი გაუპატიურება მე მეკუთვნის, მაგისთვის რასაც მინდა იმას ვიქ, ეს ჩემ-ზეა დამოკიდებული.

—უფალ მერს მოტაცებასა ვთხოვ, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თქვენი გაუპატიურება, მმართებლობის და სასამართლოს გაუპატიურებაა და არა თქვენი.

—ზედამხედველო ჟაკერო, უფ. მადლენმა უპასუხა, პირველი სასამართლო—ჩვენი სვინიდისია. მე ამ დედაკაცის ნალაპარაკევი შევიტყე. მე ვიცი და მესმის რასაც ვჩადი.

—მე კი, უფალო მერო, არ ვიცი და არ მესმის რას ვხედავ და რას ვჩადიავარ.

—მაშ თუ აგრეა და არ გესმისთ, თქვენ მარტო მოვალეობათ რომ მე დამიმორჩილდეთ.

—მე ჩემ ვალდებულებას ვემორჩილები. ჩემი ვალდებულება მო-ითხოვს, რომ ეს დედაკაცი ექვსი თვე ციხეში იჯდეს.

მადლენმა დაწყნარებით უთხრა:

—მაშ ყური კარგა დამიგდეთ და ეს სიტყვები შეიტყეთ: ეს დედაკაცი ერთ დღესაც არ იჯდება ციხეში.

ამ უკანასკნელ გადაწყვეტილ პასუხზე, ჟაკერმა გაჭბედა და თვალ დაშტერებით შეხედა მერს, მაგრამ მაინც კიდევ პატივ-საცემის ხმით უთხრა:

—მე დიდად ვწუხვარ, რომ ჩემ სიცოცხლეში ეი ეს კერ პირ-ველად ვარ ძალდატანებული, რომ უფ. მერს უწინამდეგო და თქვენ ბძანებას გადუდგე, მაგრამ თქვენ ეს გარემოებაც უნდა გაშინჯოთ და განიხილოთ, რომ მე ჩემ ვალდებულების და თანამდებობის სამზღვარ გარეთ არ გავდივარ. მაშ რადგანაც უფალ მერს ესე ნე-ბავს, მე მარტო იმ მოქალაქის გაუპატიურობის საქმეს შევეხები. მე იქ დავესწარ, ეს დედაკაცი ჩემ თვალწინ მივარდა უფ. ბამატა-

ბუას, აი ქუჩის ბოლოს რომ მშვენიერი სამ-ეტაჟიანი სახლია, იმის მებატონეს. მაგრამ რაც უნდა იყოს, უფ. ფერო, ამ გვარი საქმის განხილვა საზოგადო პოლიციას ეკუთვნის და მეც შემეხება; იმიტომაც ჩემ განაჩენს ვერ შევცვლი და ამ დედაკაცს თვანტინას დავამწყვდევ.

მაშინ უფ. მადლენმა გულ-ხელი დაიკრიფა და ისეთ სასტიკის ტ მალალის ხმით უთხრა, რომელიც იმ ქალაქში იმისგნით ჯერ არა ვის არ გაეგონა.

—მაშ საქმის განხილვა, რომელზედაც თქვენ ამბობთ, სისხლის სამართლის კანონებით, მეცხრე, მეათერთმეტე, მეათხუთმეტე და მეათშვიდმეტე მუხლების ძალით სამოქალაქო პოლიციას შეეხება ტ მაგის განხილვა მე მეკუთვნის. მე გიბძანებ, რომ ეგ დედაკაცი განთავისუფლოთ.

ჟანერს უკანასკნელი თავის ძალდატანება უნდოდა მოეხმარა ტ უთხრა:

—მაგრამ, უფალო ფერო . . . .

—დეკემბრის 13-ის დღის 1799 წლის კანონების ოთხმოცდა მეცხრეველე მუხლი მოიგონეთ, ნებით დამწყვდევაზე.

—უფ. ფერო, მომითმინეთ, ნება მიბოძეთ . . . .

—ხმას ნულარ გამაგონებ.

—მაინც . . . .

—მე გთხოვ თქვენ აქედამ გაბძანდეთ, მადლენმა უთხრა.

ჟანერმა ამ სიტყვებს გაუძლო. დაბლად თავი დაუკრა და გავიდა.

როცა ჟანერი გავიდა, უფ. მადლენი თვანტინას მიუბრუნდა და ისეთ ქანც გაწყვეტილ წყნარის ხმით უთხრა, თითქო ტირილს უმაგრდებოდა.

—მე თქვენი ნათქვამი შევიტყე რაც თქვენა სთქვით მე ეგ არ ვიცოდი. მე მჯერა რომ ეგ მართალია და ვგრძნობ რომ თქვენ მართალს ამბობთ. ჩემ სახელოსნოდამ თქვენი გასვლა მე არც კი ვიცოდი,—ეხლა მესმის. თქვენ რატო მე არა მნახეთ? მაგრამ აი რას

ბეტუკით: მე უველა თქვენ ვალებს გადვიხდი, ვუბძანებ თქვენი უმაწვილი აქ ჩამოიყვანონ, ან არა, თქვენ წადით იმასთან. თქვენ შეგიძლიანთ აქ იცხოვროთ, ან პარიეში, ერთის სიტუკით, საცა მოიწადინებთ, თქვენ და თქვენის უმაწვილის უზრუნველად ცხოვრებას ვკისრულობ. თქვენ თუ გინდათ, ამას იქით ალარ იმუშავებთ. მე თქვენ იმდენ ფულს მოგცემთ, რამდენიც დაგჭირდებათ. რაცა გაბედნიერდებით, მაშინ თქვენ ისევ პატიოსანი და ნამუსიანი დედაკაცი იქნებით. თუ უველა მართალია, რაც თქვენ წელანა სთქვით, რაშიაც მე არ ვეჭობ, თქვენ ღვთის წინაშე დამნაშავე და ბრალიერი არაფერში არა ხართ. ოჰ! შე საცოდავო დედა-კაცო!

ფანტინასთვის ეს დიდი ბედნიერება იყო. ამას იქით კოზეტტა თავისთან ეყოლებოდა! იმ საზარელ ცხოვრებიდამ უნდა გამოსულიყო, იმ დგომარეობაში ალარ იქნებოდა! თავისუფლად იცხოვრებდა, კარგათ, პატიოსნათ, ბედნიერად და ნამუსიანათ, თავის კოზეტტასთან ერთად! და ხედავდა, რომ იმ სისაწყლის შუა, უეცრად სამოთხის ბედნიერება ეკლინებოდა. ის გაშეშებული და გაბრუებული უყურებდა იმ კაცს, რომელიც იმას ელაპარაკებოდა და ზოგჯერ ოხრავდა და ტიროდა. მერე ფანტინას მუხლები მოეკვეთა, მადლენის წინ დაიჩოქა და მანამდის ის დაუშლიდა ამის ქმრას, მადლენმა იგრძნო, რომ ფანტინა იმის ხელს მიკარდა, ტუჩებთან მიიტანა და მიიკრა.

ამის შემდეგ ფანტინამ კელარ შესძლო და გულ-შემოეყარა.

მოსკენების დასაწყისი.

უფ. მადლენმა ფანტინა თავის საკუთარ სახლის ლაზარეთში გადაიყვანინა და იქ ავათ მყოფებზე ზედამხედველ დედაკაცებს ჩაბარა. ფანტინა საშინელ ცივ-ცხელებით გახდა ავათ. თითქმის მთელი ერთი ღამე ბოდავდა, შფოთავდა და ხან მადლის ხმით ლაპარაკობდა; მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, ჩაეძინა.

მეორე დღეს, თითქმის შუადღის დროს გამოელვიძა; თავის კა-

რაოტის ახლო, ვიღაცა ადამიანის სუნთქვა შეესმა; საწოლის თვრდა გადასწია და დაინახა მადლენი, რომელიც თვანტინას თავით, კედელზედ რაღასაც შესცქეროდა. იმის შეხედულობაში კაცი შებრალებას, ნაღვლს ⁄ კედრებას ამოიკითხავდა. თვანტინამ თავი მიიღო, შეხედა და დაინახა, რომ მადლენი კედელზედ ჩამოკიდებულ ჯვრცმას შესცქეროდა.

ეხლა თვანტინას მადლენი თვალში სულ სხვა თვრიგ უჩნდა. თითქო ის ნათელში იყოო შემოსილი. ეტყობოდა, რომ ლოცვაში იყო ჩათვიქრებული.

თვანტინა იმას კარგა ხანი უყურებდა და ვერ გაეგებდნა იმის ლოცვის შეწყვეტა. ბოლოს შიშით უთხრა:

—თქვენ აქ რას აკეთებთ ?

უთ. მადლენი მთელი ერთი საათი იყო, რაც იქ იდგა და თვანტინას გამოღვიძებას ელოდა. იმან ხელი გამოართო, მაგა გაუშინგა და უპასუხა:

—თქვენ ეხლა როგორა ხართ ?

—კარგათა ვარ, მე მეძინა, თვანტინამ უპასუხა, მგონია რომ ეხლა უკეთა ვარ. ეს არაფერია გაიგლიხ.

მადლენმა მთელი ღამე და დილა გამოძიებაში და შეტყობაში გაატარა. ეხლა იმან სუ უკელა ფერი იცოდა. თვანტინას საშინელი თავ-გარდასავალი სრულიად დაწვრილებით შეიტყო. მერე მადლენმა უთხრა:

—თქვენ დიდი ვაება და ტანჯვა გამოგიგლიათ, საბრალო დედავ. არა ! ნუ იქნებით უმადური, ნუ ჩიგით, თქვენ რჩეულთა ბედი დაგდგომიათ. მარტო მაგ გვარად და მაგ გზით ადამიანები ბედნიერდებიან. ეს იმათი ბრალი არ არი, იმიტომ, რომ იმათ სხვა გზით საქმის დაწყება არ იციან. აი რას გეტყვი:—ეს ჯოჯოხეთი, რომელიდამაც თქვენ გამოდიხართ, ასუფეველის წინა შესავალი ადგილია. აქ უნდა დაგეწყოთ, მეტი ღონე რომ არა გქონდათ !

მადლენმა მწარეთ ამოიოხრა. თვანტინამ კი იმას ნაზად გაუღიმა, იმ ღიმილს ორი კბილი აკლდა.

ყაკერმა იმავ ღამესვე დასწერა წიგნი. მეორე დღეს დილით ის წიგნი თითონვე ფოშტაში წაიღო და მისცა. ეს წიგნი პარიჟში გაგზავნა. ზეიდამ ეწერა: «უფალ შაბულიეს, პოლიციის პრეფექტის მდივანს». ფოშტის დირექტორის ცოლმა და კიდევ ზოგიერთმა ის წიგნი ფოშტაში რომ ხახეს და ყაკერის ხელი იცნეს, იმ წამსვე გაიფიქრეს: უთუოდ ყაკერი სამსახურს თავს ანებებს, გამოდისო და ეს იმის არზაააო.

მადლენმა ტენარდიებს სიჩქაროდ წიგნი მისწერა. ფანტინას იმითი ეს ოცი ფრანკი ემართა. მადლენმა სამასი ფრანკი გაუგზავნა იმ პირობით, რომ ფანტინას ვალი აეღოთ და უმაწვილი ავათმყოფ დედასთან მალე ჩამოეყვანათ ქალაქ მ-ში.

როცა ტენარდიემ ფულები მიიღო სულ ჭკვიდამ შეიშალა, თვალები აეხვა და ცოლს უთხრა:

—ამ გოგოს ჯერ ნუ გავგზავნით, აქ შევინახოთ. აი ნახავ, თუ ეს ტოროლა ჩვენთვის კაი საწველელი ფური არ გახდეს. მე გულში მიტყობს, უთუოდ ბრიყვმა ვინმემ შეიყვარა ამის დედა.

ტენარდიემ ძალიან ოსტატობით შეადგინა სია, სცა ხუთ ფრანკზე მეტი კიდევ სხვა ახალი დანახარჯი უანგარიშა კაზეტტაზე და მადლენს გაუგზავნა. იმ სიაში გამოყვანილი იყო დანახარჯი ჭექიმებზე და წამლებზე, ეპონინას და აზელმის ავათ-მყოფობის დროს. როგორც უწინა ვსთქვით, კოზეტტა სულობითაც ავათ არ გამხდარა. თავიანთ ქალების ავათ-მყოფობის ხარჯს იმაზე სთვლიდნენ. ტენარდიემ ანგარიშის ქვეშ მოაწერა: ამ ჩემ მისაღებ ფულში სამასი ფრანკი მიმიღია.

უფ. მადლენმა რაკი ეს ანგარიში მიიღო ტენარდიებისაგან, იმ წამსვე კიდევ სამასი ფრანკი გაუგზავნა და მისწერა: მალე, დროით ჩამოიყვანეთ კოზეტტაო.

—აბა ეხლა უმაწვილი არ უნდა გაუშოთ აქედამ, ტენარდიემ სთქვა, როცა სამასი ფრანკიც მიიღო.

ფანტინა ჯანზე ვერ მოვიდა, უკეთ არა ხდებოდა და ჯერ კიდევ ლაზარეთში იწვა.

უფ. მადლენი მუდამ ცისმარეა დღეს იმის სანახავათ ორჯერ მიდიოდა ხოლმე და ეოველ მისვლაზე ფანტინა ჰკითხავდა იმას:

—ჩემ კოზეტტას მაღლევნახავ, თუ არა?

ის უპასუხებდა ხოლმე:

—იქნება ხვალ დილაზე ნახოთ, იმის მოსვლას მუდამ სათ მოკელი. ამის თქმაზე დედას ფერმ-კრთალი სახე უბწყინვალდებოდა ხოლმე.

—ოჰ! ის იტეოდა,—რა ბედნიერი ვიქნები!

მაგრამ ფანტინა არა თუ ჯანზე ვერ მოდიოდა, დღე დღეზე უფრო და უფრო ცუდათა ხდებოდა. ერთ მუჭა თოვლმა, რომელიც ახალგაზდა კაცმა ტიტველა ბეჭებში ჩააყარა, ოფლის დენა შეაყენა, უეცრად სუნთქვა გაუძნელა და ამის გამოც რაკდენიმე წლის დაფარული ავანტეოფობა საჩქარად აეშალა რა გაუცხოველდა. ჭელქიმმა ფანტინას გული გაუშინჯა, იმის სუნთქვას და გულისცემას ეური უგდო და თავი გაიქნია.

უფ. მადლენმა ჭელქიმსა ჰკითხა:

—რას იტყვით? რა არი?

—ამ ქალს, ემაწვილი ხომ არა ჰყავს, რომლის ნახვაცა სურს? ჭელქიმმა ჰკითხა.

—დიახ. მართალია, ჰყავს.

—მაშ ეცადეთ მალე მოჰგვარეთ.

უფ. მადლენი შეთრთოლდა.

ფანტინამ ჰკითხა:

—ჭელქიმმა რა სთქვა?

მადლენმა თავის თავს ძალა დაატანა, განგებ გაიღიმა და უთხრა:

—ეს მითხრა, რომ თქვენი ქალი მალე ჩამოიყვანონ. იმის ნახვაზე თქვენ კარგათ გახდებით.

—ოჰ! ფანტინამ სთქვა, მართალი უთქვამს! რა დაემართათ იმ ტენარდიებს, რომ ჩემ კოზეტტას ასე აქნობამდის იქ იჭერენ და არ ჩამოჰყავთ? არა! ჩემი კოზეტტა მოვა! . . ძლივს, ბედნიერება ჩემთან მოახლოებულია!

ტენარდიე კი უმაწვილს არა გზავნიდა, ინახავდა და ათას ნაირ სხვა და სხვა მიზეზებს იგონებდა: ხან, რომ კოზეტტა ჯერ კიდევ პატარა არისო, ამისთანა ზამთარში და სიცივეში ვერ თუ მგზავრობა ვერ შესძლოსო და ამიტომ ჯერ ვერ გამოგისტუმრებო, ამასთანავე ცოტადა ვალი კიდევ არის ამის შესანახიო ჭ სხვა და სხ.

—კოზეტტას ჩამოსაყვანად მე ვისმეს გავგზავნიო, მიდლენმა სთქვა და თუ საჭირო იქნება, მე თითონ წავალო.

თენარდიერს სიტყვით ესეთი წიგნი დასწერა, რომელზედაც თენარდიერმა თავის სახელი საკუთარის ხელით მოაწერა:

«უფალო ტენარდიეს!

«ამ წიგნის მომტანს, თქვენ კოზეტტა ჩაუბარეთ.»

«რაც წვრილმანი ჩემი ვალებია, თქვენ გაგისწორდებიან და მოქცემენ.»

«დაგშთები თქვენთან პატივის ცემით.

«თენარდიერ».

ამ დროს ეს უკულმართი შემთხვევა მოხდა.

ჟანი როგორ გადიქცა შინად.

ერთ დღეს დილით, უფ. მადლენი თავის ოთახში იჯდა და რადგანაც მონოგერმელში წასვლას აპირებდა, თავის თანამდებობის საქმეების აღსრულებას ადრევე შეუდგა; ამ დროს მოახსენეს, რომ ზედამხვედველი ჟავერიაო და თქვენ ნახვას ნდომულობსო. იმ კაცის სახელის გაგონება მადლენს, არა რომ ვერ იამა; თენარდიერის საქმის შემდეგ, ჟავერი მადლენის ნახვას და შეხვედრას ძალიან ერიდებოდა და უფ. მადლენსაც იმის უკან ის თვალით აღარ უნახავს.

—შემოიპატიჟეთ, იმანა სთქვა.

ჟავერი ოთახში შევიდა.

მადლენი ბუხარიან ახლო იჯდა, ხელში კვლამი ეჭირა, დაწერილ საქმეებს თვალს ავლებდა და ზედ თავ თავის შენიშვნებს აწერდა. როცა ჟავერი ოთახში შევიდა, ის თვალზედ არ წამოუდგა. თენარ-

ნას საქმე არ ავიწყდებოდა და იმიტომ ცივათ მიიღო.

ჟაკერმა მერს მძიმედ თავი დაუკრა, რომელიც იმისკენ ზურგ შექცეული იჯდა. მერმა ზედაც არ შეხედა და ისევ — საქმეებზე შენიშვნებსა სწერდა.

ჟაკერმა რაკდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა, გაჩერდა და სიჩუმე არ შესწყვიტა.

ბოლოს მერმა კალამი ძირს დასდვა და ეკერდზე მიიხედა:

—ჟაკერო, რა ამბავია? რა მოამხდარა? ან რა გნებავსთ?

ჟაკერი ცოტას ხანს ჩუმათ იყო, თითქო ემზადებოდაო და მერე მაღლის ხმითა სთქვა:

—მოგახსენებ, უფ. მერო, რომ დანაშაულობა მოხდა.

—რა დანაშაულობა?

—ერთმა ხელქვეითმა, სამსახურის კაცმა, ერთ დიდ საქმეში შეურაცხყოფა თავისი უფროსი და მე ჩემ კალდებულობის გამო, მოვედი რომ თქვენ გაცნობოთ ამ საქმეზე.

—ეგ ხელქვეითი, სამსახურის კაცი ვინ არი? უფ. მადლენმა ჰკითხა.

—მე ვარ, ჟაკერმა უპასუხა.

—თქვენა?

—დიალ, მე.

—ის უფროსი ვილაა, რომელიც შეურაცხ ყოფილ ?

—თქვენა ბძანდებით, უფ. მერო.

უფ. მადლენი წამოიწია და მხრებში გაიმართა ჟაკერი ძირს იხედებოდა, მადლენისთვის თვალი ვერ გაემართა და სასტიკის ხმით სთქვა.

—უფალო მერო, მე მოვედი თქვენთან სათხოვნელად, რომ მთავრობასთან წარმადგინოთ და სამსახურიდამ გამომრიცხოთ. გაოცებულმა უფ. მადლენმა პირი დაალო, რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ ჟაკერმა არ დაცადა და უთხრა:

—იქნება თქვენა სთქვათ, რომ მე თითონ შემიძლიან მთავრობას არზით ვთხოვო სამსახურიდამ ჩემი დათხოვნა, მაგრამ ეს

ჩემთვის ცოტა იქნება და საკმაო არ არი. სამსახურიდამ არაფით დათხოვა კიდევ პატიოსანი საქმეა. მე დამნაშავე ვარ და უნდა დავისჯო. მე ლირსი ვარ, და სანა სამართალია მე უნდა სამსახურიდამ გამოშაგდოთ.

პატარა ხანს დაჩუმდა და მერე დაუმატა:

—უფ. მერო, ერთი დღე იყო, რაცა თქვენ, მე ძალიან უსამართლოდ და სასტიკად მოგექეცით, მე გთხოვთ ეხლა, რომ დღეს სამართლიანად იყოთ ჩემზე სასტიკად.

—რა ამბავია? რა არის? რა დაგმართვიათ? უფ. მადლენმა დაიძახა: რა უთავბოლოთ ლაპარაკობთ, რას ბოდავთ? რა დანაშაულობა მიგიძღვისთ ჩემ ზედა? რა გიქმნიათ ჩემთვის? თქვენ თავს თქვენვე ბრალსა სწამებთ, თქვენ გინდათ რომ მაგ თანამდებობიდამ სხვა ადგილზე გადგიყვანონ...

—არა, მინდა, რომ გამოშაგდოთ,— ყაკერმა უთხრა.

—გსთქვათ გამოგაგდეს. ძალიან კარგი. მაგრამ მე მაინც ვერაფერი ვერ გამიგია.

—აი ეხლავე შეიტყობთ, უფ, მერო.

ყაკერმა მწარედ ამოიოხრა და ნაღვლიანად და მშვიდად სთქვა:

—უფალო მერო, ამ ექვსი კვირის წინად, იმ დედაკაცის ამბის შემდეგ, მე გავშფოთდი თქვენზე და გამწარებულმა მე თქვენ მთავრობასთან დაგაბეზღეთ.

—დამაბეზღეთ!

—დიახ, პარიკის პოლიციის პრეფექტთან.

უფ. მადლენმა ჩაიცინა, თუმცა ისე იშვიათად გაიცინებდა ხოლმე, როგორათაც თითონ ყაკერი.

—თქვენ მე დამაბეზღეთ,—როგორც პოლიციასთან დამნაშავე მერი?

—არა, როგორც უწინდელ კატორღელი.

მერს სახე სულ შეეცვალა და ადმული აუვიდა.

ყაკერი მაინც კიდევ ძირს იუურებოდა. მადლენს არ შეხედა ტ დაატანა:

—მე ესე მგონია, დაწყმენებული ვიყავ. �ადი ხანია რაც ეს ნაზრეები მე თვიქრში მიტრიალებდა, თქვენი მსგავსობა ამ კოტორდელებთან, თავვერდოლეში შეკრებილი და შეტყობილი ამბები, რომლებიც მე გამოვიძიე, თქვენი სოცარი ლონე, რომ თუმენი სიკვდილს გადარჩინეთ, თქვენი მარჯვეთ ნიშნში თოთის სრულა, თქვენი თვესი, რომელსაც სიარულის დრეს ცოტათი მიწაზე ათრევთ ჯ სხვა ამ გვარი ცუდ-ებრალო ნიშნები,—ერთის სიტყვით, მე თქვენ ერთი ვილაცა ყან-ვალყანი მეგონეთ.

—რა სახელი სთქვით ესლა? ვინ გეგონეთ?

—ყან-ვალყანი. ის კოტორელელი იყო, რომელსაც მე ამ ოცის წლის წინად ვიცნობდი, როცა მე ტუალონში ვმსახურობდი და ზედამხედველის ადგილი მეჭირა. როცა ის კოტორელიდამ გამოსულა, როგორც შევიტყე, და სჩანს, მგონია ერთი ვბისკობლისი გაუქურდავს და მერე კიდევ ერთ დიდ გზაზე, ერთი ბატარა ბიჭი სავოიარი გაუქურდავს და ძალით თუალები წაუთმეია. ეი ეს რაა წელიწადია რაც ალარა ჩანს და არ ვიცით როგორ და სად იმალება, თუმცა ეძებენ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. მე მეგონა . . . . ერთის სიტყვით, მე დამნაშავე ვარ. ჯაგრის ამოყრამ გამაბედვინა და მე თქვენ ბრეოვიტს დაგაბეზღეთ.

მალალმა ისევ თავის მაქმეებს მიჭყო ხელი, დაუწყო წერა ჯ გულგრილად და მშვიდათ ჭკითხა:

—მერე თქვენ იქიდამ რა ბასუხი მოგცეს.

—რამ, ვითომც მე ჭკვაზე შეშლილიყო.

—მერე?

—მერე ის, რომ იმათ ამ ვარ ბასუხის მოცემის უფლება ქონდათ და მართალნიც ყოფილნ.

—კარგია და საქებელია, რომ თქვენ მაგაზე თანახმა ხართ ჯ თქვენვე ალვიარებთ.

—მეტი რა ილაჯია, როცა მართალი ყანყალყანი უპოვნიათ ჯ დაუჭერიათ. ქალალდი, რომელიც მალალს ეჭირა, ხელიდამ გაუ-

ვაშლა, იმას თავი აიღო, ყვავერს თვალ-დაკვირვებით შეხედა და რა-ღაც ნაირ, გამოუთქმელის ხმით წამოიძახა:

— ვა!

ყვავერმა კიდევ დაიწყო ლაპარაკი:

— აი როგორ მოხდა უფ. მერე, და რა არი: მგონია, აინ-ლეგო-კლოშეს ახლო, ჩვენ მხარეს, სცხოვრებდა ერთი ვიღაცა საწყალი კაცი, სახელად შანმატიე. ის ძალიან ღარიბი იყო, ზედ არავინ არცკი უყურებდა. ამისთანა ადამიანები უფალმა უწყის, რითა სცხოვრობენ და რაგორ. ამ შემოდგომაზე, ერთ დღეს ეს შანმატიე ქურდობის გამო საპყრობილეში დაამწყვდიეს. თურმე ბალდამ ვაშლები მოეპარა ერთ . . . მაგრამ ეს სულ ერთია, ვისგნითაც უნდა მოეპარო: საქმე ეს არი, რომ ქურდობა მოხდა. შანმატიე ბალის ღობეზე გადამძვრალიყო და ტოტი მოეტეხა. იმას მოასწრეს და დაიჭირეს,—მოტეხილი ვაშლის ტოტი ისევ ხელში ჭქონდა. ის აიყვანეს და არრასის ციხეში დაამწყვდიეს. იმ ციხის ტუსაღებში, იყო ერთი ძველი კატორღელი, სახელად ბრეგე, რომელიც, კარგ ყოფაქცევისათვის, ციხის მეკარედ იყო იქვე დანიშნული. უფალო მერე, შანმატიე მიიყვანეს თუ არა და რაკი ციხის კარებში თურმე თვალი შესდგა, ბრეგემ, მეკარემ დაიძახა: «ოჰო! მე ამ კაცს ხომ ვიცნობ, ეს უწინდელი კატორღელია, განთავისუფლებული. აბა ჩემო, საყვარელო, მე შემოგიხვდე! შენ ყანგალყანი ხარ!

— ყანგალყანი ვარ? ეგ ყანგალყანი ვინ არი? განგებ, გაოცებით თურმე ჩვეითხავდა შანმატიე, — «ვარგი, იგმარე. ნუ გეშმაკობ, თავს ნუ იგანტურებ, ბრეგემ უთხრა. შენა ხარ ყანგალყანი. შენ არ იყავ ამ ოცის წლის წინად ტულოანში, კატორღაზე? მე და შენ იქ მეგობრები ვიყავით.

შანმატიე რასაკვირველია, არა ტყდებოდა თქვენ ხომ მიხვდით რა მიზეზითაც. ეს საქმე გამოიძიეს და აი რა შეიტყეს: ამ ოცდ აოთის წლის წინად ეს შანმატიე ფალეროლეში და მასლოახლოს სხვა ადგილებში ხეხილების მსხვლელი იყო. ამ კაცის გვარი აქ იგანცხებ. გარგა ხნის შემდეგ ის განსხვა ოჯახში და შემდეგ ბანიეში, სა-

ცა შანმატიე, როგორც თითონ ამბობს, ბოგოსკის თვლების გამ-
გეთებელი იყო და იმის ქალი,—მოსარეცხეთ, მაგრამ ეს სიტყვები
ჯერ არ არი დამტკიცებული. საქმიდამ კი ნათლათა სჩანს, თუ ვინ
იყო ყანგალყანი კატორღაში გაგზავნამდის, ან რა ხელობისა. ის ი-
ყო ხეხილების მსხვლელი. სად—რა მსარეს? თვალეურიელში. მეორე
საბუთი ეს არი: ვალყანისთვის, ნათლობის დრო დაერქვათ სახე-
ლად ყანი, იმის დედას გვარად ერქვა მატეი. ძალიან შესაძლებე-
ლია და გასაკვირველიც არ არი, რომ როდესაც ყანი კატორღიდამ
გაანთავისუფლეს, დასამალავად დედის გვარი დაირქვა და ყან მატი-
ედ იწერებოდა. ბოლოს ის ოკეანში გადასულა; იქაურულად სალ-
ხი ყანს შანად გამოსთქმენ ხოლმე და იმას შან მატიეს უძახოდ-
ნენ. აი ასე ყანგალყანს, შანმატიე დაარქვეს. მგონია თქვენ მე ეურს
მიგდებთით და ყველა გაიგონეთ, განა? თვალეურიელში გამოიძიეს ტ
შეიტყეს, რომ ყანგალყანის სახლობიდამ არავინ ალარ არისო, ე-
ძებდნენ მაგრამ არ იციან სად არიანო და მგონია სულ ამოწყ�ტ
ტილანო. ამის შემდეგ ტულონში გამოიძიეს. იქ ბრეკვეს გარდა,
მარტო ორნი კატორღელი ლა იყვნენ, რომელნიც ყანგალყანს იც-
ნობდნენ, სახელად: კოშპალი და შენილდიე. ისინი ტულონის კა-
ტორღიდამ წაიყვანეს არრასში; შანმატიე ბირის ბირ დაუყენეს და
იმათ იცნეს ძველი კატორღელი ყანგალყანი. ის არი ორმოცდა თოთ-
ხმეტი წლისა, ისევ ის ტანი აქვს, ისევ ის შეხედულობა, ერთის
სიტყვით ისევ ის კაცია, რაც ყოფილა. სწორეთ ამ დროს, ბარი-
ის ბრეფვეკტს მე თქვენ დაგაბეზღეთ და ეხლა ბასუხად მომწერეს,
რომ მე ჯკვაზე შეშლილი ვარ და რომ ყანგალყანი მთავრობას დამ-
წყვდეული ჰყავს არრასის ციხეში.

თქვენ ეხლა წარმოიდგინეთ, თუ ამ ამბავმა მე როგორ გამა-
ოცა, მე, რომელსაც მეგონა, რომ ის ყან-ვალყანი ჩემ ხელშია!
მიგწერე გამოძიებელ მსაჯულს, მე იმან იქ დამიბარა და შანმატიე
თვალით მიჩვენა.

—მერე? მადლობა სიტყვა გაუშვებინა.

ყაკერი სახეზედ არ შეიცვალა და ისევ ნაღვლიანად უპასუხა:

— უფალო მერო, ჭეშმარიტება და სიმართლე, მუდამ ჭეშმარიტებად და სიმართლედ დარჩება ხოლმე. მართალია მე ეს მჯავრება, მაგრამ ის კაცი სწორედ ყანგალყანი ვნახე თუ არა, მე იმავ წამსვე ვიცანი.

უფ. მადლენმა ძალიან წყენარის ხმით, კიდე ჰკითხა:

—მაგაში თქვენ დარწმუნებული ხართ?

ყვერმა უცნაურად გაიცინა და უპასუხა:

—დიალ, სრულიად დარწმუნებული ვარ.

ის პატარა ხან დათიქრდა, გაშტერებულსავით იყო და მერე დაასყოლა:

—და ეხლა, რაცა ჩემის თვალით ვნახე მართალი ყანგალყანი, მე არ გამეგება და ჭკუაზე ვერ მოგსულვარ, თუ რაგორ შევცდი. მე მოტყვებასა გთხოვ, უფალო მერო.

ამ თხოვნაზე, მადლენმა სიჩქარედ კიდევ ჰკითხა:

—ის კაცი მაინც რას ამბობს?

—იმის საქმე, უფ. მერო, ცუდათ არი. თუ ის მართალ ყანგალყანია, მაშინ იმას ამ მეორე დანაშაულობის გამეორებისათვის კიდევ დასჯიან. ლობეზე გადაძგრეს, ტოტი მოსტეხეს და გაშლები მოჭკრიეთოს, ყმაწვილს, რომ ექმნა, სიცელქეში ჩამოართმევდნენ, მოზდილ კაცს რომ ჩაედინა, მცირე დანაშაულობაში ჩამოართმევდნენ, მაგრამ კატორღელისაგან ამ გვარ საქმის ჩადენას ძალიან დიდ დანაშაულობათ მიიღებენ. ძალით მოპარვისათვის, იმას სისხლის სამართლით დიდ სამჯავროში გასამართლებენ და არა პოლიციაში. ამ შემთხვევაში იმითი კი არ გადარჩება, რომ რამდენიმე დღე ციხეში დაამწყვდიონ, არა, საუკუნოდ კატორღაში გადაჰგარგვენ. ამასთანავე, როგორც იმედი მაქვს, პატარა საგოიარის გაქურდვასაც განიხილავენ. სხვა რა იყოს ძალიან გაებმის ამ საქმეში და დიდი თავის ხეთქვა უნდა, მაგრამ ყანგალყანი ეშმაკი კაცია. მე იმას ამითი უფრო ვცნობ. იმის ალაგს სხვა რომ ოფიციელი, ყვირილს დაიწყობდა, დიდ ჟარზედ იდგებოდა და გაშეოებული იტყოდა მე არავარ ყანგალყანიო, მაგრამ ის განგებ თავს

ისე იჯერს, თითქო არა ესმოდეს რაო და მარტო ამას ამბობს: «მე შანმატიე ვარ და მუდამ შანმატიე ვიქნებიო! თავს სიგიჟეზე ზდებს და ვითომც გაოცებულია. ძალიან ოსტატობით იქცევა, კარგი ეს არი! მაგრამ სულ ერთია: საბუთები თვალ წინ არი: ოთხი მოწმები არიან, რომელთაც იცნეს; ძველ ავაზაკს უთუოთ გასამართლებენ და დასჯიან. საქმე არრასის სამჯავროში წარმოებს. მეც მალე იქ გიქნები, როგორც მოწამე; მე უნდა წავიდე.

—კარგი, ყავერო, საგმაო. აგრე დაწვრილებით მაგ ამბის მოთხრობა, ჩემთვის საჭირო არ არი, უნაყოფოა. ამ ლაპარაკში ჩვენ მარტო ძვირ თავს დროსა ვკარგავთ. საშური საქმეები ბევრი გვაქვს.

აქ მადლენმა რავდენიმე საქმის აღსრულების ბძანება მისცა ყავერს.

—ამ საქმეების ჩაბარება ხომ არ გებეკრებათ? თქვენ როგორა სთქვით? რვა ან ათი დღის შემდეგ უთუოდ უნდა წასვიდეთ არრასში?

—უეჭრო ადრე, უფალო მერო.

—მაშ როდის?

—მგონია უფ. მერს მოვახსენე, რომ იმ კაცის საქმეს ხვალ განიხილავენ და ხვალვე გასამართლებენ, მე კი უთუოთ ამალამ დილა-ადრიან იქ უნდა გავხლოთ.

—საქმის გაშინჯვა და გასამართლება დიდ ხანს გასწევს თუ არა?

—ერთ დღეზე, მეტი არა მგონია. რაც უნდა დაგვიანდეს, მაინც ხვალ საღამოზე განაჩენს წაუკითხვენ. მაგრამ მე განაჩენის წაკითხვამდის იქ არ მოვიცდი, რაკი ჩვენებას ჩამოართმევენ და რაც საჭიროა მკითხავენ, მაშინვე უკან წამოვალ.

—კარგი,—მადლენმა სთქვა.

და ყავერს ანიშნა, რომ წასულიყო.

ყავერი არ მოდიოდა.

—დამნაშავე კარ, მოიტეკეთ, უფ.. მერო, იმან სთქვა.

—კიდევ რამა გაქვსთ სათქმელი?

—უფ. მერო, მე თქვენ ერთ საგანი კიდევ უნდა მოგაგონოთ?

—რა არი?

—რომ მე სამსახურიდამ გაგდების ღირსი ვარ.

—ყოველრა, მე თქვენ პატიოსან კაცად გიცნობთ და თქვენი ხათრი და პატივის ცემა მაქვს. თქვენ დანაშაულობას და ბრალს ძალიან ადიდებთ, ერთიერთათ ხდით. რაც ეხლა ადგილი გიჭირავსთ, იმაზე უმეტეს თანამდებობის ღირსი ხართ და არა სავლებისა და დამცირებისა. მე მსურს და იმედიცა მაქვს, რომ თქვენ სამსახურს, თანამდებობას თავი არ დაანებოთ და სხვა ადგილს არ გადახვიდეთ.

ყოველმა მადლენს თავის სუფთა თვალებით შეხედა, რომელშიაც სვინიდისიანობა ეცნეოდა.

—უფ. მერე, თქვენ ნათქვამზედ, მე ვერ შემიძლიან თანახმა გავხდე.

—გიმეორებთ, რომ თქვენი დანაშაულობა ჩემთან, საგუთრად მარტო მე მეგუთვნის. მაგრამ რადგანაც ყოველი მარტო ერთ თავის ჭაზრს ემორჩილებოდა, მიუგო:

—მე ჩემ ბრალს და დანაშაულობას ერთიერთათ არა ვხდი და არ ვაზვიადებ. აი მე როგორა ვფიქრობ და ვსჯი: მე თქვენზე უსამართლოთ ვეჭიბდი. ჩვენი თანამდებობა, სამსახური ეჭვიანობას მოითხოვს. თუმცა ჩვენზე უფროსებზე ეჭვის ქონვა სიბოროტე და კარგი არარი, მაგრამ მე უსაფუძლოდ და უსაბუთოდ, როცა თქვენზე გაბოროტებული ვიყავი და თქვენი ჯავრის ამოყრა მინდოდა, მე თქვენისთანა პატივსაცემი კაცი, მერი და უფროსი მთავრობასთან დაგაბეზღეთ და კატორღის ტუსაღად დაგწამეთ! ეს დიდი დანაშაულობაა, დიდი! მე ამითი მთავრობაც გავაუპატიურე! ეს საქმე რომ ჩემ ხელქვეითს ჩაედინა, მე იმას იმავ წამსვე სამსახურიდამ გავაგდებდი. ნება მიბოძე, უფ. მერე, ერთი ორი სიტყვაც მოგახსენოთ. ჩემ სიცოცხლეში სხვებს მე ბევრჯელ სასტიკად მოგქცევივარ. ამას სამართალი მოითხოვდა და ესეთიც უნდა ვყოფილ-ვიყავ. მე განონიერად ვიქცეოდი. თუ ეხლა მე ჩემ თავს სასტიკად არ მოვექეცი, მაშინ, რაც კი სიმართლით მიქნია, სულ უსამართლობად ჩამეთვლება. ჩემი თავი რათ უნდა დავზოგო და შე-

გიბრალდა რაცა სხვებს არა გზაგაკვლი და არ გიბრალებდი? არა, უფ-
�ელო, მე არ მინდა, რომ თქვენ ჩემზე მოწყალის თვალით იყოთ
და დამზოგოთ. თქვენი შებრალება და სალხზე გულგეთილობა მე
ადრევეც მეჯავრებოდა და ეხლა ჩემზედ ნუ მოიხმარებთ. ღმერთო
ჩემო! სიკეთის ქნა ადვილია, მაგრამ სამართლიანად მოქცევისა კი
ძნელია. რა გაცია თქვენ მე მეგონეთ, თუ გამართლდებოდა ჭ
ის იქნებოდით, მერწმუნეთ, მაშინ მე თქვენ გარგათ არ მოგექ-
ცეოდით, არ დაგზოგავდით! და მაშინ მე თქვენ გიჩვენებდით!

უფ. მერო, ჩემ თავს ეხლა ისე უნდა მოგექცე, როგორც მო-
ვექცევოდი მე იმას, ვინც ჩემ ადგილს სხვა იქნებოდა ასე ბრალი-
ერი. რაცა მე ქურდებს დავიჭერდი ხოლმე და ან ავაზაკებს კანო-
ნიერად უწყალოდ დავსჯიდი, მე ჩემ თავს ვეუბნებოდი: ჭა! არამც
და არამც მახეში არ გაება! გაფთხილდი ჩემო, თავო, და ამ გვა-
რი საქმე არ ჭქონა! თუ კი ფეხი გაგისხლტა, გაები მახეში და
დაგიჭირე, მაშინ დარწმუნებული იყავ, რომ არც დაგზოგავ და არც
შეგიბრალებ! მე ეხლა ფეხი გამისხლტა, მახეში ჩავარდი, ჩემი თა-
ვი დავიჭირე და გავამტყუნე, დანაშაულობა მომიძღვის. სამსახუ-
რიდამ, გაგდების ღირსი ვარ. გამაგდეთ, ღმერთს ხელები მოუცია,
წავალ ვიმუშაებ, მიწას მოვხნი, ჩემთვის სულ ერთია. უფ. მერო,
სამსახურის სასარგებლოდ და სამაგალითოდ უნდა დამსაჯოთ. მე
ვდომულობ, გთხოვთ პოლიციის ზედამხედველობის თანამდებობი-
დამ ყავერი გადაყენოთ.

ეს სიტყვები წამოსთქვა მართებულათ, ამაყად, უგანსაკნელ თავ
განწირულობით და დარწმუნებით.

—განსჯოთ,—უფ. მადლენმა უთხრა.

და იმას ხელი მისცა.

ყავერმა უკან დაიწია და სახეშეჭმუხვნით უთხრა:

—მოიტევეთ მე უფ. მერო, ეგ რიგი არარი. მერმა მაბეზ-
ღარს ხელი არ უნდა ჩამოართვას.

ყავერმა თან წაიდუდუნა:

— დიალ, მაბეზღარს! მას აქეთ, რაც მე ჩემი თანამდებობის

უფლება ურიგოთ მოგიხმარე, მაბეზღარი თუ არა ვარ? მაშ რა ვარ?

მერე იმან მადლესს მდაბალი თავი დაუკრა და ოთახის კარებისკენ გასწია. რაკი კარებთან მიკიდა, მობრუნდა, მადლესს პირზე არ შეხედა და სთქვა:

—უფალო მერო, მანამდის თქვენ გადამყენებდეთ და სამსახურიდამ დამითხოვდეთ, მე ჩემ თანამდებობას მაინც კიდევ ვასრულებ.

თქმის უმალ ის გავიდა. მადლენი ჩაფიქრდა და ყავერის ფეხის ხმას იქნობამდის უურს უგდებდა, მანამდის ალარ გაწყდებოდა.

სკოფლერის შორს მხედველობა.

ყავერთან ლაპარაკის შემდეგ, იმ დღეს საღამოს უკვე, მადლენი ჩვეულებრივ ფანტინეს სანახავათ წავიდა.

მაგრამ, ფანტინეს ოთახში შესვლამდის, ჯერ ავათმყოფებზე ზედამხედველი დედაკაცი სიმპლიციას დაიბარა, რომელსაც ფანტინეს ჩაბარა და სთხოვა რომ იმაზე ზრუნვა ექონოდა და თავალ-ყურიკარგა სჭეროდა.

მერე ფანტინესთან შეავიდა.

ის მუდამ დღე ისე ელოდა უფ. მადლენის ნახვას, როგორც ელიან ხოლმე მზის ამოსვლასა ან რამ სიხარულსა.

თავის მომავალ დედაკაცებს ეტყოდა: «მე მარტო მაშინა გტოცხლობ, როცა უფ. მერი აქ არისო».

იმ დღეს ის ძალიან გაეცინებინა. მადლენი დაინახა თუ არა, იმავ წამსვე ჭკითხა:

—კოზეტტა სადაა?

იმან ლიმილით უპასუხა:

—მალე ნახავთ.

უფ. მადლენმა დაუწყო ლაპარაკი ფანტინეს ისე, როგორც კეთილ ეტყოდა. მაგრამ ფანტინა მარტო ამითი იყო გახარებული, რომ მა-

ლელი ნახევარ საათის მაგივრად, იმ დღეს მთელი ერთი საათი დარჩა იმასთან. ლაზარეთში მოდთ რავდენჯერმე სთხოვა, რომ ავათმყოფზედ ზრუნვა ჭქონიყოთ და არა დაეზოგათ რა იმისთვის. იქ მყოფებმა შეატყეს რომ მადლენი ცოტას ხანს სახეზედ ძალიან დაღვრემილი იყო. ამის მიზეზი მერე გაიგეს: თურმე მაშინ დანდგულიანდა, როცა ჭქიმმა იმას ყურში ჩუმათ უთხრა: «თვანტინა ეხლა უფრო ცუდათ არისო». შემდეგ სამეროში წავიდა და იქ რაღაცა ციფერები გამოსწერა ერთ ქალაღლდიდამ. სამეროდამ წავიდა ქალაქის ბოლოში მცხოვრებ ერთ თვალანდელთან სახელად: სკოფელერთან, რომელიც ცხენებს აქირავებდა ხოლმე და, ვისაც სურდა, კაბრიოლეტებსაც.

გზაზედ ერთ ქუჩაში, მადლენმა იქაურ მღვდლის სახლის კარებზედ გაიარა. როგორც ამბობდნენ ის მღვდელი ძალიან პატიოსანი და ჭკვიანი კაცი იყო. უფ. მადლენი იმის სახლთან მივიდა. ქუჩაში ერთი გამვლელ ადამიანის მეტი არავინ არა სჩანდა, რომელსაც ენახა,—რომ თურმე მადლენი ცოტას ხანს მღვდლის სახლთან დადგა, მერე ისევ კარებთან დაბრუნდა, რაზას ხელი მოჭიდა, უნდოდა დაერახუნებინა, მაგრამ გაჩერდა, რაზა ისევ ჩუმათ დაუშო და თავის გზას ისევ შეუდგა და თვეი აიჩქარა.

როცა უფ. მადლენი სკოფელერთან მივიდა, ის ცხენის იარაღსა სწმენდა და ასწორებდა.

—სკოფელერო, იმან ჭკითხა, კარგი ცხენი გყავთ?

—უფალო მერო, თვალანდელმა უპასუხა, ჩემი ცხენები სულ კარგნი არიან. კარგ ცხენს თქვენ რას ეძახით?

—იმ ცხენს ვეძახი, რომელსაც ერთს დღეში ოცდალიოზე ცარება შეუძლიან.

—ია დასწყევლოს ღმერთმა! უჰ! ოცდალიოზედ? თვალანდელმა სთქვა:

—ჰო.

—კაბრიოლეტში შებმული?

—დიალ.

—მაგ მგზავრობის შემდეგ, რავდენ დღეს შეასვენებთ?

—ისეთი მინდა, რომ თუ გინიცობაა მეორე დღესვე უკან წამოსვლა მოამიხდეს, მზათ იყოს და შესძლოს.

—იქიდამ წამოსვლაზედაც მაგოდენა გზა უნდა გამოიარონ?

—ჰო.

—უჰ! კიდევ ოცი ლიო?

მადლენმა ჯიბიდამ ქაღალდი ამოიღო, რომელზედაც ეს ციფრები ეწერა: 5, 6, 8½, და თვალმანდელს უჩვენა და უთხრა:

—აი ხომ ხედავთ, სულ ერთიანად 19½ იქნება, თითქმის ოცი რაღა.

—უფალო მეო, თვალმანდელმა უთხრა, რაგორ ცხენსაც ნდომულობთ, მე მყავს. თქვენ მე მგონია გენახოთ ჩემი პატარა თეთრი ცხენი—ძალიან თეცხი და მარდია. ჯერ პირველად შესაჯდომად უნდოდათ გაეხედნათ, მაგრამ აბა! ვინც კი შეჯდა ყველა ძირს გადმოსტყორცნა, ვერავინ ვერ დაიმაგრა. ოცანი ცხენი გვეგონა ჯერ კიდევ ეიცოდით რა გვექმნა. მე მაინც ვიყიდე; რაკი კაბრიოლეტში შეკაბი, არ დაიჯერებთ, თითქო იმას ელოდა; ეხლა ისეთი მშვიდია, რაგორც პატარძალი და ისე გარბის რაგორც მეგრინველი. მაგრამ შენი მტერი! თუ ვინმე ზედ შეაჯდა! მართალია არი, თუ კი თითონვე ზეგუაში არ უჯდება და არა სურს, რომ შესაჯდომი იყოს? ყველას თავის თავმომწონობა აქვს. უთუოთ თავის თავს უთხრა: «რაშიაც გინდა შეები და გასწიო, ზედ კი ნუ რაგის ნუ შეისვამო!

—მაშ ამ მგზავრობას გაუძლებს და აიტანს?

—თქვენ ოცი ლიოს კარგის ტარებით, რვა საათში, უეჭველ ადრე, გაიგლის. მაგრამ აი რა პირობით და რა რაგორ . . .

—აბა სთქვით.

—პირველი, ჯერ ეს არი, რომ ის შუა გზაზედ თქვენ ერთი საათი მაინც უნდა შეასვენოთ; ქერი და ბზე უნდა მისცეთ; ზამის დროსაც უნდა თქვენ თითონ თავს ადგეთ, რომ ტრახტინის მოსამსახურებმა ბზე და ქერი ცხენს არ მოჭამონ, რადგანაც მე ბევრ

ჯელ შემიცნეია, რომ ტრანსტიბებში მგზავრობის დრონ იმდენს ქვრსა და ბზეს ცხენი ანა სჯამს, ოსმდენსაც იქაური მეფეები და მოსამსახურები იბარამენ.

—კარგი; ცხენს სამშობ მე თითონ მიეცემ და თავს ლაკვდგები, მანამ გაათავებდეს.

—მეორე პირობა . . . . . უფალო მერო, კაბრიოლეტი, საგუთრიგ თქვენთვის ანის საჭირო ?

—ჭო.

—მერე თქვენ იმის ტანება შეგიძლიანთ ?

—როგორ ანა.

—მაშ თქვენ გაისარჯეთ და მარტო წაბმანდით; ბარგსაც ნურანს წაიღებთ ანა, რომ ცხენი ან შესწუხდეს ლა მოუბუქათაც იანოთ.

—თანახმა ვარ.

—მესამე, ოადგანაც თქვენ მარტო მიბმანდებით ლა უბარგო, მაშ გაისარჯეთ და ცხენს სამშო თქვენ თითონ უბოძეთ და თავს

დაადექით.

—ძალიან კარგი.

—ქირის თანს თქვენ მე ოც და ათ თუმანს მიბოძებთ; იმ დღეებისასაც, როცა მგზავრათ ან იქნებით და ცხენი შესვენებული გეყოლებათ. უკანასკნელ თანს მოგახსენებ, ცალ თუალსაც ვერან დაკიკლებ და ცხენის სამშოც თქვენი იქნება, უფ. მერო.

მადლობა ქისიდან სამი ნაპოლეონერი ამოიღო და სტოლზედ დაუწყო.

—ამ თავითვე, ეი თქვენ ეს ორის დღის თანი.

—მეოთხე პირობა, მაგ ვერ მგზავრობისათვის კაბრიოლეტი მძიმე სატარებელია და ცხენსაც დალალავს; უმჯობესი იქნება, რომ დამიჯერეთ და პატარა ტილბიურით წაბმანდეთ, რომელიც მე მაქვს.

—მაგაზედაც თანახმა ვარ.

—მაგრამ ლია კია, თუ აკი დარი დაგიდგათ, დასახურაკი ანა აქვს.

—ჩემთვის სულერთია.

—უფ. მერო, ნუ იკიწყებთ, რომ ესდა ზამთარია.

ჟურნალი «საქართველოს მოამბე» თვე ლ თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ.—160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, კომენდანტის ქუჩაზედ, კნ. ხავარსამიძის სახლებში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმორჩილესად ვსთხოვთ ამ რუსულ აღრეკსით გამოგზავნონ:

Въ редакцію грузинскаго журнала «Грузинскій Вѣстникъ.»

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ

14-го Сентября 1863 года. Г. Тифлисъ.